საქართველოს [illegible] ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

დღიური

- დაიწყო დიდი ბრძოლა ჩინეთის რეაქციონურ და სახალხო არმიებს შორის.
- რაკოშის პროცესის დაწყების გამო ბუდაპეშტში ჩავიდნენ მისი დამცველები და ბარბიუსი.
- ციხიდან გაანთავისუფლეს მასლოვი.
- აფეთქდა შეერთებულ შტატების საზღვაო არსენალი.
- შანხაის გაფიცულთა მოძრაობა ფართე ხასიათს ღებულობს.
- ინდოეთში, ინდოჩინეთში და სიამში მძვინვარებს ხოლერის ეპიდემია.

სამშაბათი, 13 ივლისი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 158 (1703)

კლასთა ბრძოლა ინგლისში

ინგლისში ხელახლა ღალატის სუნი ტრიალებს და თანდათან ნათელი ხდება, რომ როგორც კონსერვატიული პარტიის, ისე მუშათა პარტიის კონსერვატიული ელემენტები სცდილობენ შეერთებული ძალით დალეწონ მემაღაროეების კავშირის მთლიანობა და არა მარტო მეთაურების, არამედ უბრალო წევრების რაზმებშიც განხეთქილება შეიტანონ. ეს ელემენტები სცდილობენ ზოგიერთი დათმობით მოატყუონ იმ რაიონების მემაღაროეები, რომელნიც ქვანახშირს შინაური ბაზრისთვის აწარმოებენ (როგორც მაგალ. იორკშირში) და საზღვარგარეთის კონკურენციისაგან უკეთ არიან დაცული: ამ რაიონებში მეტი მოგების მიღება შესაძლებელია. ბურჟუაზიის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მემაღაროეები აიძულოს ღალატი ჩაიდინოს სხვა რაიონების (მაგალითად, ნორტჰემბერლანდის და დიურჰეიმის) მემაღაროეების მიმართ, რომელნიც საექსპორტო ქვანახშირს აწარმოებენ.

ინგლისის ბურჟუაზია ახლა სცდილობს ამერიკული ბურჟუაზიის ზოგიერთი მეთოდი გადაიღოს. ბალდვინის მთავრობის ახალი საკანონმდებლო პროექტი შეიცავს „თანამშრომლობის" იდეას და „მონაწილეობას შრომის მოგებაში". კანონპროექტი აგრეთვე გულისხმობს ზოგიერთ სოციალურ რეფორმას, რომლისთვისაც სალარი „რეგალიების" ხუთ პროცენტიანმა დაბეგვრამ უნდა მისცეს. ეს „რეგალიები" ნახევრად ფეოდალური რენტაა, რომელსაც მსხვილი მემამულეები ღებულობენ მათ ტერიტორიაზე მოთავსებულ მაღაროებიდან.

ეს წაბაძულობა ამერიკული ბურჟუაზიის მეთოდებისა სასაცილო და ბეჩავი ცდაა, რომელიც ვერ განხორციელდება, მიტომ რომ ინგლისში მას ეკონომიური საფუძველი აკლია. მთელი ინგლისის ქვანახშირის მრეწველობა დღეს მწვავე კრიზისს განიცდის. მოგებაში „მონაწილეობის მიღება" ნამდვილად ნიშნავს გაკოტრებაში მონაწილეობის მიღებას, ამ გზით მუშათა კლასი სარგებლობას კი არა, ზარალს ნახავს. ბალდვინის კონსერვატიული მთავრობა და მუშათა პარტია მემაღაროეებს სთავაზობენ „წარმოდგენილ", არ არსებულ მოგებაში მონაწილეობის მიღებას და სამაგიეროდ დღესვე ნამდვილი, ხელშესახები სამუშაო დღის გაგრძელებას და ხელფასის შემცირებას აკისრებენ. არაფერი არ შეედრება ინგლისის ბურჟუაზიის ფარისევლობას! ერთი მხრით ის სცდილობს სამუშაო დღის გაგრძელებისა და ხელფასის შემცირების აუცილებლობა დაამტკიცოს და საბუთად ის მოჰყავს, რომ ქვა-ნახშირის მრეწველობა მოგებას არ იძლევა; მეორე მხრით მას უნდა ანკესზე დაიჭიროს მემაღაროეები და მას მონაწილეობას ჰპირდება ფანტასტიურ მოგებაში.

სხვადასხვა კომპრომისები და ღალატის მზადება, კანონპროექტები და კულისის ოინები, ინტრიგები ცალკე პარტიებში და სიტყვიერი ომები პარლამენტში—აი გარეგნული სახე დღევანდელი ინგლისის პოლიტიკური ცხოვრებისა. მაგრამ იქ, ცხოვრების სიღრმეში, სადაც კლასობრივი ბრძოლის ძირითადი ძალები მოქმედებენ, მოუდრეკელი ძალით გრძელდება გიგანტიური ბრძოლა.

იმ მოვლენების პოლიტიკური აზრი, რომელიც დღეს მემაღაროეების გაფიცვასთან არის დაკავშირებული, მხოლოდ მაშინ გახდება ნათელი, თუ ჩვენ გავიხსენებთ, რომ მემაღაროეების ბრძოლის პოლიტიკური მნიშვნელობა დღითიდღე მატულობს. მემაღაროეების დღევანდელი გაფიცვა არ არის უბრალო განმეორება მათი წინანდელი გამოსვლებისა, როგორიც, მაგალითად, 1921 წლის გაფიცვა იყო. ბურჟუაზიულ-ლიბერალური ჟურნალი, „ნეშენი" ამტკიცებს, რომ „მემაღაროეების ბრძოლის ნორმალური ხანგრძლივობა სამი თვეა". მემაღაროეების ზოგიერთი ბელადებიც ასე უცქერიან მდგომარეობას და აცხადებენ, რომ მემაღაროეებმა ისწავლეს შიმშილის ატანა და, თუ საჭირო იქნა, ისინი სამ თვესაც გასძლებენ და მეტსაც. მაგრამ ასეთი მსჯელობა მემაღაროეების გაფიცვის შესახებ ყალბია. დღევანდელი გაფიცვა ნორმალური გაფიცვა არ არის. ამიტომ ის „ნორმალურ" ხანს არ გასტანს და არც „ნორმალურად" დამთავრდება დათმობითა და დამარცხებით.

რასაკვირველია, ეს გაფიცვა მრავალ მხრივ ჰგავს წინანდელ სამთამადნო გაფიცვებს ინგლისში. მაგრამ მას ზოგიერთი თავისებურებაც აქვს, რაიცა მას განსაკუთრებული ბრძოლის ხასიათს აძლევს. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

1. ეს გაფიცვა სწარმოებს პირველი მძლავრი საყოველთაო გაფიცვის შემდეგ;
2. მემაღაროეებს მეთაურობენ არა ტომასისა და ჰოჯსის მსგავსი მემარჯვენენი, არამედ „მემარცხენე" ბელადები, სმიტი და კუკი.
3. დღევანდელი სამთამადნო გაფიცვა მიმდინარეობს საგანგებო წესების ატმოსფერაში.
4. ბრძოლამ ქვანახშირის პატრონებსა და მემაღაროეებს შორის მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. როგორც ჟურნალი „ეკონომისტი" სწერს „უძლეველი ძალა შეუდრეკელ სხეულს დაეჯახა". ეს ვაჟბატონები, მემაღაროეების პატრონები ლამობენ კბილებით სალი კლდე გამოხრან.
5. ეს ბრძოლა სწარმოებს ბურჟუაზიის საყოველთაო შეტევის ჩარჩოებში, ეს შეტევა პროფმოძრაობის წინააღმდეგ არის მიმართული.
6. მემაღაროეების ბრძოლამ იფეთქა იმ მომენტში, როცა ინგლისის ქვანახშირის მრეწველობა ისეთ კრიზისს განიცდის, რომლის დაძლევა არ შეიძლება არც ინგლისის მასშტაბით და არც საზოგადოთ თანამედროვე კაპიტალიზმის საფუძველზე. ინგლისის ბურჟუაზიის წინაშე ამართულია საკითხი: რა უნდა უყოს მან ზედმეტ ქვანახშირს ან ზედმეტ მემაღაროეებს? ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენს არა აყვავებული დიდი ბრიტანეთის მსოფლიო იმპერია, არამედ დაქვეითების გზაზე დამდგარი დიდი ბრიტანეთი.

ინგლისელი კაპიტალისტებისთვის თანდათან უფრო ძნელი ხდება დათმობა მუშათა კლასისადმი. არსებული სამუშაო დღისა და ხელფასის დონეს შენარჩუნების ცდა მთელი ბურჟუაზიის წინააღმდეგობას იწვევს და მაშასადამე პოლიტიკურ ბრძოლად იქცევა, რომელიც თავის მხრივ, მოვლენათა განვითარების წყალობით, შეიძლება იქცეს ბრძოლად ხელისუფლებისთვის.

ასეთია ნამდვილი სახე დღევანდელი სამთამადნო გაფიცვისა. ამ მდგომარეობის გამო ინგლისის კომუნისტური პარტიის და მთელი კომუნისტური ინტერნაციონალის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ რამდენადაც შეიძლება გააგრძელოს ინგლისელი მემაღაროეების ბრძოლის ფრონტი. პოლიტიკური მომენტი მოითხოვს, რომ დიდს ბრიტანეთში წარმოებული ბრძოლა გაფართოვდეს გაფიცვაში ახალი მუშათა კატეგორიების ჩაბმისა და საერთაშორისო დახმარების შემწეობით.

ჯონ პეპერ

პლებისციტის შემდეგ გერმანიაში

მემარჯვენე ბურჟუაზიული პარტიები, მენშევიკები და კომუნისტები)

გერმანიის პრესა კვლავ განაგრძობს პლებისციტის შედეგების კომენტარიებს. პირველი შთაბეჭდილების შემდეგ, რომლის მიხედვით 20 ივნისის ხმის მიცემის შედეგი მემარჯვენეების დიდ ტრიუმფად გამოაცხადეს თვით ამ მემარჯვენეებმა, ეს უკანასკნელები იწყებენ დღეს ამბების უფრო საღ, უფრო რეალისტურ შეფასებას და მიდიან საკმაო უნუგეშო დასკვნებამდე. მათი აზრითაც ისე გამოდის, რომ ორიოდე ასეთი „გამარჯვება" და მემარჯვენე პარტიებისაგან დარჩება მხოლოდ დიდი ყურები და ჩლიქები. აი, მაგალითად, რასა სწერს ერთი მათი გაზეთი „დოიჩე ცაიტუნგი":

„მიღებული ხმის რაოდენობის თვალსაზრისითაც, რომ შევხედოთ საქმეს, პლებისციტის შედეგები არაფერს გასახარელს არ წარმოადგენს ჭეშმარიტი გერმანელისათვის. 39 მილიონ ხმის უფლების მქონეთაგან 14 მილიონ ნახევარმა მისცა ხმა მეფის გვარეულობის წინააღმდეგ. ეს ნახევარზე ნაკლებია ხმის უფლების მქონეთა რიცხვისა. მაგრამ ორი მილიონით მეტია წინასწარ მიცემულ ხმებისა (მაშინ ხმა მისცა 12 მილიონ ნახევარმა). თუ მხედველობაში მივიღებთ კიდევ იმ გარემოებას, რომ არასოდეს არ მომხდარა ყველა ხმის უფლების მქონეთა მიყვანა საარჩევნო ყუთებთან, მაშინ უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდება პლებისციტის შედეგები. ყველგან, მთელი გერმანიის რესპუბლიკის სივრცეზე მოიმატა ხმის რიცხვმა თავადების წინააღმდეგ იმასთან შედარებით, რაც იყო წინასწარი ხმის მიცემის დროს. ამასთან ბერლინში და ზოგიერთი სხვა ქალაქებში არაჩვეულებრივი რამ მოხდა. აქ მეფის გვარეულობის წინააღმდეგ ხმა მისცეს მთელი ხმების სამ მეოთხედამდე. ბერლინი იყო და კვლავაც დარჩა მოსკოვიტელების („Mogkowitertums") ცენტრალურ პუნქტად გერმანიის მიწა-წყალზე. ჩვენ ვაცხადებთ სრულიად კატეგორიულად. რომ ის, რაც 20 ივნისს მოხდა გერმანიაში, არ არის გამარჯვება მემარჯვენე პარტიებისათვის. ეს იყო მხოლოდ შემოტევის მოგერიება. საჭიროა ფრთხილად ვიდგეთ ჩვენ პოზიციებზე და ვამზადოთ კონტრშეტევა".

მაშ ვინ გაიმარჯვა 20 ივნისს? ვის შეუძლია ერთნაირი კმაყოფილებით შეხედოს ამ დღის შედეგებს? გაიმარჯვა პროლეტარიატმა და გაიმარჯვა სწორედ კომუნისტების ხელმძღვანელობით. ეს ფაქტია და ამას არა მარტო კომუნისტები აღნიშნავენ. ასეთია მათი მტრების აზრიც. აი მაგალითად რას სწერს ერთი ფრიად გავლენიანი დიდი გაზეთი „ლოკალ ანცაიგერ":

„სრული უფლებით ზეიმობენ კომუნისტები („Mit vollem Rechte jubeln die Kommunisten") თავის გამარჯვებას, რომელიც მათ მოიპოვეს ხალხის ბინძური ინსტიქტის ასამოძრავებლად მიმართულ თავიანთ საგიტაციო მეთოდებით. ხალხის სულიერი სამყაროს საბედისწერო აშლა, მისი გულის აფორიაქება, რომელიც მოახერხეს კომუნისტებმა რამოდენიმე მილიონ ამრჩეველში, იმის მომასწავებელია ხალხის ყოველი პატიოსანი მეგობრისათვის (!) თუ რა სერიოზული დრო დაგვიდგა".

ამნაირად კომუნისტებმა მოახერხეს ხალხის „ბინძური ინსტინქტების" ამოძრავება. ეს ბინძური ინსტინქტი ნიშნავს ხალხის ამოძრავებას მეფის გვარეულობის, რეაქციისა და კაპიტალისტური რეჟიმის წინააღმდეგ. ამაში მართლა „დამნაშავენი" არიან კომუნისტები და ამ „დანაშაულობას" ისინი კიდევ უფრო გააღრმავებენ. მართლაც რომ ცუდი დრო დაუდგა რეაქციას და მის დამხმარე „მემარცხენე" პარტიებს... ამ „მემარცხენეთაგან" ყველაზე უფრო საინტერესოა სოციალ-დემოკრატია. რა როლი ითამაშა მან პლებისციტის გარშემო დაწყებულ კამპანიაში?

როგორც ცნობილია, გერმანელი მენშევიკები თავიდანვე წინააღმდეგი იყვნენ კომუნისტების ინიციატივის. შემდეგ როდესაც კომუნისტების აგიტაციამ ხალხი აამოძრავა და ამ ამოძრავების ტალღები გაექანა სოციალ-დემოკრატების მიმდევარ მასებისაკენ, მათ ჯერ ყური მოიყრუვეს და მხოლოდ მეთვალყურის, თუმცა ფრიად დაინტერესებული მეთვალყურის, როლში შეჩერდნენ. მაგრამ შემდეგ დაინახეს რა, რომ მენშევიკური პარტიული მასაც ჩაითრია ფართო და ღრმა მიმდინარეობამ, სოციალ-დემოკრატიის ბელადებმაც „იკადრეს", ე. ი. იძულებული შეიქნენ ასწავლებოდენ „თავისიანებს", რომ განცალკევებული არ დარჩენილიყვნენ და „მეც—ნახირ-ნახირ" გამოაცხადეს. ერთი სიტყვით იძულებული შეიქნენ მხარი დაეჭირათ კომუნისტებისათვის. ამნაირად, უნდოდათ ეს მათ, თუ არ უნდოდათ (და რასაკვირველია, ეს მათ არასოდეს არ უნდოდათ)—ფორმალურად ისინი აღმოჩნდენ ბურჟუაზიის მოწინააღმდეგეთა ბანაკში. რომ მენშევიკები ბურჟუაზიის დავალებით ჩაერიენ ამ ბანაკში, რათა ხელი შეეშალათ მოძრაობის უფრო გადამჭრელი ფორმების განვითარებისათვის (და მხოლოდ ამისთვის)—ამას ამტკიცებს, ერთხელ კიდევ ისევ იმავე მემარჯვენე და „მემარცხენე" ბურჟუაზიული გაზეთები. ისინი იმაში სდებენ ბრალს მენშევიკებს, რომ მათ ვერ წაართვეს კომუნისტებს ინიციატივა და ხალხის მოძრაობა კომუნისტების უშუალო გავლენისა და ხელმძღვანელობის ქვეშ ვითარდებოდა. პრესის ქვემოთ მოყვანილ განცხადებებიდან ერთხელ კიდევ აშკარავდება, თუ როგორ როლს აკისრებს ბურჟუაზიული რეაქცია ამ „სოციალისტურ" და „დემოკრატიულ" პარტიას (მენშევიკურ პარტიას) იმ გაალმასებული კლასთა ბრძოლის ხანაში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით. **ეს როლი არის ბურჟუაზიული აგენტურის როლი მუშათა რევოლიუციონურ ოჯახში, მის დასარღვევად, მის გასახრწნელად, მის შიგნიდან ასაფეთქებლად და ბურჟუაზიის გასამარჯვებლად პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობაზე. მენშევიკური სოციალ-დემოკრატია აკეთებს ბურჟუაზიული რეაქციის საქმეს.**

აი მაგალითად გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგ" სწერს:

„მხოლოდ კომუნისტებს სურდათ გადამჭრელი დადებითი შედეგი მიეღოთ პლებისციტიდან. არ უნდა დაივიწყოთ, რომ მთელი ეს საქმე სწორედ კომუნისტებმა დაიწყეს. წინადადება იმის შესახებ, რომ მეფის გვარეულობისათვის უსასყიდლოთ ჩამოერთვათ მათი ქონება და ამ მიზნით პლებისციტი მოეწყოთ—ეს წინადადება კომუნისტებს ეკუთვნით თავდაპირველად, ეს იყო კომუნისტების დემონსტრაცია, რომელსაც შემდეგ დაუჭირეს მხარი სოციალ-დემოკრატებმა, რადგან მათ ეშინოდათ, რომ კომუნისტები გადაიბირებდნენ მათ მიმდევარ მასებს".

ამასვე იმეორებს უფრო გარკვევით გაზ. „ბერლინერ ტაგებლატ":

„რომ მეფის გვარეულობის ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევა არსებული კონსტიტუციის ძალით უიმედო საქმე იყო, რომ სოციალ-დემოკრატიამ შეცდომა ჩაიდინა, როდესაც თავიდანვე არ მიემხრო მეფის გვარეულობის ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევის წინადადებას და მხოლოდ შემდეგ დაუჭირა კომუნისტებს მხარი—ეს ცხადია, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს, ეს თვით სოციალ-დემოკრატიის ბელადების უმრავლესობამაც სცნო შეცდომად".

მკითხველს ვთხოვთ ყურადღება მიაქციოს ამ ციტატაში მოყვანილ ორი აზრის ფორმალურ წინააღმდეგობას. **პირველი აზრი:** პლებისციტის მიზანი ე. ი. ქონების ჩამორთმევა მიუღწეველი იყო მომქმედი კონსტიტუციის ნიადაგზე; **მეორე:** სოციალ-დემოკრატიამ შეცდომა ჩაიდინა, რომ არ მიემხრო თავიდანვე ამ მიზანს (რომელიც მიუღწეველი იყო). მკითხველს შეუძლია იკითხოს: თუ მიუწვდომელი იყო მიზანი, რატომ უნდა მიმხრობოდა მას სოციალ-დემოკრატია, რომელსაც აზრადაც არ აქვს კონსტიტუციის, ე. ი. ლეგალობის (კანონიერების) დარღვევა? როგორც ვსთქვით, აქ თითქოს წინააღმდეგობაა. მართლაც ასეა. მაგრამ ეს არის წინააღმდეგობა ფორმალური და ზერელე. „ბერლინერ ტაგებლატ" ერთი უძლიერესი ორგანოა გერმანიის ბურჟუაზიული პრესის. მისი რედაქტორი, ტეოდორ ვოლფ, ცნობილია არა მარტო გერმანიაში, როგორც ერთი უნიჭიერესი და გავლენიანი პუბლიცისტთაგანი. ყოველისფერი შეგიძლია სთქვა ამ გაზეთის ხელმძღვანელებზე, მაგრამ ისინი არიან ბრიყვები და სულელებიო—ამას ვერ იტყვით. ამიტომ აქ არსებითად წინააღმდეგობა კი არ არის, არამედ ცინიკური გულახდილობით გამოთქმული აზრი: სოციალ-დემოკრატია უნდა მიმხრობოდა თავიდანვე კომუნისტების დემონსტრაციას, კომუნისტებთან ერთად უნდა გაენაწილებია მას ამ საქმის ინიციატივა, რომ **თავისი მიმდევარი მასების სადავეები ხელებში მაგრად ჩაეჭირა** და ეს მასები კომუნისტებისაკენ არ გადასულიყვნენ, როგორც ამას ჰქონდა ადგილი. აი „ფილოსოფია", და ფილოსოფია სრულიად საფუძვლიანი ბურჟუაზიის თვალსაზრისით, როდესაც მას არ გააჩნია საშუალება **მარტო თავისი გავლენით** ებრძოლოს კომუნისტურ, რევოლიუციონურ პარტიას.

დაბოლოს არ იქნება ინტერესს მოკლებული დავიმოწმოთ კიდევ ერთი გავლენიანი გაზეთი „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ", რომელსაც არ სჯერა (და არცა დასაჯერებელია!) სოციალ-დემოკრატიის რწმუნება იმაში, რომ, თითქოს, ის დამოუკიდებელ როლს თამაშობდა პლებისციტის კამპანიის დროს. გაზეთი აღნიშნავს ხალასს ფაქტს (თუმცა შეზავებულს დემაგოგიასთან **მოსკოვის** შესახებ) როდესაც ის სწერს:

„ბრძოლის იდეური ხელმძღვანელი იყო კომუნისტური პარტია, ე. ი. მოსკოვი. ეს იყო გენერალური რეპეტიცია მომავალი შეტაკებისათვის გერმანიაში. სოციალ-დემოკრატიამ, რომელიც სულ უფრო და უფრო ირღვევა შიგნით და დაშინებულია თავისი მემარცხენე ფრთის მიერ, ვერ გაუწია წინააღმდეგობა ამ მემარცხენეებს მასების შიშით. წინააღმდეგ თავის ბელადების სურვილისა, სოციალ-დემოკრატია ჩაუვარდა ხელში კომუნისტებს, მოჰყვა მათი გავლენის ქვეშ".

ასეთია ბურჟუაზიის აზრი ამ პარტიაზე, რომელთან ის კოალიციაშია და ერთად აშენებენ „დემოკრატიულ" (ე. ი. ფაშისტურ) გერმანიას.

ერთხელ კიდევ გამოჩნდა ნამდვილი სახე სოციალ-დემოკრატიისა ამ დიდ მასიურ მოძრაობაში. ერთხელ კიდევ აღმოჩნდა, რომ ორი უმთავრეს მოწინააღმდეგე მებრძოლ ძალთა შორის, სოციალ-დემოკრატია გამოდის დამხმარე და აგენტი ბურჟუაზიისა კომუნისტების წინააღმდეგ, ე. ი. იმ პარტიის წინააღმდეგ, რომელსაც ხელთ უპყრია დღეს „მეოთხე წოდების" ბრძოლისა და განთავისუფლების დროშა და რომელიც მიაჩნია ბურჟუაზიას თავის ანგარიშგასაწევ მოწინააღმდეგედ.

N.

საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობა გაფიცულებისადმი

საბჭოთა პროფკავშირებმა ინგლისის გაფიცულთ გადაუგზავნეს 4 მილიონამდე

„ფორვერტსი" უკმაყოფილოა ინგლისის მუშათა მოძრაობის გარევოლიუციონერებით

კაიო შეუდგა მოლაპარაკებას ახალი სესხების ახაღებათ

მუშათა სოლიდარობა

საბჭოთა მუშების დახმარება

მოსკოვი, 12 ივლისი. 8 ივლისს სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ კუკის სახელზე ინგლისის სამთამადნო მუშებს გაუგზავნა 370.000 მან.

დოგადოვის დეპეშაში ნათქვამია: „საბჭოთა კავშირის მუშების შემოწირულებათა ანგარიშში გიგზავნით 370 ათას მანეთს. შემოწირულებათა შემოსვლისთანავე დამატებით გადმოგიგზავნით თანხებს".

3.720.776 მან.

მოსკოვი, 12 ივლისი. სრულიად საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს ცნობით, მაისის და ივნისის თვეების განმავლობაში ინგლისის გაფიცულ სამთამადნო მუშების დამხმარე ფონდში შემოვიდა 3.720.776 მან.

კუკის სიტყვა

ლონდონი, 12 ივლისი. კუკმა გასულ კვირის ბოლოს წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ ახლო მომავალში მოწვეული იქნება ქვა-ნახშირის მრეწველობის ყველა დარგის მუშების წარმომადგენელთა კონფერენცია; ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული ამ კონფერენციაზე განსახილველი კითხვები.

გაზეთები დიდ მნიშვნელობას აძლევენ ამ განცხადებას, რადგან ეს მოწმობს, რომ ბელადები ანგარიშს უწევენ შექმნილ მდგომარეობას და სურთ განამტკიცონ უბრალო სამთამადნო მუშებში მათდამი ნდობა.

შვეციის მუშების დახმარება

პარიზი, 11 ივლისი. მთლიანობის კომიტეტის მოწოდებამ უკვე დადებითი ნაყოფი გამოიღო შვეციაში. სტოკჰოლმის შტუკატურის მუშათა კავშირმა ყველა ხმების უმრავლესობით 2 სოციალ-დემოკრატის ხმის წინააღმდეგ, დაადგინა, გადასდოს 2.000 კრონი ინგლისის სამთამადნო მუშების დახმარების ფონდში. სტოკჰოლმის მელითონეებმა და მთელ რიგ სხვა პროფკავშირთა გაერთიანებებმა დაადგინეს შეკრიბონ დახმარება ინგლისის გაფიცულ მუშათა ფონდისათვის.

„ფორვერტსის" წერილი

ბერლინი, 11 ივლისი. სოციალ-დემოკრატიული „ფორვერტს"-ი სთვლის, რომ მოლაპარაკება, რომელსაც კუკი აწარმოებდა ბერლინში, შეეხებოდა არა მარტო ბრძოლის განგრძობას, არამედ ის ნიშნავს აგრეთვე ინგლისის სამთამადნო მუშების საერთაშორისო ორიენტაციის შეცვლას მოსკოვის ინტერნაციონალზე.

გამცემლები

ბერლინი, 11 ივლისი. პრუსიის ლანდტაგში სამთამადნო სამმართველოს ბიუჯეტის განხილვის დროს სოციალ-დემოკრატებმა უარყვეს კომუნისტების წინადადება ინგლისის სამთამადნო მუშებისათვის დახმარების გაგზავნის შესახებ.

პროლეტარული სოლიდარობა

პარიზი, 11 ივლის. სერენში (ბელგიაში ლიეჟის მახლობლად) მიტინგზე რომელსაც დაესწრო 1500 სამთამადნო მუშა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გაფიცულ სამთამადნო მუშებისათვის მხარის დაჭერის შესახებ.

გაფიცულების დასახმარებლად

სტოკჰოლმი, 10 ივლისი. შვეციის მთლიანობის კომიტეტმა, რომელიც ემხრობა ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტს, გამოაქვეყნა მიმართვა შვეციის მუშებისადმი, რომელშიაც ენერგიულად მოუწოდებს მათ შეკრიბონ დახმარება ინგლისის მემაღაროეებისათვის.

მოწოდება აღნიშნავს, რომ ინგლისის სამთამადნო მუშების გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება მსოფლიო პროლეტარიატისათვის.

სიტრინის კანდიდატურა

ლონდონი, 11 ივლისი. ტრედ-იუნიონების ყოველწლიურ კონგრესზე, რომელიც გაიხსნება სექტემბერში არჩეულ უნდა იქნეს გენერალურ საბჭოს ახალი მდივანი ფრედ ბრამლის მაგიერ, რომელიც წარსულ წელს გარდაიცვალა.

მუშათა პარტიის ორგანოს „დეილი გერალდ"-ის ცნობით, არჩევნების დროს ერთად-ერთი კანდიდატი იქნება სიტრინი, რომელიც ამჟამად ასრულებს გენერალურ საბჭოს მდივნის მოვალეობას.

კაიოს გასტროლები

ყოფილ მეომართა დემონსტრაცია

პარიზი, 12 ივლისი. მოხდა დიდი დემონსტრაცია, რომელიც 20.000 ყოფილმა მეომარმა და ომში დასახიჩრებულმა მოაწყო დემონსტრაციის ოფიციალური მიზანია, რომ მოაგონოს ამერიკას ის საშინელი სისხლი და მსხვერპლი, რომელიც საფრანგეთმა და მოკავშირეებმა გაიღეს იმ დროისათვის, როცა ამერიკელებმა განაცხადეს, რომ მზად არიან ჩაერიონ ომში. ნამდვილად კი დემონსტრაცია მიმართული იყო იმ შეთანხმების პროექტის წინააღმდეგ, რომელიც საფრანგეთის მიერ შეერთებულ შტატებისაგან მიღებულ სამხედრო სესხის მოგვარებას ეხება.

დემონსტრანტებმა გვირგვინით შეამკეს „უცნობი ჯარისკაცის" კუბო და შემდეგ გაემართენ ვაშინგტონის ძეგლისაკენ, რომელიც შეამკეს ასეთი წარწერის გვირგვინით: „ვაშინგტონი—ჩვენი იმედია". ამის შემდეგ ყოფილ მეომართა კავშირის თავმჯდომარემ ჟანჟუამ ძეგლის ძირში დასდო ასეთი წარწერის მარმარილოს ფიცარი;

„საფრანგეთის ყოფილი მეომრები—ამერიკის ერს. დიპლომატიის გარდა, საფრანგეთის ყოფილი მეომრები, რომლებიც დაშორებულნი არიან ფინანსიურ და პოლიტიკურ მოსაზრებებს, უშუალოდ მიმართავენ ამერიკის ერს. საზავო ხელშეკრულებით იმედის გაცრუების შემდეგ, ისინი ილაშქრებენ შეთანხმების წინააღმდეგ, რომელიც საბოლოოდ უმზადებს საფრანგეთს დაღუპვას და დამოუკიდებლობის დაკარგვას. ამერიკა შეიგნებს, რომ საფრანგეთის სინდისიერი და ლოიალური ყოფილი მეომრები მეგობრულად სთხოვენ მას საკითხის ხელმეორე განხილვას".

პოლიციელებმა მიიღეს ინსტრუქცია დაფის აღების შესახებ, მაგრამ ჟუას თხოვნით ნება დართეს მისი დატოვებისა იმ შემთხვევაში, თუ შებრუნებული იქნება და ყვავილებით დაიფარება.

უინციდენტოთ

პარიზი, 12 ივლისი. ყოფილ მეომართა დემონსტრაციას აურაცხელი ხალხი დაესწრო. მსვლელობის დროს წინ მიდიოდენ ბრმები და ომის ინვალიდები, რომლებსაც გაშლილი დროშები მიჰქონდათ. დემონსტრაციამ უინციდენტოთ ჩაიარა.

კაიო ლონდონში

ლონდონი, 12 ივლისი. კაიოს და ჩერჩილის დღევანდელი თათბირიდანაა დამოკიდებული საფრანგეთის სამხედრო სესხისა და ფრანკის სტაბილიზაციის საკითხის გადაწყვეტა.

24 საათში

ბერლინი, 12 ივლისი. პარიზში გამოსთქვამენ იმედს, რომ 24 საათის განმავლობაში კაიო ხელს მოაწერს ხელშეკრულებას საფრანგეთის ამერიკიდან აღებულ სამხედრო სესხის კონსოლიდაციის შესახებ. ინგლისი თავის მხრით ცდილობს, რომ შეთანხმების პირობები შეამსუბუქოს.

კაიოს გამგზავრება

ლონდონი, 12 ივლისი. საფრანგეთის ელჩმა ლონდონში გუშინ დაამთავრა კაიოს შეხვედრისათვის სამზადისი; კაიო როგორც იუწყებიან, ხვალ გადაფრინდება პარიზიდან ლონდონში ჩერჩილთან მოსალაპარაკებლად საფრანგეთის ვალების მოწესრიგების შესახებ. ფიქრობენ, რომ კაიო ლონდონში 24 საათზე მეტს არ დარჩება.

კაიოსა და ჩერჩილს შორის შარშანდელი წინასწარი შეთანხმების გამო, რომლის ძალით საფრანგეთმა იკისრა 62 წლის განმავლობაში ყოველწლიურად 12½ მილ. გირვ. სტერლინგი იხადოს, და იმის გამო, რომ ამასწინედ მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა ბრიტანეთის ხაზინისა და საფრანგეთის ელჩის ფინანსიურ ატაშეს შორის, საერთო აზრი ასეთია, რომ არსებული დაბრკოლებანი გადალახული იქნება და შეთანხმებას ხელს მოაწერენ.

დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 11 ივლისი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში გუშინდელი სხდომა დილამდე გაგრძელდა. ბოკანოვსკი, ბლიუმი და ბონე ამტკიცებენ, რომ ექსპერტთა კომიტეტის ფინანსიური პროექტები ითვალისწინებენ ინფლიაციას და შეუძლებელია მთავრობისათვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭება, როცა მას ჯერ კიდევ საფინანსო რეფორმების პროექტებიც არ წარმოუდგენია და მარტო სიტყვებით დაკმაყოფილდა.

მთელი ოთხი დღის კამათის განმავლობაში პალატაში არც ერთი ორატორი არ გამოსულა მთავრობის ფინანსიური პოლიტიკის დასაცავად. კენჭის ყრის დაწვრილებითი შედეგები კიდევ არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ უკვე გამორკვეულია, რომ არც ერთ პარტიას მთლიანად ხმა არ მიუცია მთავრობისათვის. ნდობის ფორმულის წინააღმდეგ ხმა მისცეს კომუნისტებმა და სოციალისტებმა. თავი შეიკავა 38 კაცმა, მათ შორის ერიომ, პენლევემ და შოტანმა.

საბჭოთა კავშირი და იაპონია

ტოკიო, 11 ივლისი. იმის გამო, რომ იაპონია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება იაპონიისათვის სატყეო კონცესიის მიცემის შესახებ, მოემწყვდა ჩიხში, გაზეთი „სოცი" (პარტია კენსეკაის ორგანო) სწერს, რომ ის შეცდომათ სთვლის დასკვნას, თითქოს მოლაპარაკების შენელება მოწმობს საბჭოთა მთავრობის არა მეგობრულ დამოკიდებულებას იაპონიისადმი. გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი არის მხარე, რომელიც იძლევა კონცესიას, ხოლო იაპონია—მხარე, რომელიც ღებულობს მას.

მოლაპარაკების შენელების მეორე მიზეზათ გაზეთი სთვლის იმას, რომ საბჭოთა მთავრობა აპირებს კონცესიის გაცემას 30 წლით და მას სურს, რომ წინდაწინვე და სავსებით გამორკვეულ იქნეს საკითხი მუშების მდგომარეობის შესახებ, მაშინ, როცა იაპონიის დელეგაცია მხოლოდ მომენტის ინტერესებზე ფიქრობს.

გენერალ ავერესკუს პარლამენტში

ვენა, 11 ივლისი. რუმინეთის პარლამენტში ბესარაბიის საგლეხო პარტიის დეპუტატები თავიანთ სიტყვებში მიუთითებდენ იმ ძალადობაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა არჩევნების დროს.

ისინი აღნიშნავდენ, რომ არჩევნების დროს ადგილი ჰქონდა მკვლელობებს და უკანონო დაპატიმრებებს, განსაკუთრებით სამხრეთ ბესარაბიაში. დეპუტატები აცხადებდენ, რომ ბესარაბიის მოსახლეობა ძლიერ უკმაყოფილოა არსებული რეჟიმით.

საფრანგეთ-ესპანეთის ხელშეკრულება

პარიზი, 12 ივლისი. საფრანგეთ-ესპანეთის ხელშეკრულება ითვალისწინებს ორი ზონის საზღვრების გამორკვევას, მაგრამ არ გულისხმობს 1912 წლის მთავარ ხაზების შეცვლას.

„ჟურნალ"-ის ცნობით, ხელშეკრულების მუხლი, რომელიც აბდ-ელ-ქერიმს შეეხება, საფრანგეთს ავალებს აბდ-ელ-ქერიმი მაროკოდან დაშორებით უნდა იქნეს გადასახლებული.

დიდი აფეთქება

მეხი

ლონდონი, 11 ივლისი. რეიტერის სააგენტოს მორისტაუნიდან ატყობინებენ, რომ ლაკენდერმოკში ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების საზღვაო არსენალში გუშინ მეხის დაცემის გამო მოხდა თოფის წამლის საწყობის აფეთქება.

აფეთქების შემდეგ 80 ოფიცერისა და ჯარისკაცისაგან, რომლებიც იმყოფებოდენ დეპოში, გადარჩა მხოლოდ 20.

დანგრეულია არა მარტო არსენალი, არამედ 30 სახლი მაუნტხოიში 20 მილის დაშორებით.

დაწვრილებითი ცნობები

ლონდონი, 11 ივლისი. „დეილი მეილი"-ს ნიუ-იორკელი კორესპონდენტი იუწყება, რომ **დიდი საზღვაო არსენალი ლაკედნმორკში (ნიუ ჯერსეი) სრულებით დანგრეულია. აფეთქება 7 საათს გაგრძელდა.**

ზარალი ჯერ არ არის სავსებით გამორკვეული, 150-მდე კაცი მოთავსებულია ჰოსპიტალებში.

კატასტროფა გამოიწვია მეხის დაცემამ ძლიერი ქარიშხალის დროს.

მეზობელ სოფლებში მრავალი სახლი დაინგრა. სოფელი მაუნტხონი, რომელიც ერთი მილით არის დაშორებული არსენალს სრულებით განადგურებულია.

რადგან აფეთქების დღეს შაბათი იყო სამსახურში მხოლოდ რამოდენიმე ათეული მეზღვაური იმყოფებოდა.

ყველაზე დიდი ზარალი მოჰყვა 700.000 გირვანქა შავი თოფის წამლის აფეთქებას.

ნაპერწკლებისა და შენობების ნამტვრევებისაგან მოსალოდნელი იყო კიდევ უფრო დიდი კატასტროფა და ამიტომ, რამოდენიმე ქალაქიდან გამოწვეულ იქნა ცეცხლის მქრობელი რაზმები და ჯარის ნაწილები.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, **ზარალი 16 მილ. გირ. სტერლინგს აღწევს.**

საბჭოთა პრესა

მოქალაქეთა უფლებების დაცვა

საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თვით მოსახლეობის მონაწილეობას ჩვენი დაწესებულების თუ ცალკე თანამდებობრივ პირთა მოქმედების კანტროლში. ამ მხრივ საყურადღებოა რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის მიერ ამას წინად მიღებული დადგენილება, რომელიც აწესებს მოქალაქეთა უფლებებს სახელმწიფოებრივ დაწესებულებების თუ ცალკე თანამდებობრივ პირის უკანონო მოქმედებაზე საჩივრის შეცვლის დროს. გაზ. „გუდოკ"-ი გადმოგვცემს ამ კანონის მთავარ მომენტებს:

„ახალი კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ საჩივარი შეიძლება აღძრან იმ პირებმა და ორგანიზაციებმა, რომელნიც პირადად არც კი იქნებიან დაინტერესებული ამა თუ იმ საკითხით. იღებს რა მხედველობაში წერაკითხვის მცირე მცოდნეთა და სრულებით არ მცოდნეთა დაბრკოლებებს წერილობითი საჩივრების შეტანაში, კანონპროექტი ავალებს სახელმწიფოებრივ ორგანოებს მიიღონ და განიხილონ საჩივრები არა მარტო წერილობითი, არამედ სიტყვიერი ფორმითაც. კიდევ მეტი, ის თანამდებობრივი პირნი, რომელნიც უარს იტყვიან საჩივრების მიღებაზე ან გააჭიანურებენ მათ განხილვას, პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

რათა იმ პირებმა, რომელთაც შეიტანეს განცხადება ხელისუფლების ორგანოების არა სწორ თუ უკანონო მოქმედებაზე, იცოდენ თუ ის განცხადების შედეგი, ორგანოები, რომელთაც საჩივრის გამო გადაწყვეტილება გამოიტანეს, ვალდებული არიან დაინტერესებულ პირთ აცნობონ თავის გადაწყვეტილების შედეგი.

რუსეთის ცაკის პრეზიდიუმი აღნიშნავს ხუთ ძირითად დაწესებულებას, რომელთაც შეუძლიათ ხელისუფლების ორგანოების და თანამდებობრივ პირთა არა სწორ მოქმედებაზე საჩივრების მიღება; ესენია: სამოსამართლო-საგამომძიებლო ორგანოები პროკურატურა, მუშათა და გლეხთა ინსპექცია, სათანადო აღმასრულებელი კომიტეტები და, ბოლოს, ზევით მდგომი საუწყებო ორგანოები.

რათა არც ერთი საჩივარი არ დაიკარგოს ან არ გაქრეს, მის თვითეულ შემტანს უნდა მიეცეს ცნობა დროისა და ადგილის, აგრეთვე საჩივრის მიმღებ პირის აღნიშვნით".

მეტად საგულისხმო დადგენილებაა, რომელიც უეჭველად დიდად შეუწყობს ხელს რევოლიუციონურ კანონიერების შემდგომ განმტკიცებას, მოქალაქეთა უფლებების უზრუნველყოფას. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა, ხსენებულ დადგენილების ზოგადსაკავშირო მნიშვნელობის გამო, გადაუგზავნა იგი დასამტკიცებლად საბჭოთა კავშირის ცაკს, და მოკლე დროში ეს დადგენილება მიიღებს სრულიად საკავშირო კანონის ძალას. მისი გამოცემა და ფართე პოპულიარიზაცია ფართე მასსებში უტყუარი საწინდარი იქნება საბჭოთა აპარატის გაჯანსაღების და მასსის უფრო აქტიური მონაწილეობისა მართვა-გამგეობაში და მშენებლობაში.

რაკოშის პროცესი

პროცესის წინ

ბერლინი, 11 ივლისი. რაკოშის პროცესის დაწყების გამო, ბუდაპეშტში ბერლინიდან გაემგზავრენ კომუნისტი-დეპუტატი როზენბერგი, ცნობილ იურისტი სოციალ-დემოკრატი **როზენფელდი** და **კრეიბიხი**. მოელიან აგრეთვე ბარბიუსს.

უფროსების კარნახით

პარიზი, 11 ივლისი. გაზეთების ცნობით, ლიუქსენბურგის მთავრობამ თავისი ქვეყნის ფარგლებიდან გააძევა 8 იტალიელი და პოლონელი კომუნისტი, უკანასკნელთ დააბრალეს მონაწილეობა „საიდუმლო ორგანიზაციებში".

დეპუტატის „ხელშეუხლებლობა"

ბერლინი, 11 ივლისი. საქსონიის ლანდტაგმა 43 ხმით 33-ის წინააღმდეგ უარყო უცხო კომუნისტების წინადადება ლანდტაგის დეპუტატ კომუნისტ მეტხერის განთავისუფლების შესახებ.

უნგრეთის რეაქციის ერთგული მსახურნი

„იზვესტია", ამ სათაურით მოთავსებულ წერილში, რომელიც ეხება რაკოშისა და სხვა 58 უნგრელი რევოლიუციონერის გასამართლებას, შემდეგს სწერს:

„12 ივლისს, რეაქციონურ-ბურჟუაზიული სასამართლო დაანახვებს მთელს ქვეყანას იმ ერთსულოვნებას, რომელიც არსებობს ამ სასამართლოსა და უნგრეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის შორის, იმ პარტიის, რომელიც ყველაზე უფრო ქვემძრომი და გამყიდველია მეორე ინტერნაციონალში შემავალ პარტიათაგან.

გასულ წელს, როდესაც უნგრეთის სასამართლო სიკვდილის განაჩენს უმზადებდა რაკოშის, იგი შეეცადა თავის უკანასკნელ სიტყვაში დაესაბუთებინა უნგრეთის სოციალ-დემოკრატების მოღალატური საქმიანობა. რაკოშიმ შესწყვიტა თავისი სიტყვა და ასე დაამთავრა:

„თუ საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარე ჰუნგრეთის სოციალ-დემოკრატების საქმიანობით, ეს წარმოადგენს ყველაზედ უფრო სასტიკ კრიტიკას ამ პარტიის მოღვაწეობასა".
წეობისა".

რაკოში, რასაკვირველია, მართალი იყო, როგორც საბუთებიდან სჩანს, უნგრეთის სოციალ-დემოკრატები მჭიდრო კავშირში არიან რეაქციონურ და შავ-რაზმულ მოსამართლეებთან. 1919 წელს სოციალ-დემოკრატები მიესალმენ ხორტის, რომელიც ემზადებოდა დედა-ქალაქში შესასვლელად და კომუნისტებისაგან მის „გასაწმენდად". ისინი აცხადებდენ, რომ ხორტის შეხვდებიან არა როგორც მტერს, არამედ როგორც უნგრეთის დამოუკიდებლობის პირველ გამომჟღავნებას.

ამაზე უფრო წინედ, სოციალ-დემოკრატები გაზეთში აცხადებდენ, რომ „მზად ვართ წელში გაუმართავად ვიმუშაოდ დაკოჟრებული ხელებით ეროვნულ აღორძინებისა და გამოფხიზლების მიზნისათვის და თქვენ სიბრძნეს ვანდობთ მაღალ-ღირსეულო ბატონო, უზენაესო მმართველო, ჩვენს ბედსა და ამ ხელებით შექმნილ დირებულებას".

1921 წელს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უნგრეთის მთავრობასთან დასდო ხელშეკრულება შეთანხმებული მუშაობის შესახებ და განაცხადა, რომ იგი გამოიყენებს თავის კავშირს ზომიერ სოციალ-დემოკრატიულ წრეებთან იმ ხმების განსაფანტავად, რომელიც მრავლად გავრცელდა უნგრეთში გამეფებული ტერორის შესახებ.

დღემდე უნგრეთის სოციალ-დემოკრატია მუხლ-მოდრეკილი სდგას უნგრეთის მმართველ ხორტის წინაშე.

დღეს, როდესაც უნგრეთის შავრაზმელები ამზადებენ მუშათა კლასის საქმისათვის თავდადებულ მებრძოლთა მცირე ჯგუფის მასსების საქმეს, ისინი სრული უფლებით ასვამენ თავიანთი სასამართლოს უკვე წინასწარ გათვალისწინებულ განაჩენზე სოციალ-დემოკრატების ბეჭედს, რომ ამით გაამართლონ უნგრეთის რეაქციის მოქმედება მთელი ქვეყნის წინაშე.

მაგრამ, მათ აიწყდებათ მთელი ქვეყნის მოწინავე მუშებისა და გლეხების სასამართლო. ამ სასამართლომ უკვე დიდი ხანია მიუსაჯა სოციალ-ქვემძრომთა პარტიას ის სამარცხვინო ბოძი, რომლისგანაც მარქსის ამოოქმით, მათ უკვე ვერარავინ ჩამოხსნით.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

მოსკოვი, 12 ივლისი.

ჩინეთის რეაქცია

კორესპონდენტების დევნა

ტოკიო, 11 ივლისი. ჩინეთის დეპეშათა სააგენტოს სამმართველომ, საკავშირო დეპეშათა სააგენტოს და იაპონიის დეპეშათა სააგენტოს რენგოს (ყოფილი კოკუსაი) კორესპონდენტებს აუკრძალა დეპეშების გაგზავნა პრესტარიფით იმ მოსაზრებით, რომ ამ კორესპონდენტების მიერ გაგზავნილი დეპეშები, თითქოს, „შეურაცხყოფას აყენებენ ჩინეთის ტელეგრაფის კანტორების პერსონალის გრძნობებს".

იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტროს ჯერ-ჯერობით არ მოსვლია დაწვრილებითი ცნობები ხსენებულ ინცინდენტის შესახებ. სამინისტრო სთვლის, რომ ამ ნაბიჯით ჩინეთმა დაარღვია საერთაშორისო სატელეგრაფო კონვენციის მე-7-ე და მე-8-ე პარაგრაფები.

რეაქციის შეტევა

ლონდონი, 12 ივლისი. პეკინიდან მიღებული ცნობით, **უ-პეი-ფუს და ჩან-ძო-ლინის მოკავშირე არმიებმა დაიწყეს შეტევა გომინდანის არმიის წინააღმდეგ.** იუწყებიან, რომ სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. ზარბაზნის ხმა პეკინში ისმის.

ოთურმა

პეკინი, 11 ივლისი. ჩინეთის კაბინეთის მეორე სხდომაზე დამტკიცებულ იქნა ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციის დელეგაციის თავმჯდომარის **ვან-ჩენ-ტინის** გადადგომა. ვან-ჩენ-ტინის ადგილზე ჯერ არავინ არ არის დანიშნული. სამხედრო მინისტრის ჩაგან-ჰი-კაის გადადგომა კაბინეთმა არ დამტკიცა.

გაფიცვები შანხაიში

პეკინი, 11 ივლისი. **შანხაის საგაფიცვო მოძრაობა**, რომელიც განახლდა შანხაის დახვრეტების წლისთავზე **თანდათან ფართოვდება**. შანხაის პროფკავშირთა საბჭო, მიუხედავათ იმისა, რომ ის ოფიციალურად დახურული იყო, განაგრძობს მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობას. **მუშათა მასები პროფკავშირების გახსნას მოითხოვენ.**

მუშების დეპუტაცია ყოველ დღე მიდის კოალიციაში და მოითხოვს პროფკავშირთა საბჭოს გახსნას.

აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკებში გაფიცვები უმეტეს ნაწილად დამთავრდა. მუშების მოთხოვნილებები ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია. ეხლა გაფიცულია მხოლოდ რამოდენიმე ფაბრიკა.

იუწყებიან, რომ **ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღო სუნ-ფუან-ჩანის ინსტრუქცია ყველა მუშათა კავშირების დახურვის შესახებ. მუშათა კავშირებს ბრალს სდებს იმაში, რომ ისინი ხელს უწყობენ გაფიცვას.**

გაფიცვა ამერიკაში

ბერლინი, 12 ივლისი. **ნიუ-იორკში ელექტრო-სადგურის მუშები მიწისქვეშ რკინის-გზის გაფიცულ ვატმანებს შეუერთდენ.**

2000-ზე მეტი მგზავრი იძულებული გახდა მნიშვნელოვანი მანძილი გაეარა გვირაბით, მას შემდეგ რაც მატარებლის მსვლელობის დროს შესწყდა ენერგიის მიწოდება.

რეაქციონერების პროცესი ოსმალეთში

პარიზი, 12 ივლისი. ანგორიდან მიღებული ცნობის მიხედვით, დამთავრდა ანტი-ქემალისტების შეთქმულება პროცესი. 12 კაცს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, 5 კაცს საკატორღო მუშაობა და 12 კაცი გაამართლეს.

ინგლისელების წინააღმდეგ

ბერლინი, 12 ივლისი. კაპშტატიდან მიღებული ცნობით, მთავრობის ორგანო აღნიშნავს, რომ სამხრეთ-აფრიკის კავშირის მთავრობა მხარს დაუჭერს კანადას და ირლანდიის გენერალ-გუბერნატორის ადგილობრივ სახელმწიფო მოღვაწეების წრიდან დანიშვნის საკითხში და აგრეთვე პირდაპირი უშუალო მიწერ-მოწერის საკითხში დომინიონებსა და საიმპერიო მთავრობას შორის.

სტიქიური უბედურება

გერმანიაში

ბერლინი, 11 ივლისი. გერმანიის **ყველა კუთხეებიდან იტყობინებიან ახალ ნიაღვრების შესახებ.** განსაკუთრებით ძლიერ ნიაღვრებს ადგილი ჰქონდა ვეიმარის მაღაროებში. ბერლინში ამინდი ცვალებადია.

იაპონიაში

ტოკიო, 11 ივლისი. **დასავლეთ იაპონიაში მოვიდა ძლიერი ნიაღვარი, რომელმაც გაანადგურა 4.500 სახლი. დაიღუპა 30-მდე კაცი.**

მექსიკაში

მექსიკო, 11 ივლისი. ძლიერი წყალდიდობის გამო, **მექსიკაში შეწყდა სარკინის-გზო მიმოსვლა მექსიკასა და შეერთებულ შტატებს შორის.**

მექსიკო, 11 ივლისი. პუებლოდან მიღებული ცნობით, ძლიერი ნიაღვრის გამო, **მთელი ქალაქი წყლით არის დაფარული. დაიღუპა 20-მდე კაცი.**

მიწის ძვრა

ბერლინი, 11 ივლისი. ამსტერდამიდან იტყობინებიან, რომ **პედანგში მოხდა ახალი მიწის ძვრა.** ჰოლანდიის ინდოეთის გენერალ-გუბერნატორი იუწყება, რომ მოკლულია 22 კაცი.

სიცხე ამერიკაში

ბერლინი, 11 ივლისი. ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობით, **ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში უჩვეულო სიცხის გამო მრავალი ხალხი დაიხოცა. ნიუ-იორკში სიცხე აღწევდა 90 გრადუსამდე ჩრდილში.**

ცეცხლისმქრობელი რაზმელები წყალს ასხამენ მოთამაშე ბავშვებს.

სხვადასხვა

მოლაპარაკება მაროკოს შესახებ. ოფიციალური ცნობა იუწყება, რომ საფრანგეთ-ესპანეთის მოლაპარაკება მაროკოს შესახებ, დამთავრდა.

პორტუგალიაში. დე კოსტას მთავრობის სწრაფი დაცემის მიზეზად იმას სთვლიან, რომ იგი პოლიტიკურ საკითხებში კარგათ ვერ ერკვეოდა.

მეფე ფუადი. ეგვიპტეს მეფე ფუადმა უარი სთქვა ევროპაში გამგზავრებაზე.

პრიმო დე-რივერა. პრიმო დე-რივერამ იკისრა პოლიციური დიქტატორის როლი; მან დააპატიმრა 170 კაცი, რომლებსაც ბრალად ედებათ უკანასკნელ შეთქმულებაში მონაწილეობის მიღება.

ნავთი მარტინიკაზე. „მატენ"-ის ცნობით, მარტინიკის (ამერიკაშია) კუნძულზე აღმოჩენილ იქნა ნავთი.

ბულგარეთ-რუმინეთის საზღვრებზე. რუმინეთის პრესა იტყობინება ბულგარეთის ბრბოების დობრუჯაზე თავდასხმის შესახებ. ბულგარეთის ცნობები კი ამტკიცებენ, რომ დობრუჯის საზღვარზე რუმინეთის ჯარისკაცები თავს დაესხნენ ბულგარეთის სანაპირო რაზმს და გადავიდნენ ბულგარეთის ტერიტორიაზე.

„ჯავშნოსანი პოტიომკინი" აწუხებს. ლიუდვიგსჰაფენში ბავარიის მთავრობამ აკრძალა კინო ფილმის „ჯავშნოსანი პოტიომკინის" ჩვენება.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

მივლინების შესახებ

მოსკოვი, 12 ივლისი. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა იმ მივლინებულ პირთათვის, რომელნიც შეთავსებით მუშაობენ, აუცილებელი დღიური განაკვეთი უნდა გამოირკვეს მივლინებულ პირის იმ დაწესებულებაში ნამუშევარის მიხედვით, რომელმაც ის მიავლინა. პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად დაინახა დღიური მაქსიმალობა, განსაზღვროს, რომელსაც სახელმწიფო დაწესებულებანი და წარმოებანი იხდიან. ერთ თვეზე მეტი დროით მივლინების დროს დაშვებულია შეთანხმება დღიური განაკვეთის შემცირების და აგრეთვე შენობის დაქირავების არსებულ ნორმიდან 25 პროც. დაკლების შესახებ.

შვებულებაში წასვლა

მოსკოვი, 12 ივლისი. საკავშირო კომისართა საბჭოს ნებართვით ს. ს. ს. რ-ის ფინანსთა სახალხო კომისარი ბრიუხანოვი თვე ნახევრით შვებულებაში წავიდა. ბრიუხანოვის შვებულებაში ყოფნის დროს მის მოვალეობას შეასრულებს ს. ს. ს. რ-ის ფინსახკომის მოადგილე კუზნეცოვი.

თეთრი ტერორის წინააღმდეგ

მოსკოვი, 12 ივლისი. ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტმა მსოფლიოს მთელ მშრომელ ახალგაზრდობას მიმართა მოწოდებით, იმის შესახებ, რომ მათ მოითხოვონ პოლონეთის 5.000 პოლიტიკური პატიმარის განთავისუფლება, პროტესტი გამოაცხადონ პილსუდსკელების თეთრი ტერორისა და პროვოკატორი ვიტკოვსკის მკვლელის შილინსკის გასამართლების სამზადისის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის მუშა-ქალები ინგლისის მუშებს ეხმარებიან

მოსკოვი, 12 ივლისი. საკავშირო პროფკავშირების ცენტრალურ კ. საბჭოსთან შექმნილ ინგლისის გაფიცულ მემაღაროეთა და მათი ოჯახების დამხმარე მუშა-ქალთა კომიტეტში შედიან მოსკოვისა, ლენინგრადის, ივანოვო-ვოზნესენსკის და ტვერის წარმომადგენლები. დონბასის წარმომადგენლებს დამატებით აირჩევენ.

მუშა-ქალთა კომიტეტის მოწოდების საპასუხოდ შეგროვილი ფული უნდა გაიგზავნოს სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკში საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს სახელდახელო ანგარიშზე № 543 და სახელმწიფო ბანკში № 5538.

საბიუჯეტო კომისიის პლენუმი

მოსკოვი, 12 ივლისი. 12 ივლისს გაიხსნა საკავშირო ცაკის საბიუჯეტო პლენუმი.

კავშირისა და საკავშირო რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა ახალი დებულების პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბრიუხანოვმა.

ცვლილებანი შეეხო ახალ საბიუჯეტო შემოსავალთა საკითხებს. სახ. კომ. საბჭომ გამოსთქვა აზრი, რომ სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და შემოსავლის კვალობაზე გადასახადის 99% გადაეცეს საკავშირო რესპუბლიკების მთავრობებს; ყველა კონცესიების შემოსავლის 50%, მოგების 50%, რომელიც გადარიცხულ უნდა იქნეს ხაზინაში იმ წარმოებათაგან, რომელთა მმართველობის მანდატები გადაცემული აქვთ საკავშირო რესპუბლიკების მთავრობებს. საკავშირო რესპუბლიკების შემოსავალში უნდა ჩაირიცხოს აგრეთვე ყველა სახელმწიფო ფონდების გაყიდვისაგან მიღებული მთელი წმინდა მოგება, მიუხედავად იმისა, ითვლებიან ისინი რესპუბლიკანურად თუ საკავშიროდ. ეს პუნქტი არ ეხება ადგილობრივ ანარიცხთაგან მიღებულ ფონდებს, რომელთა მოგება ადგილობრივ ბიუჯეტში შედის. 1926—27 წლის ბიუჯეტის საკონტროლო განხილვამ გვიჩვენა, რომ ამ შემოსავალის წყაროთ გადაცემა არ იძლევა საკავშირო რესპუბლიკათა ბიუჯეტების უდეფიციტოთ შედგენის საშუალებას და საჭირო ხდება ახალი დამატებითი შემოსავლის წყაროების გადაცემა მათ განკარგულებაში.

ამიტომ სახ. კომ. საბჭო სცნობს, რომ საკავშირო რესპუბლიკათა შემოსავლის ნაწილში შეტანილი უნდა იქნას კავშირის მასშტაბით საღერბო გადასახადის საერთო შემოსავლისაგან აღებული ანარიცხი იმ რაოდენობით, რომელსაც ყოველ ცალკე საკავშირო რესპუბლიკისათვის აწესებს ცაკი კავშირის სახ. კომ. საბჭოს წინადადებით, ყოველწლიურად, არა უგვიანეს 3 თვისა საბიუჯეტო წლის დასაწყისამდე.

სახ. კომ. საბჭომ აუცილებლად სცნო, რომ საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტები დაამტკიცოს კავშირის ცაკმა ყოველი საკავშირო რესპუბლიკის შემოსავლისა და გასავლის საბალანსო ჯამების მიხედვით, ამასთანავე, საბალანსო ჯამების ნომენკლატურა ცაკის განსაკუთრებული დადგენილებით უნდა დაწესდეს. საკავშირო მთავრობის უფლება განსაზღვრულია იმის შემოწმებით, თუ რამდენად შეეფერება საკავშირო რესპუბლიკის მიერ შედგენილი სამეურნეო და საბიუჯეტო გეგმა კავშირის მეურნეობის საერთო გეგმასა და საერთო-საკავშირო კანონმდებლობას. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბიუჯეტი არ ეთანხმება საერთო-საკავშირო გეგმასა და კანონმდებლობას, ეძლევა უფლება კავშირის მთავრობას, რომ არ დაამტკიცოს საკავშირო მთავრობის ბალანს-მოხდენილი ბიუჯეტი და დაუბრუნოს იგი რესპუბლიკის მთავრობას ხელმეორე განსახილველად.

საბიუჯეტო უფლების ახალი დებულების განხილვის დროს დიდი კამათი გამოიწვია საკავშირო რესპუბლიკების აღსრულების კავშირის ბიუჯეტის აღსრულებისაგან განცალკევების საკითხმა. კავშირის სახ. კომ. საბჭომ არ სცნო შესაძლებლად ბიუჯეტების განცალკევებითი შესრულება და კავშირის სალაროს მთლიანობის უარყოფა.

ყოველმხრივი მომჭირნეობის აუცილებლობა და კავშირის სალაროში მყოფ მთელი ნაღდი ფულის გამოყენების შესაძლებლობის უზრუნველყოფა მოითხოვს სალაროს მთლიანობის სრულ დაცვას. მხოლოდ აღრიცხვის ცენტრალისტურ მასშტაბით სწორ ნიადაგზე დაყენება მოგვცემს საშუალებას, რომ სისწორით ვადევნოთ თვალ-ყური საკავშირო აღსრულების მსვლელობას.

მოხსენება, ქვეკომისიის სახელით, რომელიც საბიუჯეტო კომისიის წარსულ პლენუმზე იქმნა არჩეული კავშირისა და საკავშირო რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა დებულების გამოსამუშავებლად, გააკეთა საკავშირო ცაკის საბიუჯეტო კომისიის მდივანმა ამხ. ვეტოშკინმა. ქვე-კომისიამ განიხილა სახ. კომ. საბჭოს მიერ წარმოდგენილი პროექტი და ძირითად საფუძველებში დაეთანხმა მას.

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

პიონერთა სახლები

ბაქო, 12 ივლისი. აზერბეიჯანის ახალგ. ლენინ. კომ. კავშირის ცეკამ დასვა საკითხი საბავშო და პიონერთა სახლების ერთი ნაწილის რეორგანიზაციის შესახებ.

იოდის ქარხანა

ბაქო, 12 ივლისი. ს. ს. რ. კ-ში იოდის პირველი საცდელი ქარხანა ბეიუქშორში უკვე შეუდგა იოდის დამუშავებას.

ტუბერკულიოზის სამდღიური

ბაქო, 12 ივლისი. ჯანსახკომთან დაარსდა ცენტრალური კომისია სექტემბრისათვის აზერბეიჯანში ტუბერკულიოზის სამდღიურის ჩასატარებელ კამპანიის მოსამზადებლად.

საბინაო შემოსავალი

ბაქო, 12 ივლისი. ბაქოს ყველა საბინაო კოოპერატივების საერთო შემოსავალი წლიურად შეადგენს 1.300.000 მანეთს.

საბინაო მშენებლობა

ბაქო, 12 ივლისი. ბაქოს ყველა საბინაო საამშენებლო კომიტეტმა ცენტრალურ კომუნალურ ბანკიდან მიიღო სესხი 60.000 მანეთის რაოდენობით წყალზე მომუშავეთა სახლის ასაშენებლად.

არმენიკენდის ელექტროფიკაცია

ბაქო, 12 ივლისი. აზერბეიჯანის ნავთის ელექტრო-ჩქერმა დაამუშავა არმენიკენდის ელექტროფიკაციის პროექტი. ელექტროფიკაცია ჯდება 20.084 მანეთი.

ელექტრო-სადგური

შემახა, 12 ივლისი. შეუდგენ ელექტრო-სადგურის შეკეთებას და მოწყობას. ცენტრალურმა კომუნალურმა ბანკმა ელექტრონის სადგურის შესაკეთებლად გაიღო 15.000 მანეთი.

შემახა, 12 ივლისი. სწარმოებს ქალაქის წყალსადენის და ტელეფონის ხაზის შეკეთება შემახა-კარასის და შემახა-ბუსკალის შორის.

ნაჯაფ—ბექ—ვეზიროვის სიკვდილი

შემახა, 12 ივლისი. გულის ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა თურქთა ცნობილი დრამატურგი ნაჯაფ—ბექ—ვეზიროვი. განსვენებულის ცხედარი გაგზავნილი იქნება ბაქოში.

მშენებლობა

შემახა, 12 ივლისი. საბინაო კოოპერატ. ამხანაგობა შეუდგა ორი სახლის აგებას მოსამსახურეებისათვის. რემონტი უკეთდება სკოლებს ქალაქსა და სოფლებში.

საქართველო

საკრედიტო ამხანაგობა

ახალქალაქი, 12 ივლისი. გაიხსნა სატხის საკრედიტო ამხანაგობა, რომლის ძირითადი კაპიტალი 5.000 მანეთს უდრის.

ოზურგეთის ამბულატორია

ოზურგეთი, 12 ივლისი. სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება, რომლის მიხედვით ქალაქის ამბულატორიის ყველა განყოფილებები დაქირავებული შენობიდან სამაზრო ცენტრალურ საავადმყოფოში უნდა გადაიტანონ, რაიც 400 მანეთის მომჭირნეობას გამოიწვევს.

ჩ ა ი

ოზურგეთი, 12 ივლისი. გლეხთა პლანტაციებზე ნაწილობრივად დაიწყო ჩაის ფოთლების მეორედი მოგროვება. მიმდინარე წელში ჩაის მოსავალი საშუალოა.

უკანასკნელი ცნობები

ბრძოლა ამინისტიისათვის

ვარშავა, 11 ივლისი. პოლიტიკურ ტუსაღთა ამინისტიისათვის მებრძოლ საპარტიათაშორისო კომიტეტში შევიდა უკრაინელთა კავშირი.

პეპეესოველების მიტინგზე სლონიმში გამოიტანეს რეზოლიუცია პოლიტიკურთა დაუყოვნებლივი ამინისტიის შესახებ. დემონსტრაცია მწყობრივ რიგებით გაემართა ციხისკენ. პოლიციამ გაფანტა დემონსტრანტები და დასჭრა 40 კაცი, რომლებსაც სცემეს პოლიციელებმა.

მემარჯვენეთა და ცენტრის ხელმძღვანელობით

ვარშავა, 11 ივლისი. სეიმის მუშათა კომისიას, რომელიც მთავრობის მიერ შეტანილი კონსტიტუციის შეცვლის პროექტს განიხილავს, მემარჯვენენი და ცენტრი ხელმძღვანელობენ.

კომისიამ მიიღო პროექტი, შემდეგი შესწორებებით: პარლამენტის დადგენილებათა აღკრძალვის უფლება, რომელსაც მთავრობა მოითხოვდა, შეზღუდულია; პუნქტი, რომელიც პრეზიდენტს ანიჭებს უფლებას, რომ დეკრეტები გამოსცეს პარლამენტის გარეშე, აზრთა სხვადასხვაობის გამო ქვე-კომისიას გადაეცა; საკითხი მთავრობის უფლებისა, რომ მან მართოს უპარლამენტოდ 1927 წლის დამლევამდე, გამოყოფილია პროექტიდან, მთავრობა წავიდა დათმობაზე და დასთანხმდა, რომ ეს საკითხი სეიმში შეიტანოს ცალკე კანონპროექტის სახით.

მემარჯვენეებმა შესძლეს აგრეთვე შესწორების გატარება დეპუტატის ხელშეკრულების შეზღუდვის შესახებ.

საიდუმლო შეთანხმება

ვარშავა, 11 ივლისი. სეიმის ადმინისტრატიულ კომისიაში, რომელიც კანონპროექტს ამზადებს თვითმმართველობის შესახებ, მემარჯვენეებმა, პეპეესოველებმა და ვიზვოლიენიემ დასდეს საიდუმლო შეთანხმება და გაატარეს რეაქციონური კანონპროექტი, რომელიც ეროვნულ უმცირესობის წინააღმდეგ არის მიმართული.

უნშლიხტი—ბალტიის ზღვაზე

ლენინგრადი, 12 ივლისი. სამხედრო-რევოლიუციონური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. უნშლიხტმა ინახულა ბალტიის ფლოტი. მან ინახულა ერთ-ერთი სანაპირო თავდაცვის უძლიერესი ფორტი, რომელიც რამდენიმე წუთში იქნა მოყვანილი საბრძოლველ მდგომარეობაში.

ამხ. უნშლიხტმა დაათვალიერა ბალტიის ზღვის ფლოტის გემები და მიესალმა მეზღვაურებს.

იგი მიესალმა აგრეთვე ზღვის ნაპირის ფორტების რაზმს და აღნიშნა ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრება მათ საბჭოთა კავშირის საზღვრების დაცვის საქმეში.

მაღაროს მეპატრონეთა წინადადება

ლონდონი 11 ივლისი. იორკშირის მაღაროებში (დამახინჯებულია), სადაც 46.000 მუშა მუშაობს, მწარმოებლები წინადადებას იძლევიან, რომ აპრილის ხელფასთან შედარებით 9 პროცენტს მოუმატებენ.

სამხრეთ-უელსის, შოტლანდიის, იორკშირის, ნოტიმგამპშაირის და ლანკაშირის მაღაროებში, რომლებშიც მუშაობს 800.000 მუშა, მწარმოებლები აცხადებენ, რომ აპრილის ხელფასს მისცემენ.

დორგემისა და ნორტუმბერლენდის მაღაროებში, სადაც მუშაობს 210.000 მუშა, მაღაროს მეპატრონეები მოითხოვენ სამუშაო ხელფასის 10 პროც. შემცირებას აპრილის სამუშაო ხელფასთან შედარებით.

გერმანია-ესტონეთის საკონსულო კონვენცია

ბერლინი, 12 ივლისი. გარეშე საქმეთა სამინისტროში შესდგა გერმანია-ესტონეთის საკონსულო კონვენციის რატიფიკაცია.

გაფიცვა და ინგლისის საგარეო ვაჭრობა

ლონდონი, 12 ივლისი. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ცნობიდან სჩანს, რომ სამთამადნო გაფიცვამ დიდი გავლენა იქონია ვაჭრობაზე. წელს, ივნისში ექსპორტი უფრო ნაკლებია (დამახინჯებულია) გასული წლის ივნისზე. იმპორტი კი უდრიდა ივლისში 97,3 მილ. გირვ. სტერლინგს, დაახლოვებით 13,5 მილ. სტ. ნაკლები, ვიდრე ეს იყო გასული წლის ივნისში.

უნდა აღინიშნოს, რომ ივნისში იმპორტიც და ექსპორტიც ცალ-ცალკე მეტი იყო, ვიდრე მაისში. ექსპორტი გაიზარდა 4 მილიონით, იმპორტი კი 16 მილ. გირ. სტ.

ინდოეთისა, ცეილონისა, სრუტეების პროვინციებისა და ჩინეთისათვის გარანტია მიეცემათ მხოლოდ ისეთი საქონლის მიმართ, რომლისათვის გრძელვადიან სესხს მოითხოვენ. პრემიები გარემოების მიხედვით მიეცემათ. შუამდგომლობანი აღნიშნულ გარანტიათა შესახებ მთავრობის სათათბირო კომიტეტში შეიტანება ხოლმე.

სემიუელმა აცნობა დღეს პალატას, რომ ეს კომიტეტი უკვე შესდგა. კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულია პოლკოვნიკი როდნეი პილი. კომიტეტის დანარჩენ წევრებს მნიშვნელოვანი ადგილები უჭირავთ საფინანსო, საბანკო, სამრეწველო და დამზღვევ ორგანოებში.

სემიუელმა განაცხადა, რომ ეს გეგმა ძალაში იქნება მხოლოდ სამი წლის განმავლობაში. მთავრობა იმედოვნებს, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ საქმე გადავა მსხვილ დამზღვევ კამპანიების ხელში, მათი ჩვეულებრივი კომერციული ოპერაციების ახალი დარგის სახით.

ბრიტანეთის გარანტია ექსპორტიორებისათვის

ლონდონი, 12 ივლისი. საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტის საპარლამენტო მდივანმა სემიუელმა დღეს თემთა პალატაში წარადგინა ახალი გეგმის პროექტი, რომელიც კაბინეტმა დაამტკიცა. ეს პროექტი ბრიტანეთის იმ ფირმების კრედიტებს უზრუნველყოფს დაკარგვისაგან, რომლებიც საზღვარ-გარედ გზავნიან თავის საქონელს. გეგმის უმთავრესი ღონისძიება იმაში მდგომარეობს, რომ მთავრობა უზრუნველყოფს ბრიტანეთის ექსპორტიორებისათვის იმ კრედიტის ჯამის 75 პროც., რომელიც საზღვარ-გარეთის მყიდველებს მიეცემათ. გარანტია არ მიეცემათ რუსეთის მყიდველების მიმართ.

საშიშროების წინაშე

პარიზი, 12 ივლისი. „პტი პარიზიენის" ცნობით, შეიძლება ბულგარეთ-რუმინეთის საზღვრებზე მომხდარ ინციდენტმა დიდი გართულება გამოიწვიოს ბალკანეთში.

დ.აკოსტას გადასახლება

პარიზი, 12 ივლისი. ლისაბონიდან იუწყებიან რომ გენერალი გომეც დ.აკოსტა გადასახლებული იქნება აზორის კუნძულზე.

კაიო-ჩერჩილის შეთანხმება

ლონდონი, 12 ივლისი. ხაზინა ოფიციალურად იუწყება, რომ მოხდა სრული შეთანხმება კაიოსა და ჩერჩილს შორის ყველა აქამდე გადაუწყვეტელ კითხვებში ინგლისისადმი საფრანგეთის სამხედრო ვალების მოგვარების შესახებ. შეთანხმების ტექსტი სამშაბათს საღამოს გამოქვეყნდება.

სამინისტრო კრიზისი საბერძნეთში

პარიზი, 12 ივლისი. ათინიდან იუწყებიან, რომ ზახტანაშმა უარი განაცხადა კაბინეტის შედგენაზე და ურჩია პანგალოსს შეადგინოს საქმიანი კაბინეტი.

რკინისგზელთა კონფერენციაზე

ლონდონი, 12 ივლისი. რკინისგზელთა კავშირის ეროვნულ კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე ხმების დიდმა უმრავლესობამ უარყო წინადადება ყველა კავშირის რკინისგზის მოსამსახურეთათვის ახალი სატარიფო ქსელების გამომუშავების შესახებ, ვინაიდან „თავის დროზე არაა წარმოდგენილი".

კუკი მიტინგზე ბულველში

ლონდონი, 12 ივლისი. კუკს, რომელმაც ნოტიმგამპშაირის სანახშირო რაიონში იმოგზაურა, 80.000 სამთა-მადნო მუშამ ბულველში არაჩვეულებრივი ოვაციები მოუწყო.

კუკი, როცა უპასუხებდა შეკრებილ მუშების წამოძახილზე: „რას იტყვით ტომასისა და ბრომლეის შესახებ", განაცხადა:

„მე, სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო, რომ ტომასი და ბრომლეი, ალბად, უფრო მოწადინებული არიან, რომ ჩემს მოქმედებას დაადონ აღკრძალვა, ვიდრე ნახშირის გადაზიდვას".

ბულველში მიტინგზე გამოტანილი რეზოლიუცია ამბობს: „წინადადება ეძლევა სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომს, რომ წინანდებურად კატეგორიულად უარყონ წინადადება სამუშაო დღის შემცირებაზე და არა საერთო— ინგლისური მასშტაბით შეთანხმებაზე".

მემარჯვენე საშიშროება ჩვენს პარტიაში

„პრავდა"-ს სარედაქციო წერილი

(დასასრული)

მაგრამ რა რიგ უსადრუკი სჩანს ეს „დასაბუთება".

კომუნისტურ რევოლიუციონურ პარტიებს ადარებენ „წვრილ-ბურჟუაზიულ შინა-ყმათა ხროვებს". სამაგიეროდ ბარმატების, ნოსკეების, რენოდელების, მაკდონალდების პარტიები აღიარებულია ჭეშმარიტ „პროლეტარულ, კლასიურ გაერთიანებებათ". იმიტომ ხომ არა, რომ რენოდელები და შეიდემანი პროლეტარიატს ბრძოლის ველზე ერეკებოდნენ მსოფლიო ომის დროს? იმიტომ ხომ არა, რომ ეს ვაჟბატონები ხელს უწყობდნენ და დღესაც ხელს უწყობენ იმპერიალისტებს კოლონიალურ, ჩამორჩენილ ქვეყნების დაბეჩავებაში? იმიტომ ხომ არა, რომ ნოსკეებმა და მათმა ძმაკაცებმა ათასობით დახვრიტეს გერმანელი მუშები 1918 წელს? იმიტომ ხომ არა, რომ „პროლეტარულ-კლასიური" კაუცკები, ისევე როგორც სევერინგები და მილიუკოვები, ებრძვიან საბჭოთა რეჟიმს?

კომინტერნის კომუნისტური სექციები „წვრილ-ბურჟუაზიულ შინაყმათა ხროვებს" წარმოადგენენ, მათ მხოლოდ „დეზორგანიზაცია შეაქვთ" წვრილ-ბურჟუაზიულ მუშათა მოძრაობაში. სამაგიეროდ მუშათა საერთაშორისო მოძრაობას „რაზმავენ" კლასიურ-პროლეტარული „მეფის საიდუმლო მრჩევლები"—ტომასები, ბონკურები, რომელნიც მას რაზმავენ სამინისტროების დერეფნებში, ერთა ლიგის მაგიდის გარშემო და კაპიტალისტურ გენერალურ სამხედრო შტაბებში.

კაპიტალისტური ციხეები სავსეა „წვრილ-ბურჟუაზიულ შინაყმათა ხროვებით". სამაგიეროდ „კლასიურ-პროლეტარული სოციალ-დემოკრატიული ბელადებისთვის კაპიტალისტური ბურჟუაზია ქმნის ყოველგვარ პატივსა და მოწყალებას (საქმის გამარჯვების გულისთვის ხომ არა?); ხოლო „ჭეშმარიტ სოციალისტურ რევოლიუციას" ღუპავს კომინტერნის ტაქტიკა და პოლიტიკა. სამაგიეროდ მაკდონალდის მთავრობა ნამდვილი „მუშური" მთავრობაა (იმიტომ ხომ არა, რომ ის არ ჩამორჩა გლადსტონებს და ჩემბერლენებს და მოითხოვა ინდოეთის დაბეჩავება და ძარცვა და რომ ის ხსენებს არ ჩამოუვარდა ინდოელ „მეამბოხეებზე" შურისძიებაში).

მედვედიევის „გესლიან" სისინს „რუსულ ოქროს" შესახებ კარგად იცნობენ ყველა ბოლშევიკები და ყველა რევოლიუციონერი მუშები.

ყოველ შეგნებულ მუშას ესმის, რომ საბჭოთა კავშირი საერთაშორისო სოციალიზმის დასაყრდნობ ბაზისს წარმოადგენს. ყოველ შეგნებულ მუშას ესმის, რომ სოციალიზმის მშენებლობის წარმატება ჩვენს ქვეყანაში დაკავშირებულია რევოლიუციონური მოძრაობის წარმატებით განვითარებასთან საერთაშორისო მასშტაბით. საბჭოთა კავშირის პროლეტარულ ხელისუფლებას ამაგრებს არა მარტო ჩვენი პროლეტარიატის ძლიერება, არამედ აგრეთვე მუშათა და გლეხთა კავშირის სიმტკიცე. საბჭოთა კავშირის პროლეტარული ხელისუფლება ძლიერია იმ დახმარებით, იმ სიმპატიებით, რომელსაც იჩენენ მისდამი საერთაშორისო მუშათა კლასის ფართო ფენები. საბჭოთა კავშირის რევოლიუციონური პროლეტარიატი ეხმარებოდა და მომავალშიაც დაეხმარება თავის ძმებს საზღვარგარეთ. ჩვენი მტრების გაზმაგება ხელს ვერ შეუშლის იმას, რომ ინტერნაციონალური პროლეტარიატის საქმე ყოველთვის დარჩება საბჭოთა კავშირის ძლევამოსილი პროლეტარიატის საქმედ.

მედვედიევი, რომელიც ფირხოფს უვლის „რუსულ ოქროს" გარშემო, ხელში იღებს ესერების „დნი"-ს და ჩერჩილისებურ რეაქციონურ [illegible] უწმინდურ იარაღს. ამით მედვედიევი საერთაშორისო რეაქციის ნაღდ მენშევიკურ სამსახურს უწევს. ის პროტესტს აცხადებს იმ პროლეტარული დახმარების გამო, რომელსაც საბჭოთა პროლეტარიატი უწევს საერთაშორისო რევოლიუციონურ მუშებს. სამაგიეროდ იმ მზად არის მოგებიანად მიეყიდოს „რუსული ოქრო" კონცესიონერ კაპიტალისტებს. რუსი მუშები არ უნდა დაეხმარონ თავის კლასიურ ძმებს. ამის მაგიერ მედვედიევი მოითხოვს, რომ მუშათა კლასის სისხლით და ოფლით საბჭოთა კავშირში აგებული იქნეს ძლიერი საკონცესიო ტაძარი იმპერიალისტურ ბურჟუაზიისათვის. მედვედიევი ფიქრობს ვიღაც დააჯეროს, რომ ეს ხდება „ჭეშმარიტი სოციალისტური რევოლიუციის" საკეთილდღეოდ.

რა მშვენივრად გამოიყურება „ნამდვილი სოციალისტური რევოლიუცია" მედვედიევის მიხედვით!

„აწგრევს" რა კომინტერნს, მედვედიევი აღტაცებულია საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ინგლისური მომთმენებით. იგი გადაჭრით „არაა თანახმა" იმ „გალაშქრებისა და სახელის გატეხისა", რომელსაც აწარმოებენ სოციალ-დემოკრატების „კლასიურ პროლეტარულ" ბელადების მიმართ.

„არაფერი არაა არაბუნებრივი იმაში,—ამბობს მედვედიევი,—რომ საერთაშორისო პროლეტარიატი თავის ბრძოლის მთელ ხელმძღვანელობას აძლევს სწორედ იმათ, ვინც მას აწვდის არა წითელ ფანტაზიებს (!!!), არამედ იცავს მას ყოველდღიურ გაჭირვებისაგან".

მედვედიევის აზრით, სიტყვა „წითელი" უკვე საგინებელი გახდა. მედვედიევს არ მოსწონს „წითელი ფანტაზიები", მას მოსწონს კონცესიური „რეალობა" და იმავე ფუსურებს საბჭოთა პროლეტარიატს. მისი საქციელი სრულიად ლოღიკურია, როცა იგი გაურბის „წითელ ფანტაზიას" და სურს თავი შეაფაროს ამსტერდამის ინტერნაციონალის ყვითელ დროშას.

მეოთხე. ბოლშევიკური პარტიის ლიკვიდაცია და ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკურ დემოკრატიაზე კურსის აღება შლიაპნიკოვ-მედვედიევის პლატფორმის ლოღიკურ დასკვნას წარმოადგენს. მენშევიზმმა „ეკონომიკაში" და მენშევიზმმა „საერთაშორისო პოლიტიკაში" აუცილებლად უნდა მიგვიყვანოს მენშევიზმამდე შინაურ პოლიტიკაში—პარტიის პოლიტიკაში.

მართლაც, რას უნდა წარმოადგენდეს პარტია შლიაპნიკოვ-მედვედიევის აზრის მიხედვით? იგი უნდა წარმოადგენდეს სხვადასხვა აზრების მქონე ფრაქციებისა, ჯგუფებისა, და „მიმდინარეობების" განუსაზღვრულ კრებულს.

შლიაპნიკოვ-მედვედიევი საჭიროდ სცნობს, რომ ყველა ამ ფრაქციებს და ჯგუფებს მიეცეთ პარტიაში სრული თავისუფლება, ვინაიდან მედვედიევის აზრის თანახმად, ჩვენი პარტიის „ექვსი მეშვიდედი" წვრილ-ბურჟუაზიული გახდა; ყველა ფრაქციებისა და ჯგუფებისაგან უნდა ამოვარჩიოთ „პროლეტარული კლასიური ჯგუფი" და მასზედ მოვახდინოთ პოლიტიკური ორიენტაცია.

ერთად-ერთი ფრაქცია,—სწერს მედვედიევი „ბაქოს ოპოზიციის" წევრებს, რომელსაც მომავალი ჰქონდა მუშათა კლასში, ეს არის „მუშათა ოპოზიციის ფრაქცია". მაგრამ ჯერჯერობით თვით მედვედიევის „მომავალ" მუშათა ოპოზიციაში სრულიად ჩვეულებრივ ვულგარული მენშევიზმი გამომჟღავნდა.

აქედან გამომდინარეობენ შემდეგი მნიშვნელოვანი დასკვნები. ჩვენი პარტია ორგანიზაციულად უნდა იქნას გადაყვანილი მენშევიკურ ლიანდაგზე („ფრაქციებისა და ჯგუფების კრებული").

ყველა ფრაქციათაგან პარტიაში გადამწყვეტი გავლენა უნდა ქონდეთ „მუშათა ოპოზიციის", ე. ი. როცა მენშევიზმს დაუშვებთ ჩვენს პარტიაში, ან უკეთ ვსთქვათ, როცა მენშევიზმის უპირატესობას უზრუნველყოფთ პარტიაში, შეუძლებელია, რომ მენშევიზმი ჩვენი პარტიის გარეშეც არ დაუშვათ. ძველი მენშევიკური პარტიის ლეგალიზაციამ ლოღიკურად დაასრულოს ახალ მენშევიზმის —მედვედიევ-შლიაპნიკოვისების მენშევიზმის ლეგალიზაცია. „ბაქოელების" პლატფორმის თვალსაზრისით საზიზღარი ულოღიკობა იქნებოდა ბრძოლა მენშევიზმთან, ე. ი. იმასთან, რასაც თვით მედვედიევის პლატფორმა წარმოადგენს. მედვედიევი მზადაა გადივიდეს მეორე ინტერნაციონალის ბანაკში, საერთაშორისო მენშევიზმის ბანაკში, რომელშიაც რუსეთის მენშევიკები და ესერები აქტიურ მოღვაწეებად ითვლებიან. შეუძლებელია ამსტერდამელ რენეგატებთან—მაკდონალდთან და კაუცკისთან დაძმობილება ისე, თუ იმავე დროს ხელი არ გაუწოდო შეიდემანებს, დანებს და აბრამოვიჩებს. და მართლაც, რით ჩამორჩებიან რუსეთის მენშევიკები მათ „პროლეტარულ-კლასიურ" წვრილ-ბურჟუაზიულ თანამოძმეებს?

ამგვარად, მენშევიკური პლატფორმა ხდება პოლიტიკურ თავისუფლების საყვირად მენშევიზმისა და მასთან ერთად პოლიტიკურ დემოკრატიისთვის ჩვენს ქვეყანაში.

ბურჟუაზიული პოლიტიკურ დემოკრატია მენშევიკური პლატფორმით მიდის მეორე მხრიდან. ბურჟუაზიული პოლიტიკური დემოკრატია შლიაპნიკოვ-მედვედიევის ეკონომიური კურსის აუცილებელი შედეგია.

პლატფორმის ეკონომიური კურსი—ეს არის ერთად-ერთი იმედის დამყარება კონცესიურ კაპიტალზე, იმედის დამყარება მის ხელმძღვანელ როლზე სახალხო მეურნეობაში, რასაც დაუყოვნებლივ უნდა მოჰყვეს პროლეტარიატის მიერ ხელმძღვანელ სამეურნეო როლის დაკარგვა. მაგრამ საკონცესიო კაპიტალის ეკონომიური ჰეგემონია არ შეიძლება ბოლოს და ბოლოს არ იქცეს მის პოლიტიკურ ჰეგემონიად. საკონცესიო კაპიტალს ესაჭიროება მისი ბატონობის პოლიტიკური „გარანტიები" მეურნეობაში. მას ესაჭიროება არა პროლეტარული სახელმწიფოს პოლიტიკური სამოსელი, არამედ ნამდვილი ბურჟუაზიული დემოკრატია.

მედვედიევ-შლიაპნიკოვის პლატფორმის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან გასაოცრებელი სიცხადით თვალწინ გადაგვიშალა მემარჯვენე საშიშროების განვითარების მექანიზმი ჩვენს პარტიაში.

ჩვენი პარტია ერთად-ერთი მონოპოლიური პარტიაა ქვეყანაში. ამიტომ ბუნებრივია, რომ წვრილ-ბურჟუაზიული მემარჯვენე სტიქიონი სწორედ ჩვენ პარტიულ არხებში სცდილობს შეჭრას. მას შეუძლია ფესვები გაიდგას „ფრაქციებსა" და „ჯგუფებში" ჩვენი პარტიის შიგნით. მაგრამ როგორ? რასაკვირველია, მემარჯვენე საშიშროებას შეუძლია აგრეთვე ნიღაბახდილიც გამოვიდეს. ამა თუ იმ წვრილ-ბურჟუაზიული ჯგუფს შეუძლია პირდაპირ წამოისროლოს მემარჯვენე ლოზუნგები, ბურჟუაზიული დემოკრატიის ლოზუნგები—კაპიტალიზმისაკენ დაბრუნება. მაგრამ ამ შემთხვევაში ის აშკარად და ერთბაშად გამოვიდა, როგორც მემარჯვენე საშიშროება, ის გაშიშვლდება მთელი პარტიული მასის წინაშე, მას ყველა შეამჩნევს.

პარტიას ლენინური ხელმძღვანელობით არ გაუძნელდება მემარჯვენე საშიშროების დაუყოვნებლივ მოსპობა. ამიტომ მემარჯვენე ტენდენცია პირველ ხანებში უნდა გამოვიდეს ნიღაბაფარებული, მემარცხენე დროშის ქვეშ.

რაკი შეუძლებელია ჩვენი პარტიის აღება, პირდაპირი იერიშით, მას უნდა მოუარონ ზურგიდან. რომ დასცენ ამ პარტიის ლენინური ხელმძღვანელობა, რომელიც პირველი უდიდესი მასიური პარტიაა მსოფლიოში; მემარჯვენე ელემენტებმა „ბედი უნდა სცადონ" და თვით გახდენ „მასიურ ძალად". მასიური ძალა ხომ პირველ ხარისხოვანი მატერიალური ძალაა. რომ პარტია ბოლშევიზმისაგან მარჯვენით გადახარონ, საჭიროა წინასწარ მასებს „მარცხნიდან" მიუდგნენ, ხოლო მემარჯვენე შინაარსი მემარცხენე დროშის ქვეშ შეაპარონ.

ამისათვის საჭიროა მოქმედების დაწყება სოციალური დემაგოგიის იარაღით. საჭიროა დროებით „ასი პროცენტით" მუშის გულშემატკივარის სამოსელში გახვევა. საჭიროა მუშათა კლასის ცხურ სიმების „დახელოვნებით" აჟღარუნება. უნდა დაეკითხო ჩამორჩენილ ფენებს: „რას ინებებთ"? შემდეგ ყველაფერი აღუთქვათ. შეიძლება უმუშევარ მასას შეჰპირდე „დაუყოვნებლივ სამუშაოზე მოწყობა", ხოლო შემდეგ არ შეუსრულო. შეიძლება შეჰპირდე დაუყოვნებლივი ზე-ინდუსტრიალიზაცია, ხოლო შემდეგ ეს ინდუსტრიალიზაცია შეასრულო მედვედიევისებურად, ურხარტის და გენერალ დაუესის დახმარებით. შეიძლება ოქროს მთა დაჰპირდე ღატაკ გლეხობას, ხოლო შემდეგ არაფერი მისცე. შეიძლება შეჰპირდე უაღრესად დიდი სამუშაო ხელფასი, არაფერი სთქვა იმაზე, თუ რომელი ჯიბიდან მოგაქვს ეს ფული. ყოველივე ამისათვის საჭიროა შეარყიო ჩვენი პარტიის მთლიანობა (შლიაპნიკოვის „მუშური დემოკრატია": ჯგუფები, ფრაქციები და ყველა ყოფილ ჯგუფების თავისუფლების ლოზუნგად წამოსროლა). ბრძოლის ნამდვილი მოტივები ამით შეიძლება დროებით დაფარულ იქნეს.

ასეთია ამ მემარჯვენეების „ნიღაბის აფარების წესები", რომელნიც ამაოდ ეხვევიან მემარცხენე სამოსელში.

შლიაპნიკოვ-მედვედიევის „მარცხი" იმაში მდგომარეობს, რომ მათ თავისი გასავალი ხიდები ჩაშალეს. მათი „საიდუმლოება„ არასაიდუმლოებათ იქცა. მათი ბოლშევიზმი მენშევიზმად იქცა. „მემარცხენეობა—მემარჯვენეობად". „ჭეშმარიტი სოციალისტური რევოლიუცია" მათი აზრით, „ხორციელდება კონცესიონერ გმირების მიერ, უშიშრად და უსაყვედუროდ. „წითელ ფანტაზიის" მაგიერ მათ გამოუვიდათ ბურჟუაზიული დემოკრატია. ლენინის მაგიერ—მაკდონალდი და ნოსკე.

შლიაპნიკოვ-მედვედიევის პლატფორმა სიგნალს გვაძლევს მემარჯვენე საშიშროებაზე ჩვენს პარტიაში. პარტია ამ საშიშროებას ხედავს. ის ხედავს, საით იზრდება „მუშური ოპოზიციის" პოზიცია. ის ხედავს, რა იზრდება და როგორი ლოზუნგები, როგორი დაპირებები იქცევა „შლიაპნიკოვშჩინად" და „მედვედიევშჩინად" და როგორ ვითარდება, როგორ შეიძლება განვითარდეს მემარჯვენე საშიშროება.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ მოიპოვებიან „ფრაქციების" და „ჯგუფების" თავისუფლების ისეთი მოყვარულნი, რომელნიც ამჟამად თავგამოდებით ეარშიყებიან შლიაპნიკოვ-მედვედიევის ჯგუფს. ამიტომ მთელ პარტიას შეუძლია მათ დაუსვას ასეთი კითხვა—არსებითად რას ემხრობიან ისინი:

კომინტერნის განმტკიცებას თუ მის ლიკვიდაციას? იმას, რომ კომპარტიაში ითვლებოდნენ „წვრილ-ბურჟუაზიულ შინაყმათა ხროვად" თუ იმას, რომ ისინი მოძრაობის თანაბარ რევოლიუციონურ ძალად მიიჩნიონ?

პროფინტერნის განმტკიცებას თუ ამსტერდამში შესვლას?

ნოსკესებურ „სისხლის მსმელ ძაღლებთან" კავშირს, თუ ბრძოლას მათ წინააღმდეგ?

სოციალისტურ მშენებლობას თუ ურხარტის უღელს?

მუშათა და გლეხთა ბლოკს თუ საერთაშორისო კაპიტალისადმი დამორჩილებას?

ლენინს თუ მაკდონალდს?

მთელი პარტია სასტიკად წინაღუდგება კომინტერნისა და რევოლიუციისადმი მენშევიკური ღალატის ცდებს.

მთელი პარტია, რასაკვირველია, წინაღუდგება მენშევიკური ტენდენციების მფარველობას და მოკავშირეებს საკავშირო ლენინურ კომპარტიის (ბ) შიგნით.

ქართული ემიგრაციის დაშლა

1. ვეშაპელის მკვლელობა და ჩხეიძის თვითმკვლელობა

უკანასკნელი დროის ამბები—ვეშაპელის მკვლელობა და ჩხეიძის თვითმკვლელობა ერთის მხრივ და ჩვენს პრესაში ამ დღეებში გამოქვეყნებული ემიგრანტების წერილები-დოკუმენტები, მეორეს მხრივ—კიდევ ერთხელ ფარდას ხდიან იმას, რაც ხდება ქართული ემიგრაციის რიგებში.

რამოდენიმე სიტყვა ამ წერილების შესახებ:

მათი ავტორები, ალბათ, გაკვირვებული დარჩებიან და საკმაო უხერხულობას იგრძნობენ, როცა მთელს მიწერ-მოწერას სრულებით მოულოდნელად წაიკითხავენ ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე. შეიძლება ზოგიერთები პროტესტსაც განაცხადებენ მათი „კერძო" მიწერ-მოწერისადმი ასეთი „არათავაზიანი" მოპყრობის გამო. მაგრამ რას იზამ, დეე, განაცხადონ პროტესტი... რადგან ის, რაც შეეხება ათეულ და ასეულ ათასებს, საიდუმლოებას არ უნდა შეადგენდეს და უნდა იქნეს გამოქვეყნებული. საბჭოთა საქართველოს მშრომელმა მასებმა უნდა იცოდენ სრული სიმართლე იმის შესახებ, თუ რას აკეთებენ საზღვარ გარეთ, აქედან—საქართველოს მუშებიდან და გლეხებისაგან გაქცეული—ყოფილი ხალხი— უმანდატო მინისტრები, რა სამარცხვინო დაცემამდე, გახრწნამდე და სრულ დაქვეითებამდე მივიდა რამიშვილის ემიგრაცია.

ემიგრაციის დაცემისა და გახრწნის დაწყების შესახებ ჩვენ ლაპარაკი გვქონდა თავის დროზე, როცა ჩვენ აღვნიშნეთ მთელი რიგი დამახასიათებელ სიმპტომებისა. მაგრამ ამაზე არ დაგვეთანხმენ „ბრძოლა"-ს მწერლები, რომელნიც თავის თავს აიმედებდენ იმით, რომ მხოლოდ დაღლილი და ჩამორჩენილი ელემენტები გარბიან, ხოლო რჩება მთლიანი (საიდანაა ის მთლიანი, თუ მთლიანობა არ არის!) ემიგრაცია, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს იბრძოლოს ბოლომდე. „ბრძოლა"-ს არ უნდოდა დაენახა თავისი პოლიტიკური გაკოტრება. მაგრამ ფაქტები ჯიუტი რამ არის და ეს ფაქტები მჭერმეტყველურად ლაპარაკობენ მათ შესახებ. ქართული ემიგრაციის გახრწნა მიდიოდა და მიდის ორი ძირითადი ხაზით: **სოციალ-დემოკრატიული** ხაზით, როცა მუშების უფრო მგრძნობიარე, პატიოსანი მემარცხენე ელემენტები სტოვებენ მენშევიკების რიგებს, და **არა სოციალისტურ** ხაზით, როცა ყოფილი ქართველი ნაციონალისტები და სხვა უპარტიო ელემენტები სტოვებენ ემიგრაციის პოზიციას და დგებიან საბჭოთა ხელისუფლების ცნობის გზაზე. ჩვენს წინაშე უკვე არის ამ გახრწნის სავსებით რეალური შედეგები: ორი სოციალ-დემოკრატიული მუშათა ჯგუფის და ზოგიერთ არა სოციალისტების დაბრუნება საბჭოთა საქართველოში, საზღვარ გარეთელ ორგანოს „ახალი საქართველო"-ს ენერგიული მუშაობა, რომელსაც თავიდანვე მკვლელობის მომენტამდე მოხერხებულად ხელმძღვანელობდა გრ. ვეშაპელი.

ზემოხსენებულ მდგომარეობიდან გამომდინარეობს შემდეგი: მანამდე მთლიანი ემიგრაციის დაშლა, უთანხმოება ემიგრაციის მენშევიკურ ნაწილში, უთანხმოება მენშევიკებს და ნაციონალ-დემოკრატიულ ელემენტებს შორის. ეს გარემოებანი არ უნდა მოსწონებოდათ მებრძოლი მენშევიზმის ბელადებს—ნოე რამიშვილის ტიპის ფაშისტებს, რომელთაც გადასწყვიტეს ბოლო მოეღოთ იმისათვის, ვინც ხელს უწყობდა ემიგრაციის გახრწნას. და ასეთი ფიგურა უეჭველად იყო გრ. ვეშაპელი. ასეთი არჩევანი შემთხვევითი არ არის.

ვინ იყო ვეშაპელი? ის წარსულში იყო უკიდურესი ნაციონალისტი, მუშათა კლასის იდეის მოწინააღმდეგე. ის, რასაკვირველია, ბოლშევიკი არ გამხდარა. მას არა სწამდა არც სოციალიზმი არც კომუნიზმი. მაგრამ, დარწმუნდა რა, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების სამი წლის არსებობის განმავლობაში, ჩვენი საქმის სიმართლეში, ვეშაპელმა, როგორც პირდაპირმა და დაკვირვებულმა კაცმა, აქედან გამოიყვანა სათანადო დასკვნები და ჯერ კიდევ აგვისტოს მენშევიკურ ავანტიურამდე, იცნო საბჭოთა ხელისუფლება და გამოსცა გაზეთი „ახალი საქართველო". მან— ქართველმა ნაციონალისტმა—პატიოსნად მოიხარა თავი საბჭოების ინტერნაციონალურ ხელისუფლების წინაშე და აღიარა, რომ მხოლოდ ამ ხელისუფლებას შეუძლია ქართველი ხალხის ინტერესების დაცვა. ვეშაპელი მისთვის ჩვეული ენერგიით მოუწოდებდა სხვებსაც გადაჭრით უარეყოთ ავანტიურების გზა, დამდგარიყვნენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე, დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში და ხელი მიეყოთ მუშაობისათვის. მას ბევრი მომხრეებიც ჰყავდა. ამგვარათ, ვეშაპელი ადგენდა სამშობლოში დაბრუნების მსურველთა კადრებს. ამას უნდა გამოეწვია ზიზღი ვეშაპელისადმი რამიშვილის და ყველა იმათ მხრივ, რომელთაც არასოდეს არ შეუძლიათ საბჭოთა საქართველოში დაბრუნება და რომელნიც უნდა ჩალპენ მენშევიკური ემიგრაციის ჭაობში. ტყვილად კი არ სწერს მარო მახარაშვილი ნიკო ჭუმბურიძეს (1926 წლ. 15 თებერვლის წერილი): „ბევრ მუშას ენატრება სახლში დაბრუნება. მათ გადასწყვიტეს, რომ ემიგრაციაში ველარ მოუღებენ ბოლოს რამიშვილის ბატონობას და ამიტომ არჩიეს საბოლოოდ იბრუნონ პირი მისგან. ერთ-ერთმა მათგანმა მე პირდაპირ მითხრა, რომ **მას ბოლშევიკების დიქტატურა ურჩევნია ათასწილად, ვინემ ნოე რამიშვილის**". აშკარაა, რომ ყოველ პატიოსან მუშას ფაშისტ რამიშვილის პიროვნულ დიქტატურას ურჩევნია პროლეტარიატის დიქტატურა, რომელსაც ანხორციელებს ბოლშევიკური პარტია... რამიშვილის ფაშისტი თანამოძმენი უნდა შეხეჩხებოდენ გზაზე საზღვარ გარეთელ საბჭოთა ახალშენის ორგანიზატორის გრიგოლ ვეშაპელის ფიგურას და ვეშაპელიც დაიღუპა. ის მოჰკლეს. ეჭვს გარეშეა, ვეშაპელის მკვლელობას **პოლიტიკური** ხასიათი აქვს. ვეშაპელის მკვლელობა, რომელიც ტეხნიკურად სისრულეში მოიყვანა ვიღაც არამზადა მერაბიშვილმა, შესრულებულ იქნა სხვისი ბრძანებით და ვინ არის ეს სხვა, საბჭოთა მკითხველმა კარგად იცის. ჯერ კიდევ რევოლვერის გასროლამდე რამიშვილის „საგანგებო" რაზმის ფაშისტები (მას ასეთი ბიჭები ჰყავდა თბილისში, ეხლა პარიზშიაც გაიჩინა!) შეეცადენ ანგარიში გაესწორებიათ ვეშაპელისთვის და საბჭოთა ხელისუფლების სხვა მომხრეებისათვის სხვაგვარი „იარაღით": ჯოხებით, რეზინით და სხვ... თავხედი მენშევიკები ამაზეც უარს იტყვიან,—ჩვენ ამის შესახებ გვაქვს ორი დოკუმენტი. აი რას სწერს ისიდორე ქარსელაძე ნიკ. ჭუმბურიძეს (წერილი 1925 წლ. 12 აგვისტოს თარიღით): „წარსულ კვირას ქართველმა კომუნისტებმა (ესენი იყვნენ • არა კომუნისტები, არამედ საბჭოთა ხელისუფლების თანამგრძნობი ელემენტები. მ. კ.) მოაწყვეს თავის თანამოაზრეთა კრება. კრებას დაესწრო 30 კაცი. მათ თავზე დაეცენ „თეთრი გიორგი"-ს ორგანიზაციის წევრები—სტუდენტები და სოციალ-დემოკრატები. სოციალ-დემოკრატებიდან იყვნენ შოთა ქარცივაძე, გერასიმე ბოლქვაძე, დათიკო ფერაძე, ალექსანდრე ლორდელი და აკაკი მეფარიშვილი... შევარდნენ კრებაზე და ჯოხებით დაუწყეს ცემა იქ მყოფთ. თურმე წინდაწინვე ჰქონდათ დანაწილებული როლები, ვის ვისთვის უნდა ეცემა. ბევრი სისხლი დაიღვარა. **ყველაზე უფრო ერგო ბ-ნ ვეშაპელს**". აი იმავე ქარსელაძის მეორე ახალი დოკუმენტიც (1926 წლ. 2 აპრილიდან) ოდენკურის ცნობილ ამბების შესახებ... „შეტაკების შემდეგ (ოდენკურში) მთავრობამ (ბრძანებას იძლევა არა საფრანგეთის კანონიერი მთავრობა, არამედ უკანონო მენშევიკური „მთავრობა"! მ. კ.) გადასწყვიტა გაეგზავნა [illegible] რამიშვილი და [illegible] ლის ცოლის ავადმყოფობის გამო—გადაწყვიტეს გეგეჭკორის გაგზავნა). მომხდარი ამბების შესახებ გეგეჭკორმა ასეთი სურათი დახატა: ნამდვილი ხელჩართული შეტაკება მომხდარა, რასაც ხელი შეუწყვეს ნაციონალ-დემოკრატებმა. ამასთანავე გამოირკვა, რომ **რამიშვილის პროტექციით ჩვენს პარტიაში ყოფილა მიღებული ბანდიტები** და საზოგადოთ ისეთი პირები, რომლებიც არ არიან სანდო... ჩვენი ორგანიზაციის კრებაზე გამოირკვა, რომ ბიურომ დაშალა ოდენკურის სოც.-დემოკრატიული ორგანიზაცია და ორშაბათს მიდის რამიშვილი, რომ წამოიყვანოს ვიღაც-ვიღაცები იქედან". როგორც ვიცით, ოდენკურის „სოციალ-დემოკრატიულ" დარბევის შემდეგ მოკვდა რამოდენიმე კაცი. როგორც ვიცით, მენშევიკები უარყოფდენ თავის მონაწილეობას ამ ამბებში. მაგრამ ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტების შემდეგ მენშევიკების სიყალბეს მტკიცება აღარ სჭირდება. გარდა ამისა, თუ ოდენკურის გმირები სოციალ-დემოკრატები არ იყვნენ, რაში დასჭირდა საზღვარგარეთელ ბიუროს იქაურ ორგანიზაციის დაშლა. ქართული ანდაზა ამბობს: თუ ნიორი არ გიჭამია, პირი რათ გიყარსო მაშასადამე დამტკიცებულათ უნდა ჩაითვალოს, რომ, თუმცა მენშევიკები წინააღმდეგნი არიან „პიროვნული, არაორგანიზაციული ტერორის" და სხვა, როგორც წესი და რიგია, მაგრამ მაინც დარბევას და ჯოხებით ცემა-ტყეპას, რომელიც შემდეგ სიკვდილის შემთხვევებით თავდებოდა, **აწარმოებდენ მენშევიკური პარტიის წევრები,** აქტიური ტერორისტული ორგანიზაცია „თეთრი გიორგი", რომელსაც ფაქტიურად თვით რამიშვილი ხელმძღვანელობს. ჯოხებით თავის მტვრევიდან რევოლვერის გასროლამდე კი მხოლოდ ერთი ნაბიჯია. კაფეში სკანდალების მოწყობიდან მკვლელობამდე დიდი მანძილი არ არის.

მართალია, ამ შემთხვევაშიაც მენშევიკები ცდილობენ უარყონ თავისი მონაწილეობა ვეშაპელის მკვლელობაში, რასაც ძველებურათ ასაბუთებენ იმით, რომ ჩვენ ყოველთვის ტერორის წინააღმდეგნი ვიყავითო და აგრეთვე იმით, რომ მკვლელი პარტიის წევრი არ არისო (ესეც მოხერხებულათ არის მოწყობილი ბ-ნ რამიშვილის მიერ). მართალია, ქართველი მენშევიკების დასაცავათ გამოვიდა თვით საზიზღარი რენოდელი (ხომ უნდა დაიცვას ფრანგმა პროფესიონალურმა მოღალატემ თავისი ქართველი მოძმეები მოღალატეობაში და გამცემლობაში!). მაგრამ არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ვეშაპელის მკვლელობას პოლიტიკური ხასიათი აქვს და ის რამიშვილის მენშევიკური ბანდის ნამოქმედარია. [illegible] უკვე აცხადებს (ასეთია ნოე [illegible] ნაციონალური საქმე გააკეთა. „უცხოს" ვეშაპელს, ისე როგორც „თავისას" ილარიონ გიორგაძეს მენშევიკებმა ვერ აპატიეს კონტრ-რევოლიუციის საქმისადმი ღალატი. ნაციონალ-დემოკრატი ვეშაპელი და სოციალ-დემოკრატი მუშა გიორგაძე მოჰკლეს ჩასაფრებით მოღალატურათ, საზიზღრათ... ეს ქართული მენშევიზმის დაცემის უკანასკნელი სახეა...

ამას იქით წასვლა აღარ შეიძლება.

⁂

ქართულ მენშევიზმს ამას იქით წასვლა აღარ შეუძლია. გარდაიქმნა რა აშკარა ფაშიზმად, ის ამჟამად უკანასკნელ მიჯნასთან სდგას. ამას მწვავედ განიცდიან მენშევიზმის ყველაზე უფრო მგრძნობიარე ელემენტები და ეძებენ გამოსავალს. გამოსავალი არის: ან დაბრუნება საბჭოთა საქართველოში და უყოყმანოდ ჩადგომა საერთო რიგებში—ახალი ცხოვრების მშენებელთა რიგებში, ან სასოწარკვეთა, ან „აღმაშფოთებელ" და „აუტანელ" ნ. რამიშვილის (ასე ახასიათებენ მას ერთ წერილში) პირადი დიქტატურის ქვეშ ყოფნა. კ. ჩხეიძე სასოწარკვეთილებას მიეცა, მან ვერ აიტანა, გადასწყვიტა განშორებოდა ცხოვრებას, და იმ კაცმა, რომელიც მუდამ იღიმებოდა, ოხუნჯობდა, იცინოდა, რომელსაც უყვარდა ირონიული სიტყვები,—ყელი გამოიჭრა ბასრი სამართებლით. მისი სიკვდილი მართლაც სიმბოლიურია. მან სამართებლით ყელი გამოიჭრა, მაგრამ თავისი სიკვდილით მან უდანოთ და უსამართებლოთ დაჰკლა რამიშვილის ემიგრაცია. რატომ მოხდა ეს? რაში მდგომარეობს კ. ჩხეიძის ტრაღიკული სიკვდილის მიზეზი?

დამახასიათებელია, ისიც, რომ უცხოეთის ბურჟუაზიულმა და თეთრგვარდიელთა გაზეთებმა მხოლოდ პატარა ქრონიკის შენიშვნები უძღვნეს ჩხეიძეს სიკვდილს. მეორე ინტერნაციონალის გაზეთებმა თითქოს დუმილი ამჯობინეს; თითქმის არაფერი არ დაწერეს. ნუ თუ მენშევიკ მწერლებს და ორატორებს სიტყვა შემოაკლდათ ჩხეიძის სიკვდილის აღსანიშნავად? ისინი მხოლოდ მით დაკმაყოფილდნენ, რომ ერთი თუ ორი კრება მოაწყვეს, ორი თუ სამი მათი ამხანაგის მონაწილეობით მეორე ინტერნაციონალიდან. ნუ თუ მენშევიკებისათვის ჩხეიძე იმდენათ შეუმჩნეველი კაცი იყო, რომ ასე შეუმჩნევლად განშორდა ცხოვრებას? მაგრამ, ალბად, ამაზე წერა და ლაპარაკი არ არის **ხელსაყრელი.** და დირიჟორის ჯოხი ყველას უბრძანებს— ჩუმად იყვნენ. აი ამაშია სიჩუმის შეთქმულების საიდუმლოება. მაგრამ ჩვენ შევეცდებით გამოვამჟღავნოთ ეს შეთქმულება, დავარღვიოთ სიჩუმე, ჩვენ არ გვწამს ბურჟუაზიის მიერ მოგონილი სულელური მორალი—„მკვდრებზე უნდა ითქვას ან კარგი, ან სრულებით არაფერიო".

კარლო ჩხეიძე, ასე უწოდებენ მას ყველანი, მენშევიზმის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. მას ჰქონდა ორატორის ნიჭი, საპარლამენტო გამოცდილება. სახელმწიფო სათათბიროში ის გესლიანად დასცინოდა და თავზარს სცემდა მემარჯვენეებს და ამით გაითქვა მან სახელი, როგორც სოციალ-დემოკრატმა დეპუტატმა. თვითმპყრობელობის დროს ის მოევლინა სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნას, თებერვლის რევოლიუციის შემდეგ მას ეჭირა საბჭოთა (ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა. მასების პოლიტიკური ბელადი და ორგანიზატორი ის არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მას ემჩნეოდა ერთგვარი გაორება. ჯერ კიდევ 1912—13 წ. ამხ. ლენინმა ჩხეიძეს უწოდა „ახლო-პარტიული" კაცი. ამხ. ლენინი ამასთანავე მიუთითებდა იმ ფაქტზე, „რომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ისტორიის (აგრეთვე, პარტიის აღორძინების ისტორიის) უაღრესად კრიტიკულ მომენტში ჩხეიძე „განზე იდგა" (როგორც ნეკრასოვს აქვს ნათქვამი...

Но иногда пройти сторонкой
В вопросе трудном и больном)

როცა იქმნებოდა ლიკვიდატორული და ანტი-ლიკვიდატორული პრესა (1911 წ. და 1912 წ. დასაწყისი), ჩხეიძე არც აქეთ იყო, არც იქით. ის არც ერთთან იყო, არც მეორესთან. ის იყო „ახლო-პარტიული სოციალ-დემოკრატი". (ლენინი ტ. XII, ნაწ. 11, გვ. 258 და 594). 1915—16 წ. წ. ამხ. ლენინი ამტკიცებდა, რომ ჩხეიძის ფრაქციას არ აქვს თავისი ხაზი (ის კვლავ არც აქეთ არის, არც იქით!). (რევოლიუციონური ფრაზების ნიღაბს ქვეშ, ჩხეიძე სამსახურს უწევს „შოვინისტებს, ბურჟუაზიას, ცარიზმს, ვინაიდან ხან პირდაპირ იცავს მუშების მონაწილეობას სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში, ხან ჩუმად ხელს აფარებს მონაწილეებს, არ ებრძვის რა მათ". (ტომ. XIII, გვ. 228).

ლენინი ამბობს: „სხვათა შორის, საინტერესოა, რომ გულახდილი სოციალ-შოვინისტები სავსებით კმაყოფილი არიან ჩხეიძითაც და მთელი მისი ფრაქციითაც. ამ ფრაქციით კმაყოფილი არიან აგრეთვე ო. კ., (მენშევიკების ცენტრი), ტროცკიც, პლეხანოვიც ალექსინსკისთან და მის კომპანიასთან ერთად; ეს ბუნებრივიც არის, რადგან ჩხეიძის ფრაქციამ რამდენიმე წლის განმავლობაში დაამტკიცა ოპორტიუნისტების მფარველობისა და მათთვის სამსახურის გაწევის უნარი". (ტ. XIII, გვ. 88). 1917 წელს ამხ. ლენინი დაუზოგავად ამხელდა მენშევიკების ორჭოფობას, ჩხეიძე-წერეთლისებურ ბელადებს უწოდებდა ლუი-ბლანის ჯურის წვრილ-ბურჟუაზიულ ბელადებს და მათზე შემდეგს სწერდა: „წერეთელი დაიბნა, ვინაიდან მან სავსებით დაივიწყა კლასიური ბრძოლა. მარქსიზმის თვალსაზრისიდან ის სავსებით გადავიდა ლუიბლანის თვალსაზრისზე, რომელიც ფრაზით „იმაღლებოდა" კლასიური ბრძოლისაგან. პროლეტარული ბელადის ამოცანაა: განმარტოს კლასთა ინტერესების სხვადასხვაობა, დადგეს მუშების მხარეზე და ჩაუნერგოს წვრილი ბურჟუაზიის განსაზღვრულ ძალებს (სახელდობრ: უღარიბეს გლეხობას), რომ აუცილებელია არჩევანი მუშებსა და კაპიტალისტებს შორის.

წვრილ-ბურჟუაზიულ ლუი-ბლანების ამოცანაა: მიჩქმალონ კლასთა ინტერესების სხვადასხვაობა და ბურჟუაზიის განსაზღვრული ძალები (უმეტესად ინტელიგენტები და პარლამენტარიები) დააჯერონ, რომ „საჭიროა შეთანხმება" მუშებთან, დააჯერონ მუშები, რომ „საჭიროა შეთანხმება" კაპიტალისტებთან, დააჯერონ გლეხები, რომ „საჭიროა შეთანხმება" მემამულეებთან". (ტომ. XIV, ნაწ. 1, გვ. 135). აქაც თებერვლის რევოლიუციის პერიოდში, ჩხეიძე, გამოდის რა მუშების და კაპიტალისტების მომრიგებელის როლში, თვითონ არც ერთთან არის, არც მეორესთან. ოქტომბრის რევოლიუციას ჩხეიძის მუდამ გაურკვეველ პოზიციაში უნდა შეეტანა და კიდევაც შეიტანა გარკვეულობა. მას უნდა მოეხდინა არჩევანი: ან მუშათა კლასის ბანაკი, ან ბურჟუაზიის ბანაკი. ჩხეიძემ მეორე ბანაკი აირჩია, ის კლასთა გაფთორებულ ბრძოლაში კაპიტალისტების მხარეზე გადავიდა. ოქტომბრის რევოლიუციამ აიძულა ის დაეტოვებია საბჭოთა რუსეთი, ზურგი შეექცია რუსეთის მუშების და გლეხების უმაგალითო, გმირული ბრძოლისათვის და მოეძებნა თავშესაფარი თავის სამშობლო საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ არ ტრიალებდა პროლეტარული რევოლიუციის სული. ოქტომბრის რევოლიუციის მოახლოვება ჩხეიძისათვის მისი პოლიტიკური სიკვდილის მოახლოვებას მოასწავებდა. თუ მან ყელი გამოიჭრა და ის ფიზიკურად მოკვდა 1926 წ.; პოლიტიკურად კი მან ყელი გამოიჭრა, ის მოკვდა 1917 წლის ოქტომბრის დღეებში.

და თითქმის ამ უკანასკნელ ათ წელს (1917 წ.—1926 წ.) ჩხეიძე მუშათა კლასის მტრების ბანაკში იმყოფებოდა. საქართველოს „დემოკრატიულ" რესპუბლიკის დაარსების შემდეგ, ჩხეიძე იყო დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე და, როგორც ასეთს, მას ეკისრება პასუხისმგებლობა ყველა იმ ბოროტმოქმედებისათვის რევოლიუციის და მუშათა კლასის წინაშე, რომელიც ჩაიდინეს მენშევიკებმა მათი ბატონობის პერიოდში. მაგრამ ეს ბატონობა ხანმოკლე გამოდგა. იმავე ოქტომბრის რევოლიუციის ტალღა მოადგა საქართველოსაც. 1921 წლის ჩხეიძე მეორედ სტოვებს გამარჯვებულ მუშების და გლეხების ქვეყანას, ზურგს აქცევს მათ ბრძოლას და თავშესაფარს ეძებს სტუმართ-მოყვარე ბურჟუაზიასთან მის ცენტრში—პარიზში. ემიგრაციაში ჩხეიძე, ისე, როგორც მენშევიზმის სხვა ბელადები, მთელ რიგ წლების განმავლობაში გულმოდგინეთ ასრულებდა საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე აგიტატორის და პროპაგანდისტის როლს, მრავალჯერ გამოდიოდა რა სხვადასხვა ბურჟუაზიულ აუდიტორიების წინაშე.

მაგრამ დრო გადიოდა და შედეგები კი არსად სჩანდა. ბოლშევიზმი იზრდებოდა და მაგრდებოდა, მენშევიზმი კი იხრწნებოდა. და ჩხეიძეც იძულებული იყო ჩაფიქრებოდა ამ საკითხს, განსაკუთრებით 1924 წლის აგვისტოს მენშევიკური ავანტიურის შემდეგ. ჩვენ მოგვდიოდა ცნობები, რომ ჩხეიძე თითქოს ცენტრშია, თითქოს ოპოზიციაში, (მენშევიკური პარტიის შიგნით). ჩხეიძე კვლავ თავის მუდმივ ადგილზეა. ხან ერთთან, ხან მეორესთან. ისიდორე ქარსელაძის წერილში ნიკო ჭუმბურიძისადმი (1926 წლ. 6 თებერვლიდან) ნათქვამია, რომ „კარლო ჩხეიძე თავისი შეხედულებით თანდათან გვიახლოვდება, თუმცა ამჟამად ცოტა გვერდზე სდგას" (იგივე) „გვერდზე დგომისადმი" სიყვარული! მ. კ.).

მეორე წერილში (1926 წლ. 16 აპრილის თარიღით) პირდაპირ ნათქვამია: „ირაკლიმ (წერეთელმა) გაგზავნა საქართველოში თავისი მოხსენება და მისწერა ცეკას, რომ მთავრობის წევრების ყოფნა საზღვარგარეთელ ბიუროში ხელს უშლის მუშაობას და, რომ საჭიროა არსებული სისტემის შეცვლა. მე, კარლო (ჩხეიძე) და მიშა (არსენიძე) ერთად ვართ, დანარჩენები კი ჩვენს წინააღმდეგ არიან. რადგან ისინი უმრავლესობაში არიან, ყოველთვის გვჯობნიან, ამიტომ საჭიროა ბიუროში წარმომადგენლობის სისტემის შეცვლაო. ამნაირად ირაკლის იმედი აქვს, რომ გაიმარჯვებს თავისი ხაზით".

მაგრამ ამ საბუთების გარდა ჩვენს განკარგულებაშია მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ნათელს ფენს პარტიის მდგომარეობას და ჩხეიძის პოზიციას აგვისტოს ავანტიურის შემდეგ. ეს არის წერილი, რომელიც ჯერ კიდევ 1½ წლის წინად—1925 წლ. 21 იანვარს გაუგზავნა ალფესი ხელაძეს ქართველ ემიგრანტ-მენშევიკმა მეხუზლამ. ამ წერილში, რომელიც მთლიანად გამოქვეყნდება პრესაში, მეხუზლა შემდეგს იტყობინება: „აჯანყების და პარტიულ მუშაობის ტაქტიკის საკითხები ჩვენ, რამოდენიმე თანამოაზრეებმა დავსვით პარტიაში; ჩვენი მეთაურია, რასაკვირველია, ირაკლი წერეთელი. მოწინააღმდეგეებს, როგორც მოსალოდნელი იყო, მეთაურობს ნოე რამიშვილი თავისი „კაზიონი" მომხრეებით... წერეთლის გამოსვლის შემდეგ (ეს იყო 1924 წლ. 16 ნოემბერს) ჩვენ ჯგუფს ნოე რამიშვილის კურთხევით, მისი „კაზიონი" მიმდევრები უწოდებენ „ვოზვრაშჩენცების" პარტიას და რუსეთის

პარტიული ცხოვრება

სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

18 ივნისს შესდგა სამხრეთ-ოსეთის საოლქო პარტკომის პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი საკითხები: 1. საოლქო პარტკომის ანგარიში, 2. მოხსენება როკის ორგანიზაციის შესახებ, 3. წარმოების მდგომარეობა და 5 წლიანი საამშენებლო გეგმა, 4. ოლქის ბიუჯეტის შესახებ, 5. საოლქო გლეხკომის ანგარიში.

პლენუმმა მოისმინა რა მოხსენება ოლქკომის მუშაობის შესახებ, ოლქკომის მიერ აღებული მუშაობის ხაზი სცნო სწორად და მუშაობა დამაკმაყოფილებლად. მოხსენებიდან გამოირკვა მთელი რიგი მიღწევები, როგორც არის მაგალითად, დისციპლინის განმტკიცება ორგანიზაციაში, მტკიცე კავშირი ადგილებთან, პარტხელმძღვანელობის გაძლიერება საბჭოთა ორგანიზაციებზე. პარტაღმზრდელობითი მუშაობის გაღრმავება, მუშაობის გაძლიერება კომკავშირში, ნაციონალური უმცირესობათა შორის მუშაობის მოწესრიგება, კერძოთ ჩატრევა ქართველ მუშა გლეხების პარტიის რიგებში და სხვა.

ამასთან ერთად პლენუმმა აღნიშნა შემდეგი ნაკლი: სუსტად არის დაყენებული კომფრაქციების მუშაობა. არ არის აღრიცხული, როგორც პარტიულ, ისე უპარტიო აქტივი სოფლად. ნაკლებ ყურადღებაა მიქცეული ღარიბების გლეხობა ჯგუფების ჩამოყალიბებაზე სოფლად. კოოპერატივის მუშაობა ძალიან მოისუსტებს. არ არის საკმაოდ გამოცემული ლიტერატურა ოსურ ენაზე. პოლიტცოდნის დაბალი დონე, სოფლად შეფების სუსტი მუშაობა და სხვა.

პლენუმმა დაავალა პრეზიდიუმს ამ დეფექტების გამოსასწორებლად მიიღოს სათანადო ზომები. როკის ორგანიზაციის შესახებ პლენუმმა გამოიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებების, სამავალში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პოლიტცოდნის და პარტაღმზრდელობით მუშაობის გაღრმავებას უჯრედებში, ქალთა ორგანიზაციების მუშაობის გაცხოველებას, პარტხელმძღვანელობის გაუმჯობესებას, კოოპერაციის და გლეხკომების მუშაობის გაძლიერებას და სხვა.

სახალხო მეურნეობის დარგში პლენუმმა აღნიშნა მრავალი მიღწევები, როგორც არის სახერხი ქარხნის, ელექტრო-სადგურის, აგურის, კრამიტის და კირის ქარხნების აგება.

მაგრამ ამასთანავე პლენუმი აღნიშნავს, რომ აღნიშნულ წარმოებებს არ აქვთ საკმაო საბრუნავი თანხა, რაც ხელს უშლის წარმოების განვითარებას. ამისათვის პლენუმი ადგენს აღიძრას შუამდგომლობა უმაღლეს ორგანოების წინაშე სახსრების და ნივთიერი საშუალებების გამოსაძებნად ოსეთის წარმოებისათვის. ბიუჯეტის შესახებ პლენუმმა აღნიშნა, რომ ოლქის ბიუჯეტი ძალიან მცირეა, რის მიზეზიც გლეხთა მეურნეობის ნაკლები შემოსავლიანობა, წარმოების განვითარების დაბალი დონე, და სხვა. პლენუმი საჭიროდ სთვლის გადიდებული იქნეს ბიუჯეტი შემდეგ დარგებში: მიწათმოწყობის საქმეში, კომუნალური აღმშენებლობისათვის, სკოლების აღმშენებლობისათვის და სახალხო ჯანმრთელობის დარგში.

დაბოლოს პლენუმმა მოისმინა რა მოხსენება ოლქის გლეხკომის მუშაობის შესახებ, მუშაობა სცნო სუსტად და მისი მუშაობის გასაძლიერებლად გამოიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები. პლენუმი დამთავრდა 19 ივნისს.

გ. ჯ.

ანდრონეთის რაიპარტკომის მუშაობა

(სამხრეთ-ოსეთი)

ანდრონეთის რაიონის კომუჯრედების მუშაობა ვერ არის დაყენებული სათანადო დონეზე. უჯრედები სუსტობენ პარტმუშაობის დარგში. ეს აიხსნება უმთავრესად იმ გარემოებით, რომ უჯრედების წევრთა შორის არ არის სურვილი გააღრმაონ თავიანთი ცოდნა, გამოიჩინონ რაიმე ინიციატივა და სხვა.

ამის გამო, უჯრედების წევრები პოლიტცოდნით თითქმის არ განირჩევიან უპარტიო გლეხებისაგან. უჯრედები მოკლებულნი არიან პარტხელმძღვანელობის უნარს, რის გამო სოფელი პარტიის ხელმძღვანელობის გარეშე რჩება.

ხშირი არის შემთხვევები, რომ უჯრედები ვერ ერკვევიან პარტიული მუშაობის ამოცანებში. ზოგან უჯრედის მდივანმა ისიც კი არ იცის, რამდენი წევრი და კანდიდატია უჯრედში, რა საკითხები უნდა ირჩეოდეს უჯრედის კრებებზე და სხვა. ქალთა შორის მუშაობა ამ რაიონში შეიძლება ითქვას, რომ სრულიად არ სწარმოებს.

აღნიშნული მოვლენა აიხსნება ერთის მხრით იმით, რომ რაიონს არ ჰყავს ხელმძღვანელი ინსტრუქტორი და გარდა ამისა, ის ძალზე დაშორებულია პარტორგანიზაციის ცენტრიდან—საოლქო კომიტეტთან კავშირი სუსტია შორი მანძილისა გამო.

შედარებით უკეთ არის დაყენებული კომკავშირის მუშაობა. მაგრამ მათ მუშაობასაც ეღობება წინ ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები: კომუჯრედები ადგილობრივათ მათ ვერ უწევენ სათანადო ხელმძღვანელობას. ამის გამო კომკავშირის მუშაობას ახლავს დეფექტები მაგალითად: კ. კავშირის რაიკომს ბინა არ ჰქვს, რაიკომის მდივანი ჯიბით ატარებს ინსტრუქციებს და სხვა საქმეებს.

ახალგაზრდობის აქტივობა დიდია, ბევრია მსურველი ჩაეწეროს კომკავშირში, მაგრამ ორგანიზაციას არ ჰყავს საკმაო ძალები, რომ მათ მუშაობას გაუძღვეს. ამის გამო კომკავშირის ზრდა სუსტად მიმდინარეობს.

პოლიტგანმანათლებელი მუშაობა არც გლეხობაში და არც უჯრედებში არ სწარმოებს, რადგან არ მოიპოვება სათანადოთ მომზადებული ძალები. სოფლის ინტელიგენცია (მასწავლებლობა) არ არის გამოყენებული სოფლის საზოგადოებრივი მუშაობაში.

ბროშურები იშვიათია ამ რაიონის სოფლებში.

გლეხობაში გაზეთების ხმამაღლა კითხვა არ არის შემოღებული, თვით გლეხობაში ნაკლებია მკითხველი.

თვით რაიკომის პასუხისმგებელი მუშაკებიც იშვიათად კითხულობენ გაზეთებს.

ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ მთავრობის დეკრეტებს, დადგენილებებს და განკარგულებებს გლეხობას არავინ უხსნის, რის გამო სოფლად ხშირად აქვს ადგილი გაუგებრობას მიწის და სხვა სასოფლო ხასიათის საკითხებში.

კომფრაქციები არ არის ჩამოყალიბებული. ღარიბებს გლეხთა ჯგუფების ჩამოყალიბების მნიშვნელობა პარტორგანიზაციებში ჯერ არ არის სათანადოთ გაშუქებული. კოოპერატივში და გლეხკომებში ჩაბმულია მხოლოდ გლეხობის მცირე ნაწილი.

რაიონში მხოლოდ ერთი კოოპერატივია, რაც ვერ აკმაყოფილებს გლეხობის მოთხოვნილებებს.

გლეხკომები ორგანიზაციულად ვერ არიან ჩამოყალიბებული უმთავრესად მათ ახასიათებს უანგარიშობა, უგეგმო მუშაობა, ერთი სიტყვით ამ რაიონში საბჭოთა და პარტიული მუშაობა ძალზე მოისუსტებს.

საჭიროა თავის დროზე მიექცეს ამ გარემოებას სათანადო ყურადღება ოსეთის პარტორგანიზაციების მიერ და მომავალში მაინც გამოსწორებული იქმნას ამ რაიონის მუშაობა.

აუცილებელი საჭიროა უპირველეს ყოვლისა 1. ძირითადი პარტუჯრედების ორგანიზაციულად განმტკიცება და მათში მუშაობის გამოცოცხლება. 2. საჭიროა გამოყოფა რაიონიდან 3. მ. ამხანაგების და შემაგრება უჯრედებზე მათში პარტაღმზრდელობითი მუშაობის საწარმოებლად. 3. ამასთან ერთად, უნდა სწარმოებდეს მუშაობა პარტხელმძღვანელობის გასაძლიერებლად საბჭოებზე, კოოპერატივებზე და სხვა სოფლის ორგანიზაციებზე.

მეტი ყურადღება და მეტი ენერგია ძირითადი უჯრედების მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

გ. ჯ.—ი.

ქალთა შორის

ქალთა შორის მუშაობა პროფკავშირებში

ა.-წ. 24 ივნისს ს. კ. პ. ც. კ. მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილების მიერ მოწვეული იქნა პროფესიონალურ კავშირებში ქალთა შორის მომუშავეთა პირველი თათბირი. თათბირის მიზანი იყო გამოერკვია ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებში ქალთა შორის მუშაობის მდგომარეობა. ამ თათბირზე პირველი მოხსენება გააკეთა „გემო-კვების“ კავშირის ქალთა შორის მომუშავემ ამხ. კუნიცკაიამ. ამხ. აღნიშნა, რომ მათ ამ დარგში არ ყოლიათ ჯამაგირიანი მომუშავე გამოყოფილი, რაც ხელს უშლიდა სისტემატიურ მუშაობას ქალთა შორის. მოხსენებიდან ირკვევა, რომ მუშაობა ამ დარგში ყოველ მხრივ სუსტია, რასაც მომავალში უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

მეორე მომხსენებელი ქიმიკოსთა კავშირიდან ამხ. სკიდენკო აღნიშნავს თითქმის იმავეს. ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სამუშაო დრო არა აქვს. მას ქონია მიცემული ორი დღე თვეში ქალთა შორის მუშაობისათვის, რომლის განმავლობაში მან გააკეთა ის, რაც შესაძლებელი იყო, მაგ., დაათვალიერა რამოდენიმე წარმოებები ქალების რიცხვის და ნაციონალური შემადგენლობის გამორკვევის მიზნით.

მესამე მომხსენებელი ამხ. მაისურაძე საბჭოთა სავაჭრო კავშირის წარმომადგენელი ფართეთ ეხება ქალთა შორის მუშაობას ამ კავშირში. მოხსენებიდან ირკვევა, რომ მუშაობა ამ დარგში წარმატებით მიდის. ეს ფაქტი კი იმის მაჩვენებელია, რომ აღნიშნულ კავშირს საკმაო ყურადღება მიუქცევია ქალთა შორის მუშაობისათვის და თავის დროზე გამოუყვია ამ დარგში მუშაობისათვის ხელმძღვანელი.

კრების დასასრულს თათბირმა აირჩია კომისია პრაქტიკული ღონისძიებების გამოსამუშავებლად ქალთა შორის მუშაობის გაღრმავების მიზნით, საჭიროა სხვა კავშირებმაც მიბაძონ საბჭოთა ვაჭრობის კავშირს და მუშაობას ქალთა შორის მიაქციონ სერიოზული ყურადღება.

ხ. ჩხენკელი.

მეგობრებს. მაგრამ კარლოს (ჩხეიძე) შინაარსიან სიტყვაში ნათქვამი იყო, **რომ მხოლოდ მოსისხლე მტერს და არა მეგობარს შეეძლო ერჩია ხალხისთვის იმ ნაბიჯის გადადგმა, რომელზედაც ჩვენ ის ვაიძულეთ** (აქ ლაპარაკია აგვისტოს აჯანყებაზე მ. კ.). მოწინააღმდეგეებმა კულისებიდან მას „ჭკუა გამოლაყებული მოხუცი“ უწოდეს. კარლომ აშკარათ განაცხადა: **ჩვენ კარგათ ვხედავთ, რომ ბოლშევიკები ძლიერები არიან. არ ვიცით რამდენ ხანს იარსებებენ ისინი. არ გამართლდა, რომ ისინი მხოლოდ 6 თვეს გასძლებენ. აი ისინი უკვე შვიდი წელია არსებობენ.** (ეხლა 9 წელია, ბ-ნო მენშევიკებო!.. **შეიძლება მათ იარსებონ 20 ან 25 წელი.** შეიძლება მეტი, ან ნაკლები, მაგრამ ამას კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ მნიშვნელობა აქვს იმას და ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ რა უნდა გავაკეთოთ ეხლა, როცა ხალხს სურს ნორმალურად და მშვიდობიანად ცხოვრება... ამაზე გზააბნეული ამხანაგები ფაშისტები (ყოჩაღ, მეხუთლა! ფაშისტი—სავსებით სწორი დახასიათებაა რამიშვილის მომხრეებისათვის! მ. კ.) ამბობენ, **რომ ის (ჩხეიძე) უკვე დაბერებულია და მას არაფერი არ ესმის,** ხოლო ჩვენ გვეუბნებიან, რომ ჩვენ რუსოფილები ვართ. ამას ამბობენ კერძო ბაასში,—კრებებზე კი გარკვევით ამას არ ამბობენ“.

ამ წერილიდან სავსებით აშკარაა ჯერ-ერთი ის, რომ ჩხეიძე აგვისტოს ავანტიურას სთვლიდა უგნურ და საბედისწერო ნაბიჯათ, რომელზედაც ხალხი შეეძლოთ წაეყვანათ მხოლოდ მის მოსისხლე მტრებს, ე. ი. მენშევიკებს; მეორეთ ის, რომ ჩხეიძემ დაჰკარგა საბჭოთა ხელისუფლების ახლო მომავალში დაცემის იმედი და აძლევდა მას ვადათ 20-25 წელს და მეტსაც. ამ „ერეტიკულ“ სიტყვებისათვის მას რამიშვილის ფაშისტებმა უწოდეს „ჭკუა გამოლაყებული მოხუცი“, რომელიც იმდენათ დაბერდა, რომ არაფერი აღარ ესმის. ამის შემდეგ ფსიქოლოგიურათ გასაგებია კ. ჩხეიძის სულიერი ტრაგედია. უარყოფილი ორჯერ ძლევამოსილ პროლეტარულ რევოლიუციის მიერ, გამოდევნილი რუსეთიდანაც, საქართველოდანაც, ის ემიგრაციაშიაც ვერ პოულობს მოსვენებას და დაბოლოს გარიყული რჩება თავის თანამოაზრე მეგობრების მიერ მხდალ „ოპოზიციურობისათვის“.

არავითარი იმედი ჩხეიძეს არა აქვს, არავითარი შემდგომი პერსპექტივები არა ჩანს. ბოლშევიკები მტკიცეთ არიან და იქნებიან, საბჭოთა ხელისუფლების დაცემა შეუძლებელი ხდება. აღარ არის რწმენა, აღარ არის ძალა... მისმა ერთად-ერთმა მეგობრებმა—მენშევიკებმა კი ზურგი შეაქციეს მას. მას აღარ შეეძლო გვერდი აეხვია ყოველივე ამისათვის. მას უნდოდა გამოენახა გამოსავალი... და ჩხეიძე თავს იკლავს. მისი სიკვდილი სიმბოლიურია მენშევიზმის დაშლის და გახრწნის მხრივ, იმ მენშევიზმის, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელი ის იყო. მისი სიკვდილი საგულისხმოა ემიგრაციის იმედების გაცრუების მხრივ. მისი სიკვდილი—არა მარტო მისი პირადი ტრაგედიაა, არამედ ის არის მენშევიზმის ტრაგედიაც. ზოგიერთი ქართველი ნაციონალისტი-ინტელიგენტები ძლიერ აზვიადებენ ამ მომენტს და ჩხეიძის თვითმკვლელობას, თითქმის, ქართველი ხალხის ტრაგედიათ სახავენ. ეს სრული უაზრობაა. თუ ეს ტრაგედიაა, ტრაგედიაა მენშევიზმის, ხოლო მენშევიზმი და საქართველო ერთი და იგივე როდია. ახალ, მუშურ-გლეხურ საქართველოს მშრომელი მასები, რომელნიც ენერგიულად ჩაბმული არიან ახალი ცხოვრების აღმშენებლობაში, კარგათ გრძნობენ თავს და მათ არავითარი საფუძველი არა აქვთ არც სასოწარკვეთისა და არც პესიმიზმისათვის. ძლევამოსილი პროლეტარული რევოლიუცია წინ მიდის და როგორც გრიგალი მიწის პირიდან ჰგვის ყველა მოწუწუნეთ, ყველა მერყევთ, ყველა მოწინააღმდეგეთ და ყველა იმათ, რომელთაც ამ უდიდეს ეპოქაში არ სურთ და არ შეუძლიათ იქნენ დიადი საქმის ორგანიული მონაწილე და მშენებელი, არამედ არიან „ზედმეტნი“, „გამვლელები“ და „გზაზე მდგომნი“. და ამაში არავითარი ტრაგედია არ არის. საკითხი ცხოვრების მიერ აშკარათ და მკაფიოთ არის დასმული: ან საქართველოს მშრომელთა ბანაკში დაბრუნება და ენერგიული მუშაობა მშრომელი მასების სასარგებლოთ; ან საზღვარგარეთელ ემიგრაციაში ჩალპობა, უკეთესი დროის მოლოდინში. დეე ამოირჩიონ. ჩხეიძემ ვერ გამონახა სწორი გზა და გადასწყვიტა სრულებით გასცლოდა ცხოვრებას. ვეშაპელმა აირჩია სწორი გზა და ამისათვის ის სიცოცხლეს გამოასალმეს არამზადა მენშევიკებმა. და დამახასიათებელია როგორ შეიცვალა როლები: ჩხეიძე ჩავიდა საფლავში, როგორც მუშების და გლეხების მტერი, ვეშაპელი მოჰკლეს, როგორც მუშურ-გლეხური საქმის დამცველი.

უკანასკნელი დროის ეს ორი ფაქტი (ვეშაპელის მკვლელობა და ჩხეიძის თვითმკვლელობა) დაკავშირებულია ურთიერთ შორის და მოწმობს ემიგრაციის დაშლას და გახრწნას და საბჭოთა ხელისუფლების ზრდას და განმტკიცებას. ამაშია ვეშაპელის მკვლელობის და ჩხეიძის თვითმკვლელობის პოლიტიკური აზრი და მნიშვნელობა.

მიხ. კახიანი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ფოთის ნავთსადგურში

ფოთი, 12 ივლისი. საბჭოთა-სავაჭრო ფლოტის გემმა „ლენინ“-მა ამიერ-კავკასიისათვის ჩამოიტანა 884.555 კილოგრამი ცემენტი.

ფოთის ნავთსადგურიდან გავიდნენ დატვირთული გემები: ჰოლანდიაში ივლისის გემი „ადმირალი კოხენი“, რომელმაც წაიღო 3396 ტონა ტვირთი, იტალიის გემი „ანსალ-დოსა-ვოთა—ტოიმა“, რომელმაც წაიღო—7.232 ტონა ტვირთი. წყლის არხში დიდი მოსილვის გამო განაღდა მუშაობა არხის სილისაგან გასაწმენდათ.

ზემო სვანეთის აღმასკომის პრეზიდიუმის საქმე

ქუთაისი, 12 ივლისი. ზემო სვანეთის აღმასკომის წევრები სხვადასხვა თანამდებობის დანაშაულობისათვის მიცემულნი არიან პასუხისგებაში. თარჯიმანს ბრალად ედებათ გაფლანგვა,—მითვისება და ხელისუფლების გადამეტება. ამავე ხასიათის დანაშაულობისათვის პასუხისგებაში მიცემულნი არიან კომპანიონი და [illegible] ცხომელიძეს ბრალად ედება ფულების გადამეტება.

პედაგოგიური კურსები

ახალ-სენაკი, 12 ივლისი. მარტვილში სამაზრო განათლების განყოფილებამ გახსნა პედაგოგიური კურსები 57 მასწავლებლისათვის. კურსებზე მეცადინეობენ საშუალო კურსის დამთავრებულნი.

8 ივლისს მოხდა ახალი პედაგოგების გამოშვება.

მეხი

ქუთაისი, 12 ივლისი. სამტრედიის რაიონში მეხმა მოჰკლა ხუთი კაცი.

ტრაქტორები ამხანაგობისათვის

გორი, 12 ივლისი. სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობამ შეიძინა ხოლტის სისტემის ახალი ტრაქტორი. სულ მაზრაში არის 9 ტრაქტორი, აქედან ხოლტის სისტემის ტრაქტორია—6 და ფორძონის—3.

საკონსერვო ქარხანა

გორი, 12 ივლისი. სამაზრო აღმასკომის დადგენილებით გორში არსებულ საკონსერვო ქარხანას ამიერიდან ეწოდება სტალინის სახელობისა.

ხე-ტყის ქარხანა

გორი, 12 ივლისი. 9 ივლისს თბილისიდან გორში ჩამოვიდა კომისია, რომელშიდაც შედიან მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის და სატყეო მრეწველობის ტრესტის წარმომადგენელნი. კომისია მოიწვია სამაზრო აღმასკომმა გორის ხე-ტყის ქარხნისათვის ნედლი მასალის მიწოდების საკითხის გადასაწყვეტად. უკანასკნელ ხანებში საკმაო მასალის უქონლობის გამო ქარხანა უქმად იყო. კომისიამ გამოიკვლია ქარხანა და გამოიტანა დასკვნა, რომ მისი 100 პროც. დატვირთვისათვის ყოველწლიურად საჭიროა 230.000 კუბიკ. ფუტი მორები. კომისიამ აღმასკომს გამოუცხადა, რომ გარდა იმ 70.000 კუბ. ფუტ. მორებისა, რომელთაც ქარხანა გორის რაიონის სატყეო აგარაკიდან ღებულობს, მას მიეცემა დამატებით კიდევ 150 ათასი კუბიკ. ფუტი ბორჯომის რაიონიდგან.

წერილები

ექსკურსია წავკისში

(თბილისის მაზრა)

რამოდენიმე დღის წინ რაიონის ინსტრუქტორებმა მოვაწყვეთ ექსკურსია სოფ. წავკისში. მისვლისას დავათვალიერეთ ადგილობრივი აღმასკომი. ჩვენი ყურადღება მიიქცია კედლის გაზეთმა, რომელიც იქ იყო გამოკიდებული. საქმე ისაა, რომ გაზეთი რუსულ ენაზე იყო დაწერილი, ადგილობრივ გლეხებს კი რუსულისა არაფერი გაეგებათ.

გარდა ამისა გაზეთში მოთავსებული წერილებიც ვერ აკმაყოფილებენ თავის დანიშნულებას. არის მაგალითად ასეთი წერილი: „ეთიკა და ესტეტიკა“. ამ სათაურის წაკითხვამ სიცილი გამოიწვია ექსკურსანტებს შორის. მართლაც და რომელ გლეხისათვის არის შედგენილი ნეტავი ის კედლის გაზეთი? რომელ გლეხს გაეგება „ეთიკისა და ესტეტიკის“ და სხვა ამ გვარ „მაღალ მატერიების“ რაიმე? აღმასკომის ამხანაგებმა უნდა შეითვისონ ის აზრი, რომ ადგილობრივ კედლის გაზეთში უნდა თავსდებოდეს გლეხისათვის გასაგები წერილები, მისთვის საინტერესო საკითხებზე.

მაღლა მარილიც უნდა მოაყარონ. კედლის გაზეთი გლეხისათვის გასაგებ ენაზე უნდა დაიწეროს.

აღმასკომის შემდეგ ჩვენ დავათვალიერეთ აღმასკომის ბაღი, სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ბაღი თითქმის გაპარტახებულია. მას არა ჰყავს მომვლელი და ამის გამო ხეხილი ხმება.

ერთ-ერთი.

სამაგალითო გლეხკომი

(წაღვერი)

გასული წლის თებერვალში წაღვერის თემში დაარსდა გლეხკომი. იგი პირველად სუსტი იყო და ვერავითარ ინიციატივას ვერ იჩენდა გლეხთა დახმარების საქმეში, ეს იყო უმთავრესად ნივთიერ ხელმოკლეობის შედეგი.

იმავე წელს მოხდა გლეხკომის გადარჩევა და გლეხკომში ახალი პირები იქნენ არჩეული. გამონახულ იქნა გლეხკომის შემოსავლიანობის წყარო და ამგვარად საქმეს გამობრუნება და წარმატება დაეტყო.

გაჯანსაღებული და კარგ ნიადაგზე დაყენებული წაღვერის თემგლეხკომი ეხლა უკვე თავის მიზნებს ემსახურება პირნათლად და შესაძლებლობის ფარგლებში ეხმარება გლეხობას.

მან მაგ. თემის ღარიბ და უღარიბეს გლეხობას სრულიად უფასოდ დაურიგა წამალი, აუშენა უსახლკარო გლეხებს სახლები, რომლებიც ამოსწერა ღარიბთა სიიდან და მისცა ცხოვრების საშუალება. ისეთებს, რომელთაც არ ჰყავდათ, უყიდა ხარები და ძროხები; მან შესძლო უწყლო ადგილებში, წყლის გაყვანა და ეხლა გლეხობა ამ მხრივ გაჭირვებას აღარ განიცდის, ეს მოხდა მაგ. სოფ. ტიმოთეს უბანში, დაბაში და წაღვერში.

აღსანიშნავია გლეხკომის ღვაწლი გზების შეკეთებაშიც, რომელთა უვარგისობის გამო გლეხობა დიდ გაჭირვებას განიცდიდა.

გარდა გლეხობისა, გლეხკომმა დახმარება აღმოუჩინა წითელ-არმიელთა ოჯახებს და ქვრივ-ობლებს. ამასთანავე გაუწია გლეხებს ზამთრის სამუშაო. ეს მუშაობა მდგომარეობს ტყეების ლავადებულ ხეებისაგან გაწმენდაში, რაც ერთის მხრივ გლეხობას უზრუნველყოფს შეშით.

გლეხობა, ბორჯომის კოოპერატივის დახურვის შემდეგ დიდ გაჭირვებაში ჩავარდა და მოითხოვა საკუთარ კოოპერატივის გახსნა. ამას გამოეხმაურა გლეხკომი და გადასწყვიტა თავისი საშუალებით კოოპერატივის შენობის აგება.

საერთოთ უნდა ითქვას, რომ წაღვერის თემის გლეხკომი საქართველოში ერთ-ერთი ჯანსაღი ორგანიზაციაა გლეხკომების საერთო სისტემაში და თუ ბოლო მოეღება თანამდებობის პირთა შორის უშინაო და საქმისათვის მავნე კინკლაობას და ინტრიგებს მისი მუშაობა უფრო წინ წაიწევს. მაშინ გამგეობა შესძლებს გაცილებით მეტის გაკეთებას, ვინემ ეხლა.

ა. კ.

წერილებიდან

ქუში (ქუთ. მაზრა)

კანონის დამცველი თვით არღვევს კანონებს. ქუშის თემში ძალიან გახშირდა მიწის ყიდვა, რასაც არავინ აქცევს ყურადღებას. ვინ უნდა ადევნებდეს თვალ ყურს ამ უკანონობას? რასაკვირველია, ქუშის საბჭო და აღმასკომის თავმჯდომარე. სამწუხაროდ თემის თავმჯდომარე თვითონ არღვევს კანონს და სხვის როგორ მოსდევს. თავმჯდომარის ოჯახმა იყიდა ორი დესიატინა მიწა.

ყორანა.

ვაკიჯვარი (გურია)

თავგასული „ვაჟკაცი“. ვაკიჯვარში არის ვინმე პოლა თხილაშვილი. მისი შიშით ხალხს გზაზე ვიდარ გაუვლია. გაილეშება თუ არა ეს ვაჟბატონი აიღებს შარს პირველი შემხვედრიდ ადამიანს გზაში და საცემათ მიიწევს. იქნებ ვინმემ შეაგნებინოს მას, რომ ის შარა გზა, რომელზედაც ის მგზავრებს ჩხუბს და აყალმაყალს უტეხს გამსწორებელ სახლისაკენაც მიდის.

ახალი.

მუშათა ცხოვრება

განათლების მუშაკთა ცენტ. სახლში ერთი თვის კულტმუშაობა

აღნიშნულ დროის განმავლობაში განათლების მუშაკთა ც. სახლში წაკითხული იქნა სხვადასხვა მეცნიერულ თემებზე 29 მოხსენება, რომელსაც დაესწრო 2095 კაცი; კონცერტები—წარმოდგენები და კინო სეანსები გამართული იყო 31-ჯერ—დაესწრო 7.427 კაცი, საკალენდრო დღესასწაულების აღსანიშნავად ჩატარებულია 7 მოხსენება,—დაესწრო 2,074 კ.

ამ ხნის განმავლობაში სწარმოებდა მეცადინეობა 13 წრეში; შესდგა წრეთა 1.68 სხდომა დაესწრო სულ 4890 კაცი.

განათლების მუშაკთა სახლის ბიბლიოთეკიდან გაიცა სახლში და სამკითხველოში 19.688 წიგნი; მკითხველთა და აბონიმენტთა რაოდენობა უდრის—16.734 კაცს.

განათლების მუშაკთა სახლთან არსებულმა საექსკურსიო ბიურომ შეიმუშავა დაწვრილებითი გეგმა მიმდინარე ზაფხულის თვეების განმავლობაში სხვადასხვა ხასიათის ექსკურსიების მოსაწყობად. ამ გეგმის თანახმად მოეწყო ექსკურსიები: სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, სიღნაღში, ბოტანიკურ ბაღში „ზაჰესში“, მუზეუმებში, პიატიგორსკ-ტყიბულში, ჩატახში და მოსკოვში. ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღო 614 კაცმა.

განათლების მუშ. სახლთან არსებულ „ბაზაში“ გატარდა რამოდენიმე ექსკურსანტი. ექსკურსანტები ჩამოვიდნენ მოსკოვიდან, ვლადიკავკასიდან, სტავროპოლიდან, არმავირიდან, ხარკოვიდან და ოზურგეთიდან.

განათლების მუშაკთა სახლში ამჟამად სწარმოებს მეცადინეობა პროფწრეებში ტექნიკურ მომუშავეთათვის და ფიზკულტურის წრეში.

განათლების მუშაკთა კავშირის შეფობის ქვეშ მყოფ წითელ არმიელთა შორის კავშირის კულტგანყოფილება განათლების მუშაკთა სახლის საშუალებით აწარმოებს კულტ-მუშაობას: გ.-მ. სახლის მიერ პოლიტგანყოფილების განკარგულებაში მივლინებულმა გამოცდილმა ლექტორებმა წაიკითხეს წითელარმიელთათვის ა.-კავკასიის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ შემოკლებული კურსი და ჩაატარეს მეთოდიური ხასიათის თათბირები პოლიტ-ხელმძღვანელთა შორის.

გ.-მ. სახლი მონაწილეობას იღებს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში წითელარმიელთა შორის მეექვსე და მეორე ლეგიონში; წითელ არმიელთა და ფლოტის სახლში გამოცდილი მასწავლებლები ხელმძღვანელობას უწევენ წითელ არმიელების თვით განვითარების წრეებს და ეძლევა მათ კოლექტიური აბონიმენტით გ. მ. სახლის ბიბლიოთეკიდან წიგნები.

ნ. ქეიშვილი.

ჩვენი ადგილკომი მუშაობს

სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის მუშათა საგრძნობი ნაწილი ჩაბმულია პროფესიონალურ მუშაობაში. ამას ამტკიცებს თვით ადგილკომთან არსებული კომისიები.

რამოდენიმე ხნის წინედ ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის კლუბში მოწვეულ იქნა ამავე დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. საზოგადო კრებაზე მოსმენილ იქნა ადგილკომის 3 თვიური მუშაობის ანგარიში. მომხსენებლად გამოვიდა ამხ. ნ. ვაჭარაძე.

აღნიშნული ადგილკომი აერთიანებს 1.301 კაცს. მცირე ნაწილი ამისა უმუშევრებია.

ადგილკომთან არსებობს შემდეგი კომისიები: სარევიზიო, ადგილკომის სადელეგატო, შრომის დაცვის, შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია, საორგანიზაციო საგანმანათლებლო კომ. საწარმოო, სარედაქციო კოლეგია, დამხმარე სალაროს და სხვა...

სარევიზიო კომისიაში შედის 4 კაცი, ადგილკომის დელეგატებია 56 მუშა-მოსამსახურე. შრომის დაცვის კომისიაში შედის 8 წევრი, შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში 4 წევრი; საორგანიზაციო-საგანმანათლებლო კომისიაში მუშაობს 9 წევრი, საწარმოო კომისიაში 9 წევრი. კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიაში 5 კაცი; დამხმარე სალაროში მუშაობს 155 კაცი.

ჩამოყალიბებულია აგრეთვე 2 დროებითი კომისიები. 1) კონდუქტორთა სასადილოს გასაუმჯობესებლად და მე-2) დამხმარე კომისია.

ამგვარად პროფესიონალურ აქტიურ მუშაობაში ჩაბმულია თითქმის 12% მუშა-მოსამსახურეებისა, რაც დარგის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ო.

მექალაქე მუშები სასოფ.-სამეურნეო გამოფენაზე

4 ივლისს, გემო-კვების კავშირმა, კოლოფების ქარხნის „ინტერნაციონალი“-ს მუშა-მოსამსახურეებს, მოუწყო ექსკურსია, სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. ჩვენი შესაკრები პუნქტი იყო ყოფილი მუშტაიდის ბაღი. თერთმეტ ნახევარ საათზე (11½ ს.) [illegible] რიცხვით 60 კაცამდე (ნახევარი მუშა ქალები იყვნენ) გავეშურეთ გამოფენისაკენ. ყველას სურვილი იყო, რათა ჩქარა მივსულიყავით დანიშნულ ადგილის, რომ ჩვენის თვალით გვენახა ყველა ის, რაც კი პრესის და სხვების საშუალებით გვსმენოდა გამოფენის შესახებ.

მალე ნატვრაც აგვისრულდა. მისვლისას, ყველანი ცნობის მოყვარეობამ გაგვიტაცა, გვინდოდა, ერთ წუთში სულ ყველაფერს გავცნობოდით, მაგრამ ჩვენ შესაკრებ პუნქტიდან მოგვყვებოდა ამხსნელი—აგრონომი ალ. გამყრელიძე, რომელმაც მიიპყრო ჩვენი ყურადღება. მან პირველად გვაჩვენა „ალფა-ლავალის“ ფირმის პავილიონი, სადაც მოთავსებული იყო რძის დამამუშავებელი სეპარატორები. ამხსნელი, დაწვრილებით გვიხსნიდა სეპარატორების მნიშვნელობას. განიცდის რძე,—მის ნაწარმოებთა დამზადებაში.

შემდეგ ვიხილეთ „ატლას-დიზელის“ ფირმის პავილიონი; გერმანიის სხვადასხვა ფირმების მანქანები და ტრაქტორები; იტალიის ფირმის „ჩიჩე“-ს აგურის დასამზადებელი მანქანები და სხვა საყურადღებო სასოფლო-სამეურნეო დარგის მანქანები.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა ამერიკის ფირმის სალეწ მანქანამ, რომელიც თურმე (ერთ და იმავე დროს) ყანას ლეწავს, პურს სცხრილავს, ხმენდავს და შემდეგ სწონის კიდევაც, რომელიც დღეში უშვებს 2.060-მდე ფუთ ხორბალს.

დავათვალიერეთ აგრეთვე ყველა დანარჩენი პავილიონები, სადაც ამხსნელი—გამყრელიძე გულმოდგინეთ გვიხსნიდა მანქანა-ტრაქტორების ნაწილებს და მათ დანიშნულებას. ახსნის დროს, მუშები აძლევდნენ მრავალ შეკითხვებს.

დათვალიერება დავამთავრეთ დღის 2 საათზე.

დათვალიერების შემდეგ, გავმართეთ საუბარი ხელმძღვანელ— გამყრელიძესთან, გამოფენის გარშემო, რომელმაც მოგვცა დამაკმაყოფილებელი პასუხები, (ჩვენი მადლობა მას). რის შემდეგ, მუშები კმაყოფილნი დაიშალნენ ამ გამოფენამ, დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენ მუშებზე.

მუშკორი ვანო.

გამოგზავნილი წერილებიდან

— ნეტავ „რა პრინციპის კაცია“?! 27 თიბათვეს ორჯონიკიძის სახელობის კლუბში მიდიოდა რუსულ ენაზე წარმოდგენა—„მანდატი“ აი ამ წარმოდგენაზე მოისურვა უფასოდ დასწრება მთავარ სახელოსნოს უფროსის მოადგილემ, ვარლამოვმა თავის ცოლით და რაც წესრიგის დამცველებმა ის არ შეუშვეს უბილეთოდ და უხსნიდნენ, რომ რადგან კლუბს არა აქვს შემოსავალი, რომ დაფაროს ხარჯები, ამისათვის კვირაში ერთხელ უნდა წაიდგის ფასიანი წარმოდგენა, რაზედაც წევრები იხდიან 10 კაპ. და კავშირის სხვა წევრები 20 კაპ., და გარეშე პირები კი 30 კაპ. ვარლამოვი დარჩა უკმაყოფილო და ბევრი ძალადობის შემდეგ ხელის ჩაქნევით სთქვა: მე პრინციპს კი ვიცავ და არაფერს არ გადავიხდიო.

ნეტავი, გვეტყოდეს ვარლამოვი, თუ რანაირია მისი პრინციპი? თუ მისთვის ოცდა ათი თუმნის ამღებისათვის კლუბში შესვლა უფასოა, მაშინ სამ თუმნის ხელფასის ამღებისათვის ნუ თუ კლუბში შესვლა უნდა იყოს ფასიანი?

მუშა ქნარი.

— გავაძლიეროთ მუშაობა ქალებს შორის. მთავარ სახელოსნოში მუშაობს თითქმის 80 საშუალო განათლებით აღჭურვილი ქალი. ამათგან არც ერთი არ არის ჩაბმული კულტმუშაობაში. ქალები არ მუშაობენ არც ერთ წრეში ან და კომისიაში. აღნიშნული ქალების „მსოფლმხედველობა კანტორის იქით არ წვდება“. ჩვენ კი ბევრი გვყავს ისეთი ქალები, რომლებიც არც თეორეტიულ მომზადებით, არც გამოცდილებით აღნიშნულ ქალებს-მოხელეებს, არ ჩამოუვარდებიან რევოლიუციონურ მოძრაობაში თვალსაჩინო ღვაწლიც მიუძღვით. ბევრი ასეთი ქალები უმუშევრებად არიან.

განა სამართლიანი არ იქნებოდა, რომ ეს უკანასკნელნი ჩაგვება ჩვენ აღმშენებლობით და კულტმუშაობაში იმ ზემოხსენებულ „ჩინოვნიკ“ ქალთა ნაცვლად, რომელთაც უფრო აინტერესებთ „პუდრა“, სარკე „ვიქტორიას ჩულქები“, ვიდრე ჩვენი წარმოება.

მუშა ვასო მექვაბე.

— ხუთი თვეა მუშებს ხელფასი ვერ მიუღიათ. ოზურგეთის ჩაის პლანტაციაში მუშაობს 184 მუშა. მათ შორის 126 ქალია. აღნიშნულ მუშებს მარტის და აპრილის თვის ხელფასი დღემდის ვერ მიუღიათ. მუშებმა მიმართეს ოზურგეთის სამაზრო პროკურატურას. მან მიმართა [illegible] გაუგზავნა; მუშები კი [illegible]

მუშა ტერშინი.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

გადასახადისაგან განთავისუფლება

სვანეთის მცხოვრებლები მათზე დარჩენილ ცაკის პრეზიდიუმმა განთავისუფლა [illegible] გადასახადისაგან.

ცაკის დადგენილება

თანამდებობიდან განთავისუფლდა დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს წევრი სპირიდონ ფოფხაძე.

საქალაქო სოც.-დახმარების საზ-ბის

წევრათ ცაკის დადგენილებით შეიძლება იყოს ყველა მოქალაქე არა ნაკლებ 8 წლისა.

ფულის გადაგზავნა

დეპეშა „ელვით“

საბჭოთა კავშირის მრავალ საფოსტო დაწესებულებებში შემოღებულია დეპეშების გადაგზავნა ჩვეულებრივზე უფრო სასწრაფო წესით. ამ წესით გადაგზავნილ დეპეშას ეწოდება „დეპეშა-ელვა“.

ამჟამად ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს განზრახული აქვს ფულების გადაგზავნის შემოღება ამ წესით.

ამ წესით გადაგზავნილი ფულის გაცემა საფოსტო დაწესებულებებში იწარმოებს დღის 12 საათამდე, იქ კი, სადაც ტექნიკურად იქნება მოსახერხებელი—იქ უფრო გვიანამდე. ფულის მიტანა და უწყებების ჩაბარება ადრესატისათვის იწარმოებს ღამის 10 საათამდე.

სამხრეთ ამერიკელ მრეწველების ექსკურსია

მოსკოვიდან მიღებული ცნობებით 18 ივლისს ბუენოს-აირესიდან (სამხრეთ-ამერიკა) გამოვა დიდი ამერიკული გემი, რომლითაც საბჭოთა კავშირში მოემგზავრება სამხრეთ-ამერიკის მრეწველები პლანტატორები, ინჟინერები და სხვ. ექსკურსია 400 კაცის შემადგენლობით. 25 აგვისტოს ექსკურსიას მოელიან ლენინგრადში. ლენინგრადში ექსკურსია დაიყოფა ჯგუფებათ და ცალკე ჯგუფები გამგზავრებიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქების დასათვალიერებლად.

გილზების მომარაგება

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თამბაქოს ტრესტის გილზებით უზრუნველსაყოფად 1926—27 წელში, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაადგინა:

წინადადება მიეცეს თამბაქოს ტრესტს სასწრაფოდ აღძრას შუამდგომლობა ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის წინაშე აზერბეიჯანის თამბაქოს ტრესტიდან 28 მილიმეტრიანი გილზების ბობინების საჭირო რაოდენობის სესხად მიღების შესახებ.

ამასთანავე საგეგმო კომისიამ წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატს დააჩქაროს ლიცენზიის მიღება წრევანდელი წლის მეოთხე კვარტალში თამბაქოს ტრესტისათვის საჭირო ბობინების შემოსატანად და ეხლავე მიიღოს ზომები 1926—27 წელში თამბაქოს მრეწველობისათვის საჭირო ბობინის საზღვარგარეთიდან შემოსატანად.

აბრეშუმი

9 ივლისამდე შესყიდულია 115 ათასი ფუთი ნედლი პარკი, რაზედაც ა/ქ. სასოფლო - სამეურნეო ბანკმა თავის ქუთაისის განყოფილების საშუალებით გლეხებზე გასცა ორი მილიონი მანეთი.

გლეხობა აბრეშუმის მთელ მოსავალს აბარებს მხოლოდ და მხოლოდ „აბრეშუმს“, რასაც სხვა რესპუბლიკებში ადგილი არ აქვს.

წრევანდელი მოსავალი აბრეშუმის პარკისა არაჩვეულებრივია; მან უკვე გადააჭარბა ომის წინა დროინდელ ნორმას, როგორც რაოდენობით, ისე ხარისხით. თუ ომამდე ფუთ ნედლ პარკში გლეხები ღებულობდენ 17—18 მანეთს, ეხლა მათ ეძლევათ ფუთზე 22 მანეთი.

წელს დიდი მოთხოვნილებაა აბრეშუმის პარკზე.

წრევანდელ მოსავლიდან მოსალოდნელია 15—20 ათასი ფუთი ზედმეტი პარკის მიღება. „აბრეშუმი“ უკვე შეუდგა მომავალი ოპერაციისათვის აბრეშუმის თესლის დამზადებას; იგი არჩევს სალ პარკს და აწარმოებს მის გამოკვლევას იმ მიზნით, რომ მეაბრეშუმეთ მომავალ წელს მიაწოდონ სალი თესლი.

ფულის მიწოდების მხრივ წელს დაბრკოლებებს ადგილი არ აქვს და გლეხები მას ღებულობენ აბრეშუმის დამზადების თანავე.

გამოფენაზე

გამოფენის ქრონიკა

ექსკურსიები სომხეთიდან

გამოფენის დასათვალიერებლად ლორი-ბამბაკიდან, კარაკლისიდან და ლენინაკანიდან ჩამოვიდა 66 გლეხი-ექსკურსანტი.

აზერბეიჯანიდან

აზერბეიჯანიდან ჩამოვიდა ბაქოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის 85 სტუდენტი.

მანგლისიდან

მანგლისიდან გამოფენის დასათვალიერებლად, ჩამოვიდა 11 გლეხი-ექსკურსანტი.

საერთო ბინაში

ამჟამად ექსკურსანტ-გლეხთა საერთო ბინაში სცხოვრობს 160 ექსკურსანტი.

ექსკურსიების მიღების ვადა

საექსკურსიო ბიუროს საერთო საცხოვრებელი და რკინის გზის პუნქტი საბოლოოთ იხურება 15 ივლისს.

მანქანების შეძენა

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ გადასწყვიტა შეიძინოს ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

მანქანების დემონსტრაცია

დღეს, საღამოს 5 საათიდან გამოფენაზე მოხდება სხვადასხვა იარაღ-მანქანების დემონსტრაცია.

ა.-კ. სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა

(1-ლ ივლისისათვის)

ამინდი

ივნისის მეორე ნახევარში სასოფლო-მეურნეობის თვალსაზრისით ამინდი ივნისის პირველ ნახევართან შედარებით გაუმჯობესდა. 23—24 ივნისიდან საგრძნობლად გადიდდა სითბოს დონე. მიუხედავათ ამისა, ამ ხნის განმავლობაში რამოდენიმე დღეს იყო დაბალი ტემპერატურა, რომელსაც თან სდევდა წვიმები და სეტყვა. საქართველოში კოკისპირული წვიმები იყო თბილისის მაზრაში; სეტყვა-ბორჩალოსა და სამხრეთ-ოსეთში.

დასავლეთ საქართველოში იყო სითბოს სიჭარბე, აქვე ადგილი ჰქონდა ატმოსფერულ ნალექების ნაკლებობას (განსაკუთრებით აფხაზეთში).

აღმოსავლეთ საქართველოში, სომხეთში და აზერბეიჯანში სითბო ნორმალურზე ნაკლები იყო.

ნათესები

პურეულის მდგომარეობა 15 ივნისთან შედარებით ასეთია: შემოდგომის ნათესების მდგომარეობა გაუარესდა 3,3 %., გაზაფხულის ქერი გაუმჯობესდა 3,3 პროც., ხოლო პურის მდგომარეობა არ შეცვლილა. 1925 წლის ამავე თვესთან შედარებით ნათესების მდგომარეობა გაცილებით უკეთესია (20 პროც.) პურეული მცენარეების გაუარესებას არ უნდა ველოდეთ, რადგან თავთავიანმა პურებმა უკვე დაასრულეს ზრდა და ამჟამად მომწიფების პერიოდში იმყოფებიან. მთელ რიგ მაზრებში პური უკვე მომკილია და ზოგგან ახლა მკიან.

რესპუბლიკების მიხედვით მდგომარეობა ასეთია: საქართველოში ნათესების მდგომარეობა გაუმჯობესებულია შემდეგ მაზრებში: ახალციხის, გორის, დუშეთის, სიღნაღის, სამხრეთ-ოსეთის, ქუთაისის, ლეჩხუმის, ოზურგეთის და რაჭის მაზრებში. გაუარესებულია—ახალქალაქის, ბორჩალოს, სენაკის მაზრებში და აფხაზეთში.

აზერბეიჯანში ნათესების მდგომარეობა გაუმჯობესებულია აგდაშის, განჯის, ქურთისტანის მაზრებსა და ნახიჩევანის რესპუბლიკაში. გაუარესებულია: კუბის, ლენინაკანის, შემახის და მთიან ყარაბახში.

სომხეთში ნათესები გაუმჯობესებულია: დარალაგეზის, ლორი-ბამბაკის და მეგრის მაზრებში, გაუარესებულია: ლენინაკანის და ნორ-ბაიაზეთის მაზრებში.

ბამბა—თამბაქო

ბამბის ნათესების მდგომარეობა 1 ივლისისათვის—საშუალოა (ნიშანი 3,3), აზერბეიჯანში ბამბის ნათესების მდგომარეობას გამოხატავს ნიშანი 3,5 (15 ივლისისათვის იყო 3,7). სომხეთში ნიშანი 2 (15 ივლისისათვის იყო 2,5), საქართველოში ბამბის ნათესების მდგომარეობას გამოხატავს ნიშანი 3,5, აფხაზეთში თამბაქოს მდგომარეობა საშუალოა (ნიშ.—3,3) სიღნაღის მაზრაში თამბაქოს საუკეთესო მდგომარეობაა (ნიშანი—5,0), ოზურგეთის მაზრაში საშუალოს უახლოვდება (ნიშ. 2,8).

ვენახები

საქართველოში ვენახების საუკეთესო მდგომარეობაა აღნიშნული: დუშეთის მაზრაში (5,0); საშუალოზე მაღალი და მასთან დაახლოვებული (3,5—4,5) ბორჩალოს, გორის, სიღნაღის, ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკის მაზრებში; საშუალო და საშუალოსთან დაახლოებული (3,0—3,3) თელავის, თბილისის, სამხრეთ-ოსეთის, ზუგდიდის, რაჭის და შორაპნის მაზრებში.

აზერბეიჯანში ვენახების მდგომარეობა საშუალოზე მაღალია და ამ მდგომარეობასთან დაახლოვებულია (3,5—4,2). სომხეთში ვენახების მდგომარეობა საშუალოა (2,6—3,4).

ბაღები

საქართველოში ბაღების მდგომარეობა ასეთია: საშუალოზე დაბალი (ნიშ. 2,1)—აფხაზეთისა და ზუგდიდის მაზრაში; საშუალო (2,5—3,4) ახალქალაქის, ახალციხის, გორის და დუშეთის მაზრებში და სამხრეთ-ოსეთში. საშუალოზე მაღალი—სიღნაღის, თბილისის და ქუთაისის მაზრებში.

სომხეთში ბაღების მდგომარეობა საშუალოა. აზერბეიჯანიდან ცნობები ბაღების მდგომარეობის შესახებ არ მოსულა.

ტფილისის საბჭოს პლენუმი

გუშინ, 12 ივლისს, საღამოს ნაძალადევის პლეხანოვის სახელობის თეატრში შესდგა თბილისის საბჭოს მორიგი პლენუმი.

კომუნალური ბანკის მუშაობა

კომუნალურ ბანკის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა კომუნალურ ბანკის დირექტორმა

ამხ. რ. დუმბაძემ,

რომელმაც მიმოხილვა გაუკეთა ბანკის მუშაობას უკანასკნელი კვარტალის განმავლობაში. მომხსენებლის გადმოცემით, ბალანსის სიდიდის მიხედვით, თბილისის კომუნალურ ბანკს უკავია მეხუთე ადგილი—საბჭოთა კავშირის ყველა კომუნალურ ბანკებს შორის.

საქართველოს ყველა ბანკებს 1925 წ. ოქტომბრიდან ა.-წ. ივლისამდე გაუციათ სესხად სულ 31.640.000 მანეთი. აქედან მხოლოდ თბილისის კომუნალურ ბანკს გაუცია 7.110.000 მანეთი.

თუ რამდენათ გაუფართოებია თბ. კომუნ. ბანკს თავისი მოქმედება, ცხადათ გვიჩვენებს წინა წლების ბალანსების 1926 წლის ბალანსთან შედარება. 1924 წლის 1 იანვრისათვის 4.288.290 მანეთი. 1926 წლის 1 იანვრისათვის 10.250.650 მანეთი.

ბანკის საერთო ბრუნვა 43.617.123 მანეთიდან გაიზარდა 292.636.105 მანეთამდე. 1923 წელს ბანკის ძირითადი კაპიტალი შეადგენდა—125.630 მანეთს, 1925 წლის პირველი იანვრისათვის 1.637.400 და მიმდინარე წლის მარტისათვის—2.000.000 მანეთს. ბანკის ბალანსი 1925 წლის 1 ოქტომბრის 9.137.289 მან. გადიდდა 11.711.204 მანეთამდე. მდგომარეობის გართულებამ ფულის ბაზარზე იმოქმედა მიმდინარე ანგარიშებზე შემოტანილ თანხების რაოდენობაზე. მაგ. 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის მიმდინარე ანგარიშებზე ირიცხებოდა—3.168.793 მანეთი, ხოლო 1 ივნისისათვის—2.915.415 მანეთი.

ბანკის თანხების ნახევარი (დაახლოებით) სესხის სახით ხმარდება კომუნალურ მეურნეობას და საბინაო აღმშენებლობას.

მაგ. მესამე კვარტალის პირველ ორ თვეში კომუნალურ ბანკიდან სახელმწიფო დაწესებულებებმა სესხის სახით მიიღეს 1.263.000 მანეთი ანუ მთელი გაცემული სესხის 18 %, კოოპერაცია—965.000 მანეთი (13,9%); კერძო კლიენტურას—629.000 მან. (8,9%); საკრედიტო დაწესებულებებს—946.000 მანეთი (13%), **კომუნალურ მეურნეობამ და საბინაო აღმშენებლობამ—4.025.857 მანეთი, ანუ 57%** მთელი გაცემული სესხისა.

სახელმწიფო ბანკის მიერ კრედიტების შემცირების გამო, კომუნალურ ბანკიდან საანგარიშო პერიოდში შეუმცირდათ კრედიტები კერძო პირებს. თუ 1925 წლის პირველ ოქტომბერს კერძო პირთა დავალიანება უდრიდა—575.000 მანეთს, ამჟამად მათი დავალიანება ბანკის მიმართ შეადგენს 245.000 მანეთს.

პლენუმმა მოიწონა კომუნალურ ბანკის საქმიანობა და დაამტკიცა წარმოდგენილი ღონისძიებები.

შემდეგ საბჭოს პლენუმის მიერ მოსმენილ იქნა ამხ. ასრიევის მოხსენება თბილისის ტრამვაის საჭიროებისათვის შეკვეთების შესახებ და დაამტკიცა თბილისის აღმასკომის დადგენილება ამ საკითხის შესახებ, რომელიც უკვე მოთავსებული იყო ჩვენი გაზეთის ექვსი ივლისის ნომერში.

დასასრულ,—ქალაქში ახალი შენობების აგების საკითხის მოწესრიგების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სიხარულიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ უკანასკნელ დრომდე გრძელდება სახლების უგეგმო აგება ქალაქის განაპირა უბნებში, რის შემდეგ მოუხერხებელი ხდება ქალაქის კეთილმოწყობა—წყალსადენის კანალიზაციის გაყვანა, ქუჩების გაფართოება და სხვა.

ამხ. სიხარულიძის მოხსენების მიხედვით, პლენუმმა დაადგინა აიკრძალოს ნებადაურთველათ და უგეგმოთ სახლების შენება და ამასთან ერთად დაევალოს ქალაქის აღმასკომს დააჩქაროს განაპირა უბნების დაგეგმვა.

პლენუმის სხდომა დამთავრდა ღამის 10 საათზე.

გრიგალი გურიაში

შაბათს—11 ივლისს საღამოს, ნატანების და ლანჩხუთის რაიონებში ამოვარდა საშინელი გრიგალი, რომლის სიძლიერემ მაქსიმალურ საზღვრებს მიაღწია. გრიგალმა დიდათ დააზარალა ნათესები ხეხილი ბაღები და ვენახები.

[illegible] ლანჩხუთის სიმინდის ყანებში გრიგალმა მიწაზე დააწვინა სიმინდის მცენარეები, რომელიც უკვე დათავთავებული იყო.

ერთი მესამედი ადრე დათესილი ყანებისა დაიღუპება. უფრო მაგვიანები ნათესები დაღუპვას გადაურჩნენ.

გრიგალმა წაიქცია ყველა სასიმინდეები, როგორც ყანებში, ისე ეზოებში.

გარდა ამისა წაქცეულია გრიგალისაგან სახლი.

გრიგალი იმდენად ძლიერი იყო, რომ ჰაერში იტაცებდა ადამიანებს და ცხოველებს; გლეხებმა, რომლებიც გრიგალმა ყანებში მოუსწრო, თავს უშველეს თხრილებში შეფარებით. [illegible] მოელოდით. აგრეთვე სახლში მომწყვდეულ ზოგიერთ ოჯახებს. ალაგ-ალაგ ოჯახები მთელი შემადგენლობით გამორბოდენ სახლებიდან და გრიგალის საშიშროებას თავს აღწევდნენ თხრილებში და ბუნებრივად დაფარულ ადგილებში. არის შემთხვევები ადამიანის სასტიკად დაშავებისა.

საგრძნობლად დაზარალდენ გრიგალისაგან ვენახები და ხილის ბაღები. ზოგან ხეები გრიგალისაგან ძირიანფესვიანად იქნა ამოგლეჯილი.

სახლების აშენება

საბინაო - საამშენებლო კოოპერაცია ფართოდაა განვითარებული რკინისგზებზე. ამჟამად საბინაო-საამშენებლო კოოპერატივთა რაოდენობა ამიერ - კავკასიის რკინისგზებზე 8 აღწევს, რომელთაგან—სამი პროვინციაშია: ქუთაისში, ხაშურში და სამტრედიაში.

კერძოთ თბილისში, რკინისგზების მთავარ სახელოსნოს მუშების მიერ დაარსებულია ამხ. ტროცკის სახელობის ამხანაგობა, რომელიც საქართველოში უძლიერეს ორგანიზაციათ ითვლება საბინაო — კოოპერაციაში. იგი ბინების აღმშენებლობას აწარმოებს ნაძალადევში და დიდუბეში. ამხანაგობას ჰყავს 300 წევრი.

აქამდე ამხანაგობის მიერ აშენებულია 36 ბინა.

გარდა ამხანაგობის მიერ უშუალოდ აშენებულ ბინებისა, ნაძალადევში თბილისის საქონლის ბირჟის მიერ აშენებულია რკინისგზელებისათვის ორ-ბინიანი სახლი.

საქართველოს საბინაო კოოპერაციისათვის ცენტრის მიერ გადადებულია თანხა ბინების ასაშენებლად 300.000 მან. რაოდენობით; ტროცკის სახელობის ამხანაგობა, როგორც ორგანიზაციულად უფრო ჩამოყალიბებული, ამ თანხიდან მიიღებს მეტ წილს და შეუდგება 15 ბინის შენებას. გარდა ამისა ამხანაგობა შეტანილია „საბინაო კავშირი“-ს გეგმაში, ადგილობრივ ფონდიდან 100 ათასი მან. მიღებით რომლითაც იგი შეუდგება 20 ბინის შენებას. ამგვარად მან წელს უნდა ააშენოს 35 ახალი ბინა.

გარდა აღნიშნული ამხანაგობისა, რკინის-გზელთა შორის დაარსებულია ახალი ამხანაგობა „აგარაკი“, რომელიც მიზნად ისახავს აგარაკების აშენებას. პირველ რიგში სახლების აშენება მას განზრახული აქვს წაღვერის რაიონში. სააგარაკო სახლის აშენება აქ ჯდება 500-600 მან., რომლიდანაც 75 პროცენტს აძლევს სესხის სახით კომუნალური ბანკი.

აღნიშნულ ამხანაგობათა გარდა, ა.-კ. რკინის-გზებზე ჩამოყალიბდა კიდევ ახალი საბინაო ამხანაგობა „რკინის-გზელი“, რომლის წევრებათ ითვლებიან მაღალ კვალიფიკაციის მქონე რკინისგზელები.

სას.-სამ. ბანკებში

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მიიღო დადგენილება საქართველოს და აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკების ურთიერთობის შესახებ.

ამ დადგენილების ძალით, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი ადგენს ერთიან საკრედიტო გეგმას, რომელშიაც შედის როგორც საქართველოს, ისე მასში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკების და ოლქების გეგმები.

აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკი ახორციელებს თავის საკრედიტო ფუნქციებს აფხაზეთის ფარგლებში დამოუკიდებლად. რაც შეეხება საკრედიტო გეგმებს, აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკი ადგენს მას საქართველოს საერთო საკრედიტო გეგმაში შესატანად, რის შემდეგაც იგი წარდგენილი უნდა იქნეს დასამტკიცებლად სათანადო ორგანოებში.

ჩაი

საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-მ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს საგეგმო კომისიის წინაშე, რათა მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებული იქნეს ახლად გაშენებული ჩაის პლანტაციები ხუთწლიან ჰასაკამდე.

ეს შუამდგომლობა გამოწვეულია იმით, რომ არც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულებაში და არც ამიერ-კავკასიის და საქართველოს სახკომსაბჭოების დადგენილებებში ეს საკითხი გათვალისწინებული არ არის და, თუ დამატებით არ იქნა მიღებული რაიმე დადგენილება, გადასახადით დაიბეგრება ახლად გაშენებული ჩაის პლანტაციები, რომლებიც ჯერ მოსავალს არ იძლევიან.

ასეთი დაბეგვრა, ცხადია, არ არის მიზანშეწონილი, რადგან იგი გამოიწვევს ჩაის კულტურის ზედმეტ დაბეგვრას და ამით შეიძლება შეაფერხოს ჩვენი სოფლის მეურნეობის ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის განვითარება-გაფართოვება.

საზოგადოთ, სპეციალური სასოფლო-სამეურნეო კულტურები იბეგრება მხოლოდ იმ ჰასაკის მიღწევის შემდეგ, როცა ისინი იწყებენ ნორმალური შემოსავლის მოცემას და მათთვის დაწესებულია საზღვრითი ჰასაკი.

ჩაის მიმართ ეს საკითხი გათვალისწინებული არ არის, რაც შემთხვევით მოვლენათ უნდა ჩაითვალოს და გამოსწორებული უნდა იქნეს იმით, რომ მთელს საბჭოთა კავშირში ჩაის პლანტაციები მხოლოდ საქართველოში არსებობს.

ყველა ამ მოსაზრებების გამო საგეგმო კომისიამ მიზანშეწონილად სცნო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს შუამდგომლობის დაკმაყოფილება; ამასთანავე სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან თავისუფლდება ახლად გაშენებული ჩაის პლანტაციები 5 წლის ჰასაკის მიღწევამდე.

ქ.

საქონლის ჭირი

აჭარისტანში

საქონლის ჭირი აჭარისტანში საშიშ სახეს ღებულობს. ჭირი ყოველდღე იწირავს მსხვილად მუშა-საქონელს, რაც ცუდ მომავალს უქადის ფუხარა ხალხის მეურნეობას.

მესაქონლეობა აჭარისტანში უფრო გავრცელებულია ზემო-აჭარის მაზრაში, სადაც ითვლება 60 ათასი სული საქონელი. ამავე მაზრაში იმყოფება საზაფხულო საძოვრებიც: ჭირმაც ამ საძოვრებზე იჩინა თავი.

საქონლის ჭირთან საბრძოლველად გაიგზავნა ექიმები. მათ უკვე აცრეს რამოდენიმე ათას სულ საქონელს, ხოლო ამჟამად ასაცრელი არის კიდევ 5 ათასი სული.

ასაცრელი შრატის მარაგი უკვე გამოლეულია და ამჟამად შუამდგომლობაა აღძრული მიწათმოქმ. კომისარიატის წინაშე, რომ მან კიდევ გაგზავნოს აჭარისტანში საკმაო შრატი.

ტყავის წარმოება

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, მიიღო რა მხედველობაში, რომ ამიერ-კავკასიაში ხელსაყრელი პირობებია ტყავის წარმოებაში საჭირო მასალის—„დუბიტელების“ დამზადებისათვის, წინადადება მისცა რესპუბლიკანურ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოების საგეგმო კომისიების საშუალებით წარადგინონ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში მრეწველობის ამ დარგის განვითარების ხუთ წლიანი გეგმა. გეგმების შედგენის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ისეთი „დუბიტელების“ დამზადება, რომელთაც შეუძლიათ თავისი ფასით და ღირსებით შესცვალონ საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი „დუბიტელები“.

1925-26 წელში საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი იყო საბჭოთა კავშირში 12.000.000 მანეთის „დუბიტელები“, აქედან ამიერ-კავკასიაზე მოდის 250.000 მანეთი.

რესპუბლიკანურ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს დაევალა იმავე მიზნით შეიმუშაონ ისეთი მცენარეების მოშენების ხუთწლიანი გეგმა, რომელთაგან მზადდება „დუბიტელები“.

სას.-სამ. გადასახადი

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი საქართველოში წელს უკვე 90 პროც. არის აკრეფილი.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა მომავალი წლის კამპანიისათვის მოსამზადებლად, სახელდობრ, სწარმოებს საგადასახადო ობიექტების აღწერა. აღწერას აწარმოებს 126 აღმწერი, მათ გარდა მაზრებში დაგზავნილია საქ. ფინსახკომის ინსტრუქტორი, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობენ საადწერო მუშაობას.

ადგილებზე ადგილი აქვს ობიექტების დამალვას; მიღებულია ზომები ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად.

1926—27 წელში გადასახადის საერთო თანხა მიმდინარე წელზე მეტი იქნება, დაახლოებით 10 პროცენტით. ეს აიხსნება იმით, რომ სასოფლო-მეურნეობის შემოსავლიანობა იზრდება, ხოლო თვით გადასახადის გაწერა კი ამ შემოსავლიანობის კვალობაზე ხდება.

1926—27 წელში გადასახადის ორი წილი დარჩება ადგილობრივი აღმასკომების განკარგულებაში.

ფასები ბაზარზე

თბილისის საქონლის ბირჟამ მოახდინა ივნისის საცალო ფასების გამოკვლევა, რომლის მიხედვით ადგილობრივ ხორბალს ფასებში ცვლილება არ განუცდია; ივლისის პირველისათვის ფუთი ხორბალი ფასობდა 2 მან. 30 კაპ. ქერი გაიაფდა. გაიაფდა აგრეთვე სიმინდის ფქვილიც ორი შაურით. უცვლელი დარჩა ლობიოს ფასი.

ხორცეულიდან გაიაფდა 3 კაპიკით გირვანქა ცხვრის ხორცი, მსხვილფეხა საქონლის ხორცის ფასი დარჩა უცვლელად.

კარაქზე ფასმა ივლისის პირველისათვის მოიმატა შაურით.

თუშური ყველის ფასი—52½ კაპ. გირ. უცვლელად დარჩა. ათეულ კვერცხის ფასმა დაიკლო ერთი შაურით, რძემ ნახ. კაპიკით, კარტოფილმა —კაპიკით; კომბოსტომ—2 კაპიკით, საჭმელ ზეთმა—1 კაპიკით.

შაქრის ფასები უცვლელად დარჩა, გირვანქა ნატეხი შაქარი ღირს 33 კაპიკი, ფხვნილი—27 კაპიკი.

ყავა გაიაფდა 40 კაპიკით. ბრინჯის და ქვამარილის ფასები არ შეცვლილა. გაიაფდა ფხვნილი მარილი ნახ. კაპ. ასანთის ფასი უცვლელი დარჩა, ასეთივე მდგომარეობაშია ცეილონის ჩაი, თამბაქო, საპონი „მამალი“ (25 კ. გირ.), ლილა (9 კაპ.) და ნავთი (4—5 კაპ. გირ.). გაძვირდა ნახ. კაპიკით მარმარილოს საპონი.

ფართლეულობიდან: ჩითი 16 ვერშოკიანი სიგანის ეხლა ღირს 55 კაპ. მეტრი—დაიკლო 1 კაპიკით, შალი მაუდის ფასი 3 მან. 50 კაპ. მეტრი უცვლელად დარჩა, ტილოს ფასმა მოიკლო 7 ნახ. კაპ., ეხლა ის ღირს 1 მან. 15 კაპ., მოიმატა 16 ვერშოკიან სიგანის სქელმა ნარმის ფასმა 2 ნახ. კაპ., ეხლა ის ღირს 62½ კაპ. მოიკლო თეთრი ნარმის ფასმაც. მადაპოლამმა მოიმატა 15 კაპიკით. ფასობს 1 მან. 15 კაპ. მეტრი. გაძვირდა აგრეთვე ნახ. კაპიკით ძაფი „ჯავეი“ ფასობს—17½ კაპ.

ლითონეულობიდან: ლურსმანის ფასი 17½ კაპ. გირ. უცვლელი დარჩა, საურმე რკინის ფასმა დაიკლო შაურით და ფასობს 4 მან. 75 კ. ფუთი.

სახურავი რკინის ფასიც უცვლელად დარჩა (6 მან. 50 კ. ფუთი).

ურემ ზეთის ფასმა დაიკლო 1 მანეთით—ფასობს 5 მანეთად.

ცეკავშირში

ცეკავშირის სავაჭრო აპარატი აქამდე შესდგებოდა ცალკე სავაჭრო განყოფილებებისაგან რომელიც ასრულებდა წმინდა სავაჭრო ფუნქციებს ვიწრო ფარგლებში.

დღეს უკვე ჩატარებულია ამ აპარატის რეორგანიზაცია და იგი უფრო ფართო მიზნებს ემსახურება. ნაცვლად განყოფილებისა ეხლა შექმნილია სავაჭრო-ოპერატიული განყოფილება, რომელსაც აქვს ქვე-განყოფილებები: სავაჭრო, საკომისიო-საშუამავლო და დამამზადებელი.

ასეთი რეორგანიზაცია გამოწვეულია კოოპერაციის ზრდით.

აქამდე თითოეულ კოოპერატიულ ორგანიზაციის ადგილებიდან ყოველგვარ სავაჭრო ან ფინანსიურ საკითხების მოსაგვარებლად, უნდებოდათ ჩამოსვლა ცენტრში, რაც იწვევდა ხარჯებს. ეხლა, საკომისიო განყოფილების დაარსების შემდეგ, ეს საქმე გადადის ცეკავშირზე.

განყოფილება ხელმძღვანელობს კოოპერატივებს საქონლის შეძენაში და კისრულობს წარმომადგენლობას იმ კოოპერატივებისას, რომლებიც დადებენ სპეციალურ ხელშეკრულებას ცეკავშირთან.

ჯერ-ჯერობით ასეთი ხელშეკრულება დადებული აქვთ 20 ძლიერ კოოპერატივს, რომელთა ხარჯები შემცირებულია 20—25 პროცენტით.

სპირტის ტრესტში

სახალხო მეურნ. უმაღლეს საბჭოს სახელმწიფო ღვინო-სპირტის ტრესტმა წელს ძლიერ გააფართოვა თავისი წარმოება.

მან უკვე დაიპყრო ყველა ის ბაზრები, რომლებზედაც ძველად გამოდიოდნენ კერძო მწარმოებლები. უკვე გახსნილია მთელი რიგი საკუთარი კანტორებისა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში და მეზობელ სახელმწიფოებში, როგორც მაგ., სპარსეთში.

ტრესტის საბრუნავ თანხებს საგრძნობი ზრდა ეტყობა. ამ ზრდამ თითქმის 150 პროცენტს მიაღწია გასულ წელთან შედარებით. შარშან ტრესტის წლიური ბრუნვა გამოიხატა 800.000 მანეთში; წელს ნახევარი წლის ბრუნვამ უკვე გადააჭარბა თანხის ამ რაოდენობას.

სოც. უზრუნველყოფა

ქუთაისის სამაზრო სოც. უზრუნველყოფის განყოფილებას სამი უკანასკნელი თვის განმავლობაში აღრიცხული ჰყავდა 370 ომის ინვალიდი, 145 შრომის ინვალიდი და 87 უპატრონო.

ამავე ხნის განმავლობაში გაცემული იქნა პენსიის სახით 2.534 მან. 80 კაპ., აგვისტოს ავანტიურის დროს ბანდიტების თავდასხმისაგან დაღუპულ ამხანაგების ოჯახებს დახმარებად მიეცათ 1.002 მანეთი. გარდა ამისა, ერთდროული დახმარება მიეცათ ომის და შრომის ინვალიდებს და უპატრონოებს 558 მანეთი.

წამლებით დახმარება ამავე ხნის განმავლობაში უდრიდა 210 მან. 84 კაპ.

ინვალიდთა სახლში სცხოვრობს 8 შრომის და ომის ინვალიდი. მათ შენახვაზე დახარჯულა 3 თვის განმავლობაში 316 მანეთი და 11 კაპიკი.

ლუდი

წრევანდელ ზაფხულს ლუდს განსაკუთრებული მოთხოვნილება აქვს. ამის გამო საგრძნობლად გადიდდა ლუდის დამზადება.

ივნისში დამზადდა 11.500 ვედრა ლუდი, ივლისში ჯერ-ჯერობით დამზადებულია 14.400 ვედრა.

ლუდის რეალიზაცია სწარმოებს შემდეგნაირად: საერთო დამზადების 50 პროც. საღდება კოოპერატივების საშუალებით, 30 პროც.—ტრესტის ლუდხანების საშუალებით, ხოლო დანარჩენი მიეყიდათ კერძო პირებს.

პროვინციაშიც სწარმოებს ლუდის გასაღება; აქ ეს საქმე სწარმოებს უმთავრესად კოოპერატივების ხაზით, ხოლო ზოგიერთ ადგილებში გასაღებას ახდენენ კონტრაგენტები. ივნისში პროვინციაში გასაღებულ იქნა 21.000 ბოთლი ლუდი.

ლუდის დამზადების გეგმა უკვე შესრულებულია ზედმეტად 125 პროცენტით.

ამ უკანასკნელ ხანებში ტრესტის ლუდის ხარშვა სწარმოებს ტრესტის მიერ დამზადებულ ნედლი მასალით. გაუმჯობესებულია ბოთლების რეცხვა, რაც ეხლა ხდება მექანიკური წესით.

ლუდის ქარხანა ნედლეულით უზრუნველყოფილი ვერ არის საკმაოდ. მას თავის დამზადებული მასალა მალე დაელევა და მოუხდება მისი შესყიდვა ბაზარზე.

მომავალ წლისათვის ლუდის ქარხანას უკვე შემუშავებული აქვს გეგმა და იგი გაისად დაამზადებს 100.000 ვედრა ლუდს, რაც მოითხოვს ქარხნის გაფართოებას. და იქ ახალი მანქანების დადგმას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეღავათი მოსწავლეთათვის

რკინისგზით მოგზაურობის დროს

პროფგანათლების მთავარმა სამმართველომ (მოსკოვში) საბჭოთა კავშირის სასწავლებლების მოწაფეთათვის შეიმუშავა მგზავრობის დროს შეღავათებით სარგებლობის წესი.

უფასოდ მგზავრობის უფლებით სარგებლობენ კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებლების, მუშფაკების და ტეხნიკუმების ულარიბესი მოწაფეები (მოწმობა ფორმა № 8) არდადეგების დროს სასწავლებლიდან გამგზავრების და უკან დაბრუნების დროს.

75% შეღავათით სარგებლობენ უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტი-სტიპენდიანტები არდადეგების დროს სასწავლებლებიდან გამგზავრების და უკან დაბრუნების დროს.

50% შეღავათით (მატარებლის საერთო ღირებულებიდან) სარგებლობენ უმაღლეს სასწავლებლების, მუშფაკების და ტეხნიკუმების სტუდენტები და აგრეთვე საბჭოთა პარტიულ სკოლების მსმენელები არდადეგების დროს სასწავლებლებიდან გამგზავრების და აგრეთვე ერთი სასწავლებლიდან მეორეში გადასვლის და საზაფხულო პრაქტიკაზე გამგზავრების დროს.

შემცირებული შეღავათებით სარგებლობენ აგრეთვე იმ სასწავლებლების მოწაფეები, რომლებიც გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის მიერ შეტანილია ტარიფების კრებულში.

შეღავათიანი ტარიფი ძალაში რჩება მიმდინარე წლის 15 ოქტომბრამდე.

◆

საკავშირო კონკურსი

საუკეთესო ცეცხლის მქრობელ რაზმზე

საკავშირო კონკურსი საუკეთესო ცეცხლის მქრობელ რაზმზე, რომელიც გაზ. „ბედნოტამ“ გამოაცხადა, გაგრძელებულია პირველ აგვისტომდე.

საუკეთესო ცეცხლის მქრობელი რაზმები მიიღებენ: პირველი ჯილდო—1000 მანეთის მოწყობილობა ცეცხლის საქრობათ, მეორე ჯილდო—500 მანეთის მოწყობილობა, მესამე ჯილდო—250 მანეთის მოწყობილობა.

საფოსტო ამანათები

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის განკარგულებით იმ ადგილებში, სადაც შემოღებულია საფოსტო ამანათების მიტანა ბინაზე, შემოღებული იქნება აგრეთვე გასაგზავნი ამანათების მიღება ბინაზე. გასაგზავნი ამანათის მიღებისათვის ბინაზე დაწესებულია იგივე ფასი, როგორც საფოსტო ამანათის მიტანისათვის ბინაზე.

საექიმო იარაღები

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა მიიღო საზღვარგარეთიდან, ამას წინედ გამოწერილი საექიმო ხელსაწყო-იარაღები.

მიღებულია სადოსტაქრო ტეხნიკისათვის საჭირო გაუმჯობესებული იარაღები—დანები, დანების სალესი, საოპერაციო საწოლი და სხვა.

გარდა აღნიშნული ინსტრუმენტებისა მიღებულია ვენერიული მკურნალობისათვის საჭირო იარაღები, სასუნთქი აპარატი, სისხლის გამოსაკვლევი მოწყობილობა და სხ.

იარაღ-ხელსაწყოები მიიღო სპეციალისტთა კომისიამ.

ცეცხლისაგან დაზღვევა

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ სასურველად სცნო, რომ ცეცხლისაგან სავალდებულო დაზღვევის საერთო არეში 1926—27 წელში შევიდეს საქართველოს ყველა ქალაქები, ხოლო ვინაიდან მათ რიცხვში 15 ქალაქი—სახელდობრ: დუშეთი, ხაშური, ზესტაფონი, ზუგდიდი, სამტრედია, ხონი, ონი, შულავერი, ლიუქსემბურგი, ცხინვალი, ახალ-სენაკი, ოზურგეთი, ოჩემჩირე, გუდაუთი და გაგრა არის სასოფლო-სამეურნეო ტიპის ქალაქები და სოფლად ცეცხლისაგან სავალდებულო დაზღვევა კი არ არის განზრახული მომავალი წლისათვის, ამისათვის საქართველოს საგეგმო კომისიას კანონიერად მიაჩნია, რომ ცეცხლისაგან სავალდებულო დაზღვევის არეში შედიოდეს არა ყველა ეს ქალაქები მთლიანად, არამედ მათი განსაზღვრული ნაწილი.

თუ დასახელებული ქალაქების რა და რა ნაწილი უნდა შედიოდეს ცეცხლისაგან სავალდებულო დაზღვევის ფარგლებში, ამის გამოსარკვევად დაარსებულია განსაკუთრებული დაზღვევის სამმართველოს, ადგილობრივი აღმასკომის და სამაზრო სტატისტიკური ბიუროს წარმომადგენლები.

საქორწინო ჰასაკი

საქორწინო კოდექსის საფუძველთა დაწესების მიზნით, საკავშირო ცაკი აწარმოებს ყველა რესპუბლიკებიდან მასალების შეგროვებას დედაკაცის საქორწინო ჰასაკის მინიმუმის და მაქსიმუმის დაწესების შესახებ.

საკავშირო ცაკმა აღნიშნული საკითხის შესახებ მიმართვა გამოუგზავნა ა.-კ. ფედერაციის ცაკს, რომელმაც თავის მხრივ მიმართა ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებს, თუ რა საქორწინო ჰასაკი მიაჩნიათ მათ დედაკაცებისათვის დასაშვებათ ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

საქართველოს პირობებში აღნიშნული საკითხის გამოსარკვევად, უკვე დაიწყო მასალების შეგროვება.

იუსტიციის სახ. კომისარიატმა გამოიმუშავა წესი სამისოთ და მიმართა ყველა დაინტერესებულ ორგანოებს წარმოადგინონ თავიანთი დასკვნები.

გარდა ამისა, განზრახულია ამ საკითხის გამორკვევაში ჩაბმულ იქნეს მოსახლეობაც. ამ მიზნით ჩატარებულ იქნება ზოგიერთ ადგილებში დაკითხვები და სხვ.

ეს საკითხი დასმულია გასარჩევათ ჯანსახკომის სამეცნიერო საბჭოში, სადაც განხილულ იქნება ქალის საქორწინო ჰასაკის საკითხი მრავალი თვალსაზრისით—შობიერობის უნარიანობის, მალარიიანი კუთხეების და სხ.

ინვალიდების უზრუნველყოფა

მომავალი საბიუჯეტო წლიდან გადაწყვეტილია ომის და შრომის ყველა ჯგუფის ინვალიდებისათვის პენსიების დანიშვნა.

დღემდე პროვინციებში მყოფი ინვალიდები იმყოფებოდენ სამაზრო აღმასკომების უზრუნველყოფაზე და ხშირად ვერ ღებულობდენ კუთვნილ დახმარებას.

თანახმად მთავრობის დადგენილებისა, მომავალი საბიუჯეტო წლიდან ცენტრი გაიღებს 1-ლი, მეორე და მესამე ჯგუფის ინვალიდთა უზრუნველსაყოფად თანხის 25 პროცენტს, ხოლო დანარჩენი—გათვალისწინებულ უნდა იქნეს ადგილობრივი ბიუჯეტებით.

სოც. უზრ. კომისარიატის ცნობით, მთელ რესპუბლიკაში პენსია დაენიშნება ომის და შრომის 1272 ინვალიდს.

აბუსალათინი

ვინაიდან მიმდინარე წელში აბუსალათინის თესვის დრო უკვე გასულია, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ წინადადება მისცა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ჩაატაროს შემდეგი ღონისძიებები:

გამოარკვიოს აბუსალათინის კულტურის ეკონომიური მნიშვნელობა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში; დაკვირვების საშუალებით გამოარკვიოს აბუსალათინის მოშენების სწორი წესრიგი; საცდელი და სალექციო სადგურზე, იქ, სადაც აბუსალათინი დათესილია, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა შეისწავლოს აბუსალათინის სხვადასხვა ჯიშები—მოსავლიანობის, ნიადაგთან შეგუების, დამწიფების სიჩქარის და სხვა თვალსაზრისით.

ამასთანავე კომისარიატმა უნდა აწარმოოს სათესლე მასალის შერჩევა და დაამზადოს იგი მომავალ წელში დასათესად იმ რაიონებში, რომელიც საუკეთესოდ იქნება ცნობილი აბუსალათინის კულტურისათვის.

ამავე დროს კომისარიატმა უნდა მიიღოს ზომები მომავალი წლისათვის ნათესების გასაფართოვებლად.

ქრონიკა

დასასვენებელი დღე

13 ივლისი, ორშაბათი, მუშათა დასასვენებელი დღეა.

იაპონელების ჩამოსვლა

გუშინ ბათომიდან თბილისში ჩამოვიდენ ტოკიოს სავაჭრო მუზეუმის გამგე ბ. მიკაჯე მორი და ამავე მუზეუმის თანამშრომელი ხუჯი ხატა.

სპარსეთის და ოსმალეთის ქვეშევრდომთა აღწერა

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის უცხოეთის ქვეშევრდომთა განყოფილებამ დაიწყო საქართველოში მცხოვრებ უცხოელების აღრიცხვა და მათზე საცხოვრებელ ახალ მოწმობების გაცემა. ოსმალეთის ქვეშევრდომნი უნდა გამოცხადდენ აღნიშნულ განყოფილებაში 26—28 ივლისს. ხოლო სპარსეთის—7 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე.

შრომის საკითხები

— მეტივეთა შრომის გამოკვლევა. შრომის დაცვის ინსპექციამ გამოიკვლია ბორჯომის რაიონის მეტივეეთა შრომის პირობები და წინადადება მისცა საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტს მეტივეებთან დასდოს ახალი კოლექტიური ხელშეკრულება მათი შრომის პირობების გაუმჯობესების მიზნით.

— შრომის დაცვის ინსპექციამ აგრეთვე შეისწავლა გორის კირის დამწველთა შრომის პირობები და წინადადება მისცა სათანადო ორგანოებს გააუმჯობესონ მათი მდგომარეობა.

სხვადასხვა

—ეკონომიური ქარტა. სახ. უნივერსიტეტის კარტოგრაფიული ინსტიტუტი შეუდგა საქართველოს ეკონომიურ ახალ ქარტის ბეჭდვას ქართულ ენაზე.

— სახ. სათბობის სამმართველომ შეიმუშავა თბილისის სათბობი მასალის მდგომარეობის ახალი გეგმა.

— უმ. სამ. საბჭო. აგზავნის სპეციალისტებს ძირულის მადნებიან მიდამოების გამოსაკვლევად.

— ვენერიულ დისპანსერში იუნისში ახლად მიღებული იქნა 107 ავადმყოფი, აქედან 59 ქალია, 122 მამაკაცი, 16 ბავშვი. მათ შორის ათაშანგიანია 39.

— ნაძალადევის მუშათა სახლის აგება დასრულდება ოქტომბრის პირველ რიცხვებისათვის.

— ტყის გაშენება. სატყეო კულტურის სექციამ შეადგინა გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა თბილისის გარშემო მდებარე გორაკებზე ტყის გასაშენებლად.

— ჭაობის ამოშრობა. ვაკის ნესტიან ადგილების ამოსაშრობად ამჟამად სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა.

ჩამოსული დეპუტატები

გროზნიდან—სულუხიანს, ბაქოდან—ხაჭიკაშვილს, გალიდან—სვანიძეს, ლენინგრადიდან—ზალეცკის, ახალ ქალაქიდან—გუგუშვილს, სერპუხოვიდან—ბუჩიძეს, გროზნიდან—აჟინიოვს, ბაქოდან—კარლინსკის, ბათომიდან—ლორთქიფანიძეს, კარაკლისიდან—ალევერდიანს, მოსკოვიდან—ფელდმანის, მოსკოვიდან—არეშიძეს, გაგრიდან—პეპელს, კიევიდან—ბელსკის, სიღნაღიდან—მურადოვს, ბაქოდან—გუკასოვს, დუშეთიდან—მელაძეს, მოსკოვიდან—მაისტრენკოს.

შემთხვევები

მკვლელობა

გუშინ ქავჭავაძის ქ. სახლი № 39-ში შევიდა ორი უცნობი პირი. მათ სახლის მესამე სართულზე ასვლისას გაისმა ხმაურობა. ამ დროს მეზობლებმა შენიშნეს, რომ მესამე სართულიდან ქვემოთ ჩამოდიოდა უცნობი ადამიანი, რომელიც მძიმედ დაჭრილი იყო ხანჯლით მუცელში. ამ ჭრილობისაგან ის გარდაიცვალა, რომელიც შემდეგ ამოიცნეს მოქ. აბას-ალი-ოღლი. მეორე უცნობი პირი—კი მიიმალა.

ძებნა-ძიება სწარმოებს.

— 10 ივლისს საბურთალოში მე-12 მძიმე არტილერიის ლეგიონის საწყობის გუშაგს უცნობმა პირებმა ატეხეს სროლა. გუშაგმაც სროლითვე უპასუხა, რის შემდეგ უცნობი პირნი მიიმალენ.

— შარლატანები. ვაჰარს გრანდ მელიქიანცს უცნობმა პირებმა ვითომდა მზესუმზირის ზეთის მაყიდვებმა გამოტყუეს 150 მან. ბეს სახით და მიიმალენ.

— ცეცხლი. 11 ივლისს რუსის ქუჩაზე მდებარე № 3 ჯანაშვილის სასადილოს გაჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა.

— ყელის გამოჭრა. 11 ივლისს რიყის შესახვევ № 78 გაჭირვების ნიადაგზე ყელი გამოიჭრა ჯიბის დანით.

— თავის მოკვლა. 11 ივლისს საბჭოს ქ. № 137 საღამოს 10 ს. მაუზერით თავი მოიკლა სარდიონ სპირიდონის ძე ლომთათიძემ.

— ბავში. დიდუბის ეკლესიის მახლობლად ხევში იპოვეს ახლად დაბადებული ბავშვის გვამი.

— ქურდობა. 11 ივლისს ამაღლების ქ. № 1 გაქურდეს ვასილ ქაჯაიას სარდაფი.

— 10 ივლისს კირკის ქ. № 9- ივანე შარატაევას ბინიდან მოიპარეს 500 მ. ნივთები. ეჭვით დაპატიმრებულია მეეზოვე.

— 11 ივლისს შერემეტიევის ქ. № 21 გაქურდეს მარიამ გეწაძის ბინა.

— 10 ივლისს მანუმენტის ქ. № 7 გაქურდეს შახნაზაროვის ბინა.

— ამავე დღეს პავლიჩენკოს ქ. № 4 გაქურდეს გიორგი ოქროევის ბინა.

— მირზოევისეულ აბანოში მობანავე ქალს ქილაძისას მოჰპარეს ტანსაცმელი.

— 10 ივლისს ფაბრიკის შესახ. № 16 გაქურდეს მაშადი ისკანდაროვის ბინა.

— მეხის მსხვერპლნი. სოფ. ჰაკანში მეხმა მოკლა ორი ქალი—დები.

ხელოვნება

წარმოდგენა ფეხბურთელების სასარგებლოთ

დღეს რუსთაველის თეატრში იმართება წარმოდგენა კორპორაცია „დურუჯი“-ს სახელობის ფეხბურთელთა გუნდის სასარგებლოდ.

აღნიშნული გუნდი უკვე მეხუთე წელიწადია რაც არსებობს; უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გუნდმა სამჯერ გამოიცვალა სახელი.

თავდაპირველად გუნდი არსებობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის სასპორტო კლუბთან; შემდეგ როდესაც ეს კლუბი დაიშალა, გუნდმა მიიღო ამხ. გ. ქავთარაძის სახელი; გასული წლის შემოდგომაზე გუნდზე შეფობა მიიღო აკადემიური დრამის მსახიობთა კორპორაცია „დურუჯმა“, რომლის სახელსაც ატარებს დღეს ეს გუნდი.

„დურუჯი“ დღესდღეობით ერთერთი უძლიერესი გუნდია თბილისში.

იდგმება პიესა „ლამარა“; მონაწილეობას იღებს მსახიობთა პირველი შემადგენლობა.

როლები განაწილებულია შემდეგნაირად: ლამარა—თ. ჭავჭავაძე, მინდია—გ. დავითაშვილი, თორღვაი,—უშანგი ჩხეიძე, მურთაზ—აკ. ვასაძე, იხო—აკ. ხორავა, იდირ ბებრაი—დ. ჩხეიძე, ვაჟა—პ. კორიშელი, რაიბულ—შ. დამბაშიძე და სხვა.

მასაში სხვებთან ერთად გამოვლენ ფეხბურთელებიც.

— „სამნი“. იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა გასასყიდათ ვ. მალაქიაშვილის ახალი რომანი „სამნი“.

◆

სასამართლო

მკვლელობა

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. პაპავას თავმჯდომარეობით და პროკურორ ხანჯალიძის მონაწილეობით ქ. გორში გაარჩია მოქ. ჯეირანაშვილის საქმე.

ჯეირანაშვილს ბრალდებოდა ბიძაშვილის მოკვლა.

დაზარალებულმა ძალდატანებით გააუპატიურა ბრალდებულის ცოლი. ყოველივე ეს ცოლმა უამბო ქმარს, რის შემდეგ ბრალდებულმა მოკლა თავისი ბიძაშვილი.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი სცნო დამნაშავედ და დასძინა, რომ მკვლელობა ჩაიდინა შურისძიების ნიადაგზე, რადგან მის ბიძაშვილს სქესობრივი კავშირი ჰქონდა იმის ცოლთან.

მოწმეების დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ბრალდებულის ცოლი დაზარალებულს არ თანაუგრძნობდა.

სასამართლოს კვლევა-ძიებით დადასტურდა, რომ ბრალდებულმა მკვლელობა ჩაიდინა წინასწარი განზრახვით.

სასამართლომ ბრალდებულ ჯეირანაშვილს მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

ცოლის მკვლელი

ა. სადრაძის საქმე

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ქ. ოზურგეთში გაარჩია არსენ სადრაძის საქმე.

სადრაძეს ბრალდებოდა ცოლისა და მოქ. პროკოფი მეფარიშვილის მოკვლა.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ და დასძინა, რომ მან მკვლელობა ჩაიდინა თავდაცვის მიზნით.

ბრალდებულმა უამბო სასამართლოს, რომ მან ეჭვით იცოდა ის გარემოება, რომ მის ცოლსა და მეფარიშვილს ერთმანეთი უყვარდათ. ეს ეჭვი დადასტურებულ იქნა მეფარიშვილის მიერ მისი ცოლისადმი მიწერილ წერილებით. ბრალდებულის ცოლიც სწერდა მოქ. მეფარიშვილს სატრფიალო წერილებს. ოჯახის შეურაცყოფის გრძნობა მას არ ასვენებდა, მით უფრო, რომ მან ყველაფერი ეს თავისი თვალით ნახა, ამის შემდეგ ბრალდებულმა 1925 წ. 6 ივლისს მოჰკლა ჯერ მოქ. მეფარიშვილი და შემდეგ კი—თავისი ცოლი.

სასამართლომ სადრაძეს მიუსაჯა რვა წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

მსჯავრდადებულმა საკასაციო საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში.

ეს საქმე გაარჩია უზენაეს სასამართლოში ამხ. [illegible] თავმჯდომარეობით და პროკურორ გაბუნიას მონაწილეობით.

უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა ოლქის სასამართლოს დადგენილება იმის შესახებ, რომ სადრაძის მიერ მკვლელობა ჩადენილია წინასწარი განზრახვით შურისძიების ნიადაგზე და ამ ნაწილში საკასაციო საჩივარი დასტოვა უშედეგოთ.

უზენაესმა სასამართლომ სცნო აგრეთვე, რომ ვინაიდან სასამართლოს მიერ ბრალდებულისათვის სოციალური დაცვის ღონისძიებანი არ არის შეფარდებული თვითოეულ დანაშაულობისათვის ცალ-ცალკე—დაადგინა: განაჩენის ეს ნაწილი გაუქმებულ იქნას და საქმე ხელ-ახლად გასარჩევად გადაეცეს დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს.

რკინისგზებზე

სასკოლო მშენებლობა რკინის გზაზე

რკინისგზელთა კავშირის ცენტრ. კომიტეტმა საგზაო კომიტეტს შეატყობინა, რომ წელს სასკოლო მშენებლობისა და შეკეთებისათვის გაცილებით მეტი თანხებია, ვიდრე შარშან. მიმდინარე წლისათვის სასკოლო მშენებლობისათვის გადადებულია 1.252.000 მანეთი, ხოლო სკოლების შესაკეთებლად —1.418.000 მანეთი.

კავშირის ცენტრ. კომიტეტი სთხოვს ამ.-კავ. საგზაო კომიტეტს თვალყური ადევნონ გადადებული კრედიტების მიზანშეწონილად და ეკონომიურ ხარჯვას დანიშნულებისამებრ.

რკინისგზელთა ხელფასი

საგზაო კომიტეტი იწყებს ამ.-კავ. რკინის გზებზე გადადებულ ხელფასის გატარებას—ასორმოცდაათ პროცენტიან (სარტყლის მიხედვით), ე. ი. პირველი თანრიგისათვის საშუალოდ მოდის 13 მან. 50 კაპ.

ბავშვთა ახალშენები

რკინისგზელთა საბავშო ახალშენებში (კოჯორში), საგზაო კომიტეტის მიერ 3 საზაფხულო თვისათვის ადგილები შემდეგნაირად არის განაწილებული: საქართველოს—120 ადგილი, აზერბეიჯანს—60 ადგილი და სომხეთს—30.

საგზაო კომიტეტმა დაადგინა აღმოუჩინოს კოჯორის საბავშო ახალშენს ნივთიერი დახმარება.

სატარიფო ცხრილი

ამიერ-კავკასიის რკინის-გზების მმართველობის განკარგულებით, ა.-კ. რკ.-გზებზე გატარებულია ახალი სატარიფო ცხრილი, რომლის თანახმად ძირითადი ხელფასი პირველი თანრიგით უდრის 13 მანეთს და 20 კაპ., მალარიიან ადგილებში მომუშავეთათვის 14 მან. 20 კაპ. გარდა ამისა ეძლევათ ჯილდო 10 მანეთი თვიურად.

ახალი ცხრილი შემოღებულია აპრილიდან.

საჭილაოს ქარხანა

ა.-კ. რკინის-გზების სატყეო განყოფილებას საჭილაოში აქვს ამხ. პოზდეევის სახ. სახერხი ქარხანა. ქარხნის წარმოებაში აღმოჩენილ იქნა მთელი რიგი დეფექტებისა.

ამის გამო გზათა სამმართველოს მიერ მიღებულია საჭირო ღონისძიებები ამ დეფექტების მოსასპობათ და ნაწარმოების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ორთქლმავალის გადავარდნა

სადგურ ევლახში მიმოსვლის დროს ლიანდაგს ასცდა ორთქლმავალი; ხაზი დაზიანდა 3 საჟენის მანძილზე.

ფეხბურთი

თბილისი—„არსრაიონი“

კვირას, 11 ივლისს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა თბილისის მეორე ნაკრები გუნდის და „არსრაიონის“ ამხანაგური შეჯიბრი.

თბილისის ნაკრები გუნდი ამ შეჯიბრში გამოვიდა შემდეგი შემადგენლობით: პაპკოვი, ფოჩხუა, თედეევი, ორეხოვი, ბლანკმანი, უიტნიცკი, პარამონოვი, გუნია, მდივანი, ვაჩნაძე და ცომაია.

„არსრაიონი“, როგორც ყოველთვის, თამაშობდა თავისი ძირითადი შემადგენლობით.

თამაშში დაწყებისთანავე შეტევაზე გადადიან არსრაიონელები, რომლებიც რამოდენიმე წუთის განმავლობაში არ შორდებიან მოპირდაპირის კარებს. ჩქარა ისინი იძულებული არიან თავდაცვაზე გადავიდენ, რადგან ნაკრები გუნდის ფორვარდები სახიფათო მომენტებს ქმნიან „არსრაიონის“ პიშკართან.

აღსანიშნავია, რომ პირველ ხავტაიმში საერთოდ ორივე გუნდი მოდუნებულად თამაშობდა. თამაში გამოცოცხლდა მხოლოდ ხავტაიმის ბოლოს, როდესაც ორივე გუნდმა თითო ბურთი მიიღო თავის ბადეში; ამასთანავე ნაკრებმა გუნდმა პირველი ბურთი შეუგდო მოპირდაპირეს „პენალტიდან“, არსრაიონელებმა კი ბრძოლით შეიტანეს პირველი ბურთი.

მეორე ხავტაიმში თამაში უფრო გაცხოველდა; აქ უკვე ორივე გუნდი მონდომებით თამაშობენ, რასაც ხავტაიმის ბოლომდე შედეგათ მოყვა სამ-სამი ბურთის გატარება ორივე მხარის კარებში და, ამრიგათ, შეჯიბრი გათავდა 4:4.

23 ივლისი

23 ივლისს სრულდება ხუთი წელიწადი წითელი სასპორტო ინტერნაციონალის დაარსებიდან.

ამ დღის აღსანიშნავად 25 ივლისს საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქებში გაიმართება ფიზკულტურელების დემონსტრაცია და გამოსვლები; ამასთანავე გაიმართება საჯარო შეჯიბრები, რომელთა შემოსავალი მოხმარდება წითელი სასპორტო ინტერნაციონალის ინტერნაციონალურ ფონდის გაძლიერებას.

ლენინგრადი

მოსკოვი—ლენინგრადი

ამას წინათ ლენინგრადში გაიმართა მოსკოვის საცდელ-საჩვენებელ მოედანის პირველი გუნდის და ლენინგრადის საუკეთესო გუნდის —„პეტროგრადის რაიონის“ საქალაქთაშორისო შეჯიბრი.

შეჯიბრი გათავდა 2:1 მოსკოვის სასარგებლოდ.

მეორე დღეს მოსკოველები ეთამაშენ ვასილიევის კუნძულის გუნდს და მოუგეს 3:2.

მოსკოვი

მოსკოვი-ფინეთი

ივლისის პირველ რიცხვებში მოსკოვს ესტუმრა ფინეთის სასპორტო კავშირის ფეხბურთელთა გუნდი, პირველი შეჯიბრი ამ გუნდს ჰქონდა ლენინგრადის მეორე ნაკრებ გუნდთან. შეჯიბრი გათავდა 2:2.

მოსკოველებთან შეჯიბრში ფინელებმა მძიმე დამარცხება განიცადეს; შეჯიბრი გათავდა 7:2 მოსკოვის სასარგებლოდ.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ფინელებთან შეჯიბრში ყოველთვის გამარჯვებული გამოდის საბჭოთა გუნდები.

მეურნეობა და ტეხნიკა

სამკალი მანქანის ისტორია

მრავალი ასეული წლების განმავლობაში მოსავალის ასაღები ერთად-ერთი იარაღი იყო ნამგალი. მხოლოდ 1826 წ. იქნა დამზადებული პირველი სამკალი მანქანა, რომელმაც მკალის შრომა შესამჩნევათ გაადვილა.

ამრიგად მიმდინარე წელს სამკალ მანქანას გამოგონების ასი წელი უსრულდება. ივნისში 75 წელიწადი შესრულდა მეორე მნიშვნელოვან გამოგონებას სამკალი მანქანების ისტორიაში. 1851 წ. 20 ივნისს ლონდონის გამოფენაზე პირველათ იქნა ნაჩვენები მაკ-კორმიკის სამკალი მანქანის (გამოგონებულია 1836 წ.) და ბელლის მანქანის მუშაობა.

მანქანები იმდენათ კარგათ მუშაობდენ, რომ ორივეს ჯილდო მიეცა და მას შემდეგ სამკალი მანქანები უფრო და უფრო ვრცელდება სოფლის მეურნეობაში.

მიუხედავათ მრავალი ნაკლულოვანებისა, ბელლის მანქანამ მკის ნაყოფიერება 10—20-ჯერ მაინც გაადიდა.

ამჟამად სამკალი მანქანა ჩვეულებრივათ უფრო უნივერსალური მანქანის ნაწილს წარმოადგენს. ეს მანქანა მკის პურს, კრავს ძნებათ და ზვინებათ აწყობს ან მკის, ლეწავს, ანიავებს და შემდეგ ხორბალს ტომრებში ყრის—ისე, რომ მინდვრათ რჩება მხოლოდ ჩალა და ხორბლით გავსებული ტომრები.



ბელლის მანქანა

იურიდიული დახმარება

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

მე ვცხოვრობ მე-11 სამ. უბანში ნავის მთაზე № 342-ში; მიქირავს ერთი ოთახი 72 კვად. არშ. ვმსახურობ თბილისის დეპოში; ვარ კავშირის წევრი (კავშირის წიგ. № 14993) ჯამაგირს ვიღებ მე-7-დე თანრიგით—36 მ. 40 კ. სახლის პატრონს ბინის ქირად ვაძლევდი 5 თვის განმავლობაში 8 მანეთს. შემდეგ გამიხადა 10 მანეთი, ეხლა კი მთხოვს 20 მან. სახლი საჭიროებდა შეკეთებას, რის გამოც მან გადამახდევინა 5 თვის ქირა წინდაწინ. მაგრამ თვითონ არ შეაკეთა სახლი და შევაკეთე მე.

სახლი არის ქალაქის განაპირა უბანში.

გთხოვთ მიპასუხოთ თუ რამდენი უნდა გადვიხადო ქირა და თუ სახლის პატრონმა არ მიიღო, სად შევიტანო.

რკინისგზელი მუშა—ლევან კობახიძე.

პასუხი

თითოეულ კვადრ. არშინზე თქვენ იხდით როგორც ქალ. განაპირა უბანში მცხოვრები ერთ კაპეიკს.

თუ კი ამას სახლის პატრონი არ მიიღებს, შეიტანეთ თბილისის ხაზინაში იუსტ. სახკომის დეპოზიტში.

კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის მოქმედება?

ამ ერთი თვის წინეთ მე დამიშვეს საბჭოთა ერთ-ერთ დაწესებულებაში ტეხნიკურ მომუშავედ (უნდა მეწარმოებია საქმე და გამეწია რეგისტრატორობა). სამსახურზე დაშვებული ვიყავი გამოცდით, რის შემდეგ უნდა ჩავერიცხეთ შტატში. ჩემი გამოცდა გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხნის განმავლობაში და მეორე თვის დასაწყისში დამქირავებელმა გამომაცხადა უვარგისად და მომხსნა სამსახურიდან; მას ჩემთვის არ მოუცია შრომის ხელფასი, არც გაუფრთხილებლობის და არც გამოუყენებელ შვებულების იმ მოსაზრებით, რომ ვითომცა მე ასეთები არ მერგებოდეს. გთხოვთ ახსნა-განმარტებას მართალია თუ არა ადმინისტრაცია?

ყოფ. საქმის მწარმოებელ-რეგისტრატორი კოწია ბ—კია.

პასუხი

ადმინისტრაცია სრულებით არ არის მართალი. თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 38-ისა, თქვენი გამოცდა არ უნდა გაგრძელებულიყო ორ კვირის მეტ ხნის განმავლობაში, როგორც არა კვალიფიციური და ნაკლებად პასუხისმგებელ მუშაკისა, და თუ თქვენი მუშაობა გაგრძელდა აღნიშნულ ვადის მეტი ხანგრძლივობით, ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენ უკვე ითვლებოდით თანამშრომლად და ადმინისტრაციამ თავის თავზე უკვე მიიღო ყველა ის ვალდებულებანი, რომლებიც გამომდინარეობენ შრომის ხელშეკრულებიდან და შესრულებულ უნდა იქნენ მუდმივ მუშაკთა სამსახურიდან დათხოვნის დროს. ამიტომ თქვენ უნდა მოგეცეთ შრომის ხელფასი მთელი იმ ხნის განმავლობაში, რამდენიც თქვენ ფაქტიურად იმუშავეთ (იხ. შრ. კან. კოდ. მუხ. 59); გაუფრთხილებლობისათვის გასავლელი დახმარება ორი კვირის ხელფასის რაოდენობით (იხ. შრ. კანონთა კოდ. მუხ. 47-ის შენიშვნა 8 და მუხ. 88) და გამოუყენებელ შვებულების ჯილდოც, თანახმად შრომის კან. კოდ. მუხ. 91-ის და ამიერკავ. შრომის სახკომატის 1924 წ. 25 ნოემბრის განმარტებისა. (გამოქვეყნებულია ამ.-კავ. შრომის სახკომატის 1924 წ. „მოამბე“—№ 14-ში).

მთავრობის განკარგულებანი და [illegible]

დადგენილება

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-3 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიისა

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მეხუთე მუხლისა და ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მეოთხე მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექსტი საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონისა (კონსტიტუციისა), მიღებული ცვლილებითა და დამატებით, დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ამ სესიის მიერ მიღებული საქართველოს ს. ს. რ. ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) ტექსტი საბოლოოდ დამტკიცებისათვის წარედგინოს სრულიად საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობას.

აფხაზეთის ს. ს. რ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი გადაამუშავებს აფხაზეთის ს. ს. რ. კონსტიტუციას იმ პრინციპების მიხედვით, რაც საფუძვლად დაედვა საქართველოს ს. ს. რ. კონსტიტუციას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
1926 წლ. ივლისის 5.
ს. თოდრია.

დადგენილება № 46

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სამოქალაქო სამართლის კოდექსის ახალი 84¹ მუხლით შევსებისა და ამავე კოდექსისა 155,156 და 166 მუხლებისათვის შენიშვნების დამატების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-11 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-რის დადგენილებისა მე-2 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ: სამოქალაქო სამართლის კოდექსი შევსებულ იქნეს ახალი 84¹ მუხლით და ამავე კოდექსის 155,156 და 166 მუხლებს დაერთოს შემდეგი შენიშვნები:

1. მუხ. 84¹. აღმშენებელს უფლება ეძლევა ახლად აგებულ, აღდგენილ და დასამთავრებლად აღებულ სახლში გააკეთოს სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო სადგომი, რომელიც მას შეუძლიან ან საკუთრივ თვითონ გამოიყენოს საექსპლოატაციოდ ან გააქირაოს დამქირავებელთან თავისუფალი შეთანხმებით; ამასთანავე თანაშეფარდებას საცხოვრებელი სადგომის სივრცესა და სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო სადგომის სივრცეს შორის განსაზღვრავს აღმშენებელი სათანადო კომუნალურ ორგანოსთან შეთანხმებით (მუხ. 71).

2. 155 მუხ. შენიშვნა 2. „ამა მუხლის 1-ლი შენიშვნა არ გავრცელდება, აღნაგობის ხელშეკრულებისამებრ, კერძო კაპიტალით ახლად აღებულ საცხოვრებელ სახლზე და აგრეთვე აღდგენილ და დასამთავრებლად აღებულ სახლზე“.

3. 156 მუხ. შენიშვნა 2. „ეს მუხლი არ გავრცელდება იმ პირზე, რომელიც სცხოვრობს, აღნაგობის ხელშეკრულებისამებრ, კერძო კაპიტალით ახლად აგებულ სახლში და აგრეთვე აღდგენის და დასამთავრებლად აღებულ სახლში. უკეთუ გამქირავებელი არ მოისურვებს ხელშეკრულების ვადის განგრძობას, დამქირავებელი კი უარს იტყვის ბინის განთავისუფლებაზე, მისი გამოსახლება მოხდება საერთო სასამართლოს წესისამებრ“.

4. 166 მუხ. შენიშვნა. „ბინის ქირა ისეთ სახლებში, რაც აღნიშნულია 156 მუხ. მე-2 შენიშვნაში, განისაზღვრება გამქირავებლისა და დამქირავებლის თავისუფალი შეთანხმებით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებლი კომიტეტის მდივანი—ს. თოდრია.

1926 წ. ივლისი
თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— დღეს, 13 ივლისს საღამოს 6 საათზე შესდგება საქ. კომპარტიის თბილ. ორგ. ქალაქის რაიკომების პლენუმი იაჩეიკების, ბიუროების და ფაბკომების ფრაქციათა მდივნებთან ერთად.

— საქ. კომპ. თბილისის კომიტეტის საღრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს სთხოვს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში:

ჯიბლაძე გიორგი თედორეს ძე, კანტელაძე არტემი ექვთიმეს ძე, კარაგულიანი ვართან კარაპეტის ძე, ხვიტარიძე ლეონტი მაქსიმეს ძე, გუსევი ა. ი., ურანეიშვილი ვასილ სოლომონის ძე, ბეზმელნიცკი გიორგი სიმონის ძე.

— დღეს, 13 ივლისს, დილის 11 საათზე ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის შენობაში შესდგება თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.

საორგანიზაციო კოლეგიის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

— საქ. კომპარტიის ლენინის რაიონის განათლების მუშაკების № 24 უჯრედის ბიურო იტყობინება, რომ პარასკევს, 16 ივლისს, საღამოს 6 საათზე მესამე საბავშვო სახლის შენობაში (პლეხანოვის პროსპექტი № 166) შესდგება კომუჯრედის დახურული კრება.

— დღეს, სამშაბათს, 13 ივლისს, საღამოს 6 საათზე ს. კ. პ. ცეკას საგიტ.-საპრ. განყ. შესდგება საგიტ.-საპროპ. კოლეგიის სხდომა. სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება:

კახიანი (ცეკა), მაშკევიჩი (ცეკა), ვ. ჯაფარიძე (ცეკა). პაპავა (ცეკა), რუხაძე (პოლიტგანი მთ. მმართვ.), ჭელიძე (კულტგანყ. პროფკავ.), ადამაძე (ქართვ. დივიზ.), ძიგრაშვილი (კომკავ.), კვიცარიძე (გან. მუშ. კავ.), ზანდელაკი (წერკომსი), საყვარელიძე (ცეკა), თათარიშვილი (ცეკა), გ. გოლდ (ცეკა).

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საააგიტაციო-საპროპაგანდო კოლეგიის მორიგი სხდომა შესდგება დღეს, 10 ივლისს, დილის 8 საათზე, თბილისის საააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საღრიცხვო -განმანაწილებელი განყოფილება, სთხოვს გამოცხადდენ 13 ივლისს, საღამოს 7 საათზე, თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში შემდეგი ამხანაგები:

დავიდენკო, ესაზიშვილი, ფოცხვერაშვილი, რედკოზუბოვი, ჩიხლაძე, შარაშენიძე, გვენცაძე, ყიფიანი, ხელაძე, სარქისოვი, ვამაკიძე, გასპაროვი, ტეხაშვილი, შენგელია, ორდაშელია, ტატიაური, სალტ-ხუციშვილი, საფარიანი, ბიტ-სარქისი, ქიქინაძე, უპანკაშვილი, სტასნი, გიგაური, ზურაბოვი, დანელია, ეჯუბოვი, სირაძე, გაზაევი, ჯაფარიძე, ვართაპეტოვი, ლეჟავა, გოგიბერიძე.

ღრმად დამწუხრებულნი შვილები ალექსანდრე (ცუცა) და პავლე ჩოჩიევები ცოლით და შვილებით, ნატალია გოცირიძისა და ელენე პაპავასი ქმრებით და შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 11 ივლისს გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი დედა

ბარბალე (ვარინკა) იაკობის ასული

ჩოჩიევისა

დასაფლავება მოხდება წმინდა ნინოს სასაფლაოზე დღეს, 13ივლისს 4 საათზე გამოსვენება ბინიდან ელისაბედის ქ. № 52. ნ. ლ.

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო“, პლეხ. № 105).
საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
ზოლეი
ნ. 1446 6—10

დიდი სურათი
რობინ გუდ
დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით
ვინც იღებს ბილეთს კინოში—ბაღში შესვლისათვის არ იხდის. ანონსი ჩქარა „ქალი ნიღაბში“.
პირველად თბილისში დიდი სურათი
კომპანეის, კადინის და ანჯელოს მონაწილეობით
„გამარჯვებული სიყვარულის სიმღერა“
ტურგენევის რომანის მიხედვით.
პრემიერა
„ზღვის და კლდის პირად“
შემდეგი პროგრამა
სახელგანთქმული [illegible] ედდი პოლოს მონაწ.

იოსებ იმედაშვილი
მზეთა მზე
ახალი პოემა
5 სურათით
ფასი 25 კაპ.
ნ. 1544 5—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დილის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კლუბი
დღეს 13 ივნისს გაიმართება
დიდი სეირნობა
1. დიდი კონცერტი ქუმსიაშვილის. გეწაძის, ანდღულაძის, გაბაშვიძის და სხვების მონაწილეობით.
2: საბალეტო დივერტისმენტი ლეწოვას, რატუშენკოს, ბაუერის, პაბუკიანის და სხვების მონაწილეობით.
ბალეტმაისტერი სერგეევი.
3. ხუნდი: კალანდაძის ხელმძღვანელობით.
——— ბაღში დაუკრავს 2 ორკესტრი;
——— აუქციონი, ლატარეა, ბუფეტი.
მთელი შემოსავალი გადაიდება ინგლისის გაფიცულ სამთა-მადნო მუშების სასარგებლოთ.
ნ. 1550 საორგ. კომისია

ბეჭდვითი საქმის საპაიო ამხანაგობა
„ქართული წიგნი“
ამით აცხადებს ი. ჭავჭავაძის თხზულების ხელისმომწერთა საყურადღებოდ, რომ უკვე ორი თვეა, რაც დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის ნაწერების მე-2 ტომი, მაგრამ მისი დარიგება შეფერხდა აგენტების რეორგანიზაციისა გამო. გამგეობა ამით სთხოვს თბილისის ხელისმომწერლებს, რომელთაც ჯერ არ მიუღიათ 1 ან მეორე ტომი, მიიღონ აღნიშნული ტომი „ქართული წიგნი“-ს საწყობში, ჯორჯაძის (ყოფ. გიორგის) ქუჩა № 1 ქაშვეთის პირდაპირ.
საწყობი ღია არის დილის 9 საათ. 3 ნახ. საათამდე ხელისმომწერლებმა უნდა წარმოადგინონ ბეს (მეცხრე ტომის) და 1 ტომის ქვითარები
პროვინციის ხელისმომწერლებს ვსთხოვთ გვაცნობონ ვისთან აქვთ ხელი მოწერილი, და თუ მათ რომელიმე ტომი ჯერ არ მიუღიათ ფასდადებით გაეგზავნებათ წიგნები.
ქ. 3106 „ქართული წიგნი“-ს გამგეობა.

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
[illegible]: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

გაზ. „კომუნისტი“-ს რწმუნებულათ ოზურგეთსა და მის მაზრაში
ინიშნება
ეპიფანე ცეცხლაძე
რომელთანაც შეიძლება ხელისმოწერა გაზ. „კომუნისტზე“, „მუშაზე“ და „ახალი სოფელზე“
0—1 გაზ. „კომუნისტი“-ის მთავარი კანტორა

იყიდება
1. ავტომობილი ფირ. „უაიტ“ 1 ნახ. ტონიანი
2. „ „ „პაკარტი“ 3 „
3. „ „ „ფიატი“ 1 ნახ. „
4. „ბალკები“ ოთხკიდიანი 12 ნახ. არშ. 9 ნახ. და 10 ¼
5. რკინის მილები დიამეტრი 1 „
პირობების გაგება შეიძლება ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებაში ქ. ოზურგეთში. ნ. 1553

სახელმწიფო და საზოგადო ორგანიზაციის და კერძო პირთა საყურადღებოთ მიწად მომქმედთა წარმოკავშირის, შრომის არტელის „ბაღის შრომას“ გამგეობა, ამით აცხადებს, რომ გამგეობა და მისი კანცელიარია დროებით მოთავსებულია (ყ. ვერის) ელბაქიძის დაღმართზე სახლში № 12 დარაბა № 410—3
3—11552 გამგეობის თავმჯდომარე შალვა მურავიოვი.

საჯარო ვაჭრობა
თბილისის აღმასკომის კეთილ-მოწყობის განყოფილება
ამით აცხადებს, რომ 13 ივლისს, დღის 1 საათზე ხელმეორედ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ყოფილ მნაცაკანოვის, ეხლა 300 არაგველთა სახელობის ხიდის კაპიტალურ შეკეთების შესახებ, ჯამით 11.870 მან. მონაწილეობის მსურველმა განცხადებასთან უნდა დაურთოს ქვითარი თბილისის აღმასკომის სალაროში განცხადებულ თანხიდან 10 პროც.-ის საწინდრათ შეტანის შესახებ. პაკეტების გახსნის შემდეგ, დაიწყება აგრეთვე ზეპირი შეჯიბრება
საჭირო ცნობებისა და კონდიციების მიღება შეიძლება თბილისის აღმასკომის კეთილმომწყობ განყოფილების კანცელარიაში. ოთახი № 339.
კეთილმომწყ. განყოფ. გამგე სიხარულიძე
ნ. 1549 კანცელარიის გამგე აბრამიშვილი

პროფ. ზ. მ. მუხაძე
ზაფხულში მიიღებს ქირურგიულ და. უროლოგიურ ავადმყოფებს საღამოობით 6—7 საათამდე გარდა შაბათისა და კვირა დღისა. მისამართი: პლეხანოვის პროსპ. № 38. ტელ. 5—77
25—1

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი
დ. ა. ჩეჩელაშვილი
და განაახლა შინაგან ავადმყოფების მიღება. სპეციალ.-ფილტვების სნეულებანი მიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 4—7 საათ. ქავჭავაძის ქ. № 9.

თბილისის მე-5 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ი. გეგელაშვილი
აცხადებს, რომ 16 ივლისს დილის 11 საათ., მე-11 მილიციის უბანში, ნაძალადევში, ხუდადოვის ქუჩა № 66, მეორე საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის გარდაცვალებულ ერმილე გიგოსძე ხვედელიძის ორსართულიან სახლის უფლების ნახევარ ნაწილს. სახლი დახურულია თუნუქით და კრამიტით, შესდგება ოთხი ოთახიდან, ორი სამზარეულოთი და ერთი სარდაფიდან, წყალსადენი და კანალიზაცია არ აქვს სახლი იყიდება დასაკმაყოფილებლად ელისაბედ სოლომონის ასული დაფქვიაშვილის ვალისა, თანახმად თბილისის მე-5 უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელ ფურცლის 2 დეკემბრის 1925 წ. № 747. ვაჭრობა მოხდება 310, 311, 312, 313 და 314 მუხ. სამოქ. სამარ. საპროც. კოდექსის დაცვით. ქ. 3103

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფებისათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

სურამი
ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
მიიღებს ავადმყოფებს შინაგან (ბავშვებს და დიდებს) და ქალთა სნეულებით.
ყოველდღე: დილით 1 საათამდის საღამოზედ 5 საათიდამ—7 საათამდის
მისამარ.: აგარაკი მეიერისა.

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—2

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები. მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 89 25—1

დაბრუნდა
ექიმი ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეტი
მიღება საღამოს 7—8 საათ. (ლენინის და ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82.
5—1 ქ. 23562

კბილის სნეულებათა
კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპ. № 126)
დაიწყო მუშაობა
რენტგენის კაბინეტმა
შეიძლება კბილების და პირისახის ძვლების გაშუქება და მათი სურათის გადაღება. 2799. 25—1

ექიმი
მებრაბიანცი
ფილტვების, ყელის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ.
ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან
აგარაკ მანგლისში. 25—1

ექიმი ნ. ტურიაშვილი
ქალის სნეულებანი და მეანობა
მიღება 2—5 ს. საბჭოს ქუჩა (ყოფილი ჩერქეზოვის) № 22. 25—13

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—0

27 ივნისში, ნაშუადღევს გავიდა სახლიდგან სტუდენტი სახელმწიფო უნივერსიტეტის ამბროსი (ბორის) ივანესძე კიკნაძე 20 წლის და დღემდის აღარ დაბრუნებულა. შუატანისა, შავგრემანი მხარ-ბეჭიანი; აცვია თეთრი ტილოს ხალათი ლურჯი შევიოტის შარვალი, ყვითელი ფეხსაცმელები და მუქი-მწვანე „შლიაპა“. გთხოვთ, თუ ვინმემ რაიმე იცოდეთ მისი—გვაცნობოთ მის მშობლებს; პრიუტის ქუჩა № 25 კიკნაძეს, მე-2 კომისარიატი. ნ. 1551

დაიკარგა აღმასრულებელი ფურცელი ვანო ჩიხტაურისა, „ზაკგოსტორგის“ ქვითარები 120 მანეთისა და ბილეთი ყვარელის ტყეში ხეების მოჭრის ნებართვა 300 საჟენის რაოდენობით. ივანე ჯორჯაძის სახელზე, ჩ. გ. 3099

დაიკარგა მანდატი ჟურნალ „საუნჯეს“ რედაქციიდან მიღებული № 130 იაგორ მჟავანაძის სახელზე, ჩ. გ. 3101

დაიკარგა პირადობის წიგნაკი № 1359 დავით კვიტატიანის სახელზე, ჩ. გ. 3108

დაიკარგა პარტ ბილეთი № 501277, კავშირის წიგნაკი და სხვა საბუთები. ვლ. ცაგარელის სახელზე, ჩ. გ. 3104

დაიკარგა სამხედრო პირადი მოწმობა № 1040 გიორგი სერგოსძე ქსოვრელის სახელზე, ჩ. გ. 3107

დაიკარგა ორი მრეწველობის პატენტი. № 3 4. № 325 სარქის მიხეილისძე ოსეფოვის სახელზე, ჩ. გ. 3105

დაიკარგა პირადობის მოწმობა, სილარიბის მოწმობა, წიგნებ-ჟურნალების გაყიდვის ნებართვა, ოთახის გასაღები და სხვადასხვა საბუთები, დავით ტარიელისძე ბაქრაძის სახელზე, ჩ. გ. 3102

დაიკარგა საბინაო დავთარი ვარდისუბნის ქუჩა № 22 ოლღა ნესტორის ასული გაბუნიას სახელზე, ჩ. გ. 3109

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 2916, მიხეილ გოგილავას სახელზე, ჩ. გ. 3110

დაიკარგა მთლიანი მუშათა კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 337 პავლე ჰუმბურიძეს სახელზე, ჩ. გ, 3112

დაიკარგა კომპარტიის საწევრო მანდატი № 499299 გრიგორი ნიკოსძე კუპრეიშვილის სახელზე. ჩ. გ. 3043

დაიკარგა პირადობის და სილარიბის მოწმობები გერასიმე ქუთათელაძის სახელზე, ჩ. გ. 3111

[illegible] კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის [illegible]